619/1990/12

ISSN 0130—1624

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДРОША

სექტემბერი №9 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგორი

1 სექტემბერი

1990

სამადლობლად ძლევისა

მის საკვირველისა



ფოტო ვარლამ გენგიურისა

მამულო, საუკარელო!

დროშა

№ 9 (404), სექტემბერი, 1990

ჟურნალი გამოდის 1926 წლიდან

ნ ო მ ე რ შ ი ა:

ინტერვიუ ხაიმ ხუგელაშვილთან

გელა განძელაძე
„შვილებმა“ უნდა იცოდნენ

ანდრე კარგელაშვილი
სუფთა ენერგეტიკა? დიახ, მზის მოდულებით

საუბარი ასტროლოგებთან

ლამარა თელია. შალომ, ისრაელ!

ანდრე ცისკარიძე. წმინდა ნინო.

ელგუჯა მერაბიშვილი. ხიწვი (მოთხრობა).

ვლადიმერ თორდუა. მისხალ-მისხალ.

რიჩარდ ელისი. ოჯახური უსიამოვნება.

იასონ იზორია. ანდრია დადიანი.

უცხოური იუმორი

კროსვორდი

● „დროშა“, 1990 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვახილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), თენგიზ სამსონაძე.

ინტერვიუ

ისრაელის ქართულენოვან ჟურნალ „დროშის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ხაიმ ხუბელაშვილს

პატივცემულო ბატონო ხაიმ!

თქვენს მიერ ისრაელში დაარსებული პირველი ქართულენოვანი ჟურნალი „დროშა“ ათი წლისაა. უკვე ჩაიარეს მისი „ბავშვობის“ წლებმა... ფეხის ადგმისა და ენის ამოდგმის, მტრისა და მოყვარის გარჩევის, თვითდამკვიდრებისა და ნაცნობ-მეგობრების შეძენის ძნელმა, საინტერესო და ბავშვობასავით დაუვიწყარმა წლებმა.

ახლა „დროშა“, თავის ათი წლის ასაკში, უკვე მტკიცედ დგას ფეხზე და განვლილი წლების მანძილზე შეძენილ თავის კეთილ მკითხველს კვლავინდებურად ქართულ ენაზე მოძღვრავს.

მსოფლიოში უნიკალურია მოვლენა, როცა ჟურნალი ებრაელ მკითხველს ქართულ ენაზე ელაპარაკება და დიდი ხნის შემდეგ ნაპოვნი სამშობლოსადმი სიყვარულის სულისკვეთებით ზრდის ისე, რომ არც იმ მშობლიურ მხარეს ავიწყებს, რომელმაც ებრაელთა მოდგმა ოცდაექვსი საუკუნის წინ იშვილა და უპატრონა კიდეც მას.

ამიტომ არის ისრაელის ქართულენოვანი ჟურნალი „დროშა“ უნიკალური გამოცემა, რომელსაც ჩვენს ბობოქარ დღევანდელობაში დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

ქართული ენა გვაერთიანებს ჩვენ და განამტკიცებს იმ შემოქმედებით კავშირებს, რომელთა შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოსა და ისრაელის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობების აღმასვლას, რის პერსპექტივებსაც ნოყიერ ნიადაგს უქმნიან მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების გაღრმავების მიმდინარე პროცესების წარმატებები.

ფასდაუდებელია პირადად თქვენი და ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლექტივის ნაღვაწი, აგრეთვე სამომავლოდ გამიზნული შრომა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

საქართველოს დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია და შემოქმედებითი კოლექტივი მრავალათასიან მკითხველებთან ერთად, გულითადად მოგესალმებით ჩვენს ღირსეულ სეხნიას, ვუსურვებთ ისრაელის ქართულენოვან ჟურნალ „დროშას“ დაბადების ათი წლის თავს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს ასწლიან სავალ გზაზე.

ამინ!

ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორი ოთარ ქინქლაძე

საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარესთან, ჟურნალ „დროშის“ მთავარ რედაქტორთან ხაიმ ხუბელაშვილთან

საქართველოდან დაბრუნების შემდეგ

— ბატონო ხაიმ, თქვენ ამას წინათ დაბრუნდით საქართველოდან. თუ შეიძლება გვითხარით: საქართველოში კერძო ვიზიტით ბრძანდებოდით თუ ოფიციალურად იყავით მიწვეული?

— ჩემი ვიზიტი საქართველოში ოფიციალური გახლდათ. მიწვეული ვიყავი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მიერ.

— მიწვეული იყავით როგორც თელ-ავივის მუნიციპალიტეტის მუშაკი, თუ როგორც „დროშის“ რედაქტორი ან საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე?

— მიწვეული გახლდით როგორც საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე და ჟურნალ „დროშის“ მთ. რედაქტორი, თუმცა როგორც თელ-ავივის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელსაც მქონდა გარკვეული მისია დაკისრებული.

— რა მიზნებს ისახავდა თქვენი ეს ვიზიტი: როგორ მიგიღეს? ვისთან გქონდათ შეხვედრები და როგორი შედეგებით დაბრუნდით სამშობლოში?

— ვიზიტი ისახავდა რამდენიმე მიზანს: ახალი ორგანიზაციის — საქართველოდან ამოსულთა საერთაშორისო ცენტრის საქართველოსთან ურთიერთობა-თანამშრომლობის საკითხის შესწავლას; იმის დაზუსტებას, თუ რამდენად იცნობენ საქართველოში ჩვენს ჟურნალს — „დროშასა“ და, აგრეთვე, საქმიანი კავშირების დამყარებას საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან — პირველ რიგში იმათთან, ვინც ასეთი სურვილები უკვე შემოგვთავაზა.

ამასთან ერთად, უნდა შევხვედროდი თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ბ-ნ ირაკლი ანდრიაძეს და მასთან განმეხილა ისრაელში მისი ვიზიტისა და რამდენიმე სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხი. ეს ფაქტობრივად იყო გაგრძელება იმ კონტაქტისა, რომელიც რამდენიმე თვის წინათ დაიწყო თელ-ავივის ქალაქის მერის მოადგილემ ბ-ნმა ი. არციმ; უნდა შევხვედროდი საქინფორმის წარმომადგენლობას და კიდევ რამდენიმე სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მიმიღეს, რა შედეგებით დავბრუნდი ისრაელში, — გულახდილად გეტყვით, რომ მე მოველოდი თბილ და საქმიან შეხვედრებს, მაგრამ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა: ჩემმა უშუალო მასპინძელმა ჩემს მოკლე ვიზიტს საქართველოში შესანიშნავი ორგანიზაცია გაუკეთა: გამოყოფილი მქონდა შესანიშნავი ნომერი სასტუმრო „თბილისში“, მომაგრებული მყავდა მსუბუქი ავტომანქანა მძღოლით, ვიზიტის მთელ მანძილზე ჩემთან იმყოფებოდა და ყველა საჭირო დახმარებას მიწევდა საზოგადოების უფროსი რეფერენტი ბ-ნი მერაბ ბარამიძე, რომელიც კარგ ორგანიზატორთან ერთად შესანიშნავი ადამიანიც აღმოჩნდა; მან დიდი დახმარება გამიწია ჩემი ვიზიტის ორგანიზებაში, რისთვისაც ერთხელ კიდევ ... გულითადი მადლობა გადაუხადო მას.

ჩემთვის, როგორც „დროშის“ დამაარსებლისა და რედაქტორისათვის, უაღრესად სასიამოვნო იყო ის, რომ, როგორც ჟურნალის, ასევე მისი შემოქმედებითი კოლექტივის მიმართ გამოითქვა უამრავი ქება-დიდება და ორმხრივი დაახლოება-თანამშრომლობის სურვილები; სადაც კი მოესწრო, შეხვედრები ჩატარდა უაღრესად საქმიან და გულთბილ ატმოსფეროში; მაგალითად, ასეთი შეხვედრები მქონდა ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში, რომელსაც სათავეში უდგას შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე ბ-ნი ოთარ ქინქლაძე. შეხვედრა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციაში, სადაც ბ-ნ პაატა ნაცვლიშვილის მეთაურობით ყველა დამსწრემ ჩემზე უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ასევე თბილი და უაღრესად საინტერესო იყო შეხვედრები საქართველოს სახელმწიფო ანუ საჯარო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში.

ყველა ზემოაღნიშნულ შეხვედრებს წითელი ხაზივით გასდევდა კოლეგებისა თუ თითოეულ სხვა პირთა გულითადი სურვილი — ჩვენს ჟურნალ „დროშასთან“ შემოქმედებითი ურთიერთობა-თანამშრომლობისა, თანადგომისა და ყველა მათ მიერ შესაძლო დახმარების აღმოჩენისა. ვიმედოვნებ, რომ მიღწეული შეთანხმებანი სერიოზულ დახმარებას გაგვიწევენ ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

უაღრესად კმაყოფილი დავრჩი თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან ბ-ნ ირაკლი ანდრიაძესთან შეხვედრით. მან, როგორც პიროვნებამ, ჩემზე დატოვა შესანიშნავი შთაბეჭდილება და სასიამოვნოა, რომ როგორც კი მიეცემა გამომგზავრების შესაძლებლობა, იგი იქნება ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ, თელ-ავივის ქალაქის საბჭოს მუნიციპალიტეტის საპატიო სტუმარი.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, აგრეთვე, საქინფორმთან შეთანხმება, რომლის თანახმადაც 1990 წლის დასაწყისში ისრაელში გაიმართა გამოფენა დევიზით „ობიექტივშია საქართველო“, სადაც წარმოდგენილია 150 ფერადი და შავ-თეთრი სურათი, ხოლო შემდგომ საქართველოში მოეწყობა ასეთივე გამოფენა დევიზით — „ისრაელი დღეს“. მიღწეულია შეთანხმება საქართველოს მხატვართა გამოფენაზეც ისრაელში.

სასიამოვნო იყო ისიც, რომ დროის დიდი დეფიციტის მიუხედავად, საქართველოს ტელევიზიამ სწრაფი ორგანიზაცია გაუკეთა ჩემს გამოსვლას საქართველოს ტელევიზიით, რითაც მომცა შესაძლებლობა, მივსალმებოდი ჩემს ნათესავებს, ახლობლებსა და მეგობრებს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა, მეგობრობა, სამსახურებრივი თანამშრომლობა, დიდი სითბო და სიახლოვე მაკავშირებდა ათეული წლების მანძილზე.

და ბოლოს, მადლობით მინდა მოვიხსენიო ჩვენი მიწვევა საქართველოს კულტურის მინისტრის ბ-ნ ვალერი ასათიანის მიერ წამოსვლის წინა ღამით, ფუნიკულიორის ფიროსმანის დარბაზში გამართულ ბანკეტზე, სადაც შევხვდით საქართველოში სტუმრად მყოფ ისრაელ ჟურნალისტებს და საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.



ხაიმ ხუბელაშვილი

19.3.16

აქვე მინდა გულდაწყვეტით აღვნიშნო, რომ ობიექტური მიზეზის გამო, რამაც ასე მოკლე გახადა ჩემი ვიზიტი საქართველოში, მიუხედავად ჩემი სურვილისა, ვერ მოხერხდა შემდგარიყო შეხვედრები „ლიტერატურული საქართველოსა“ და „ლიტერატურნაია გრუზიას“, „ცისკრისა“ და „თბილისის“ რედაქციებში, საქართველოს მწერალთა კავშირში და ბევრ სხვა დაწესებულებაში...

— ბ-ნო ხაიმ, ჟურნალ „დროშას“ რომ საქართველოშიც იცნობენ, რა თქმა უნდა, ეს ჩვენ ადრეც ვიცოდით, მაგრამ, როგორც ახლა ირკვევა, თქვენ იქ შეხვედრები გქონდათ საკმაოდ კომპეტენტურ ორგანიზაციებთან და პირებთან.

მათ მიერ თუ გამოითქვა რაიმე აზრი ან შენიშვნები ჟურნალზე, მის შინაარსზე, ხარისხზე?

— რა თქმა უნდა: საქართველოში ჟურნალი „დროშა“ დიდი პოპულარობით და მოწონებით სარგებლობს. ხაზს უსვამენ მის თემატურ მრავალფეროვნებას, მაღალხატვრულ და პოლიგრაფიულ დონეს. ზეპირად იცნობენ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობას, რუბრიკების ავტორებსა და სხვა აქტივისტებსაც.

მიღწეულია შეთანხმება, რათა ხელმოწერა ჟურნალ „დროშაზე“ საქართველოში მცხოვრებთათვის ფართო მასშტაბით ჩატარდეს. ცხადია, ჟურნალ „დროშის“ საქართველოში მასიურად გასვლით ერთი-ორად გაიზრდება პასუხისმგებლობა ჟურნალის ხელმძღვანელობისა და მისი შემოქმედებითი კოლექტივისა. რომლებიც, მინდა იმედი ვიქონიო, წარმატებით გაართმევენ თავს უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანას.

— ამ ბოლო დროს გახშირდა კონტაქტები ისრაელსა და საქართველოს შორის. ეს კონტაქტები ამჟამად ორმხრივ ხასიათს ატარებენ. ამასთანავე, უკვე ადგილი აქვს სხვადასხვა სახის შეთანხმებებს. რას ფიქრობთ, როგორი პერსპექტივები ისახება ამ მხრივ?

— რასაკვირველია, ურთიერთკავშირები, მიმოსვლა და საქმიანი კონტაქტები მისასალმებელია. სწორედ ეს არის დიდი ხნის ოცნების ძვირფას რეალობად ქცევა, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია ამ საკითხზე ორიოდე სიტყვით შეჩერება.

საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას გამოვთქვი სურვილი, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის გაბმულ დიდ სითბოსა და სიყვარულის ძვირფას ჯაჭვს არასდროს მოჰკიდებოდეს ნებისმიერი სახის არასასურველი ჟანგი. გულწრფელ სურვილებთან ერთად ამ სიტყვებს გარკვეული მიზეზებიც ჰქონდა: საქართველოსა და ისრაელს შორის მიმოსვლა უაღრესად ინტენსიური გახდა. წასვლა-მოსვლის შესაძლებლობა აქვს ყველას და ეს მიმოსვლა დღეისთვის წარმოებს ყოველგვარი წინასწარი დაგეგმვისა თუ კონტროლის გარეშე. მოგეხსენებათ, რომ ისრაელი თავისუფალი ქვეყანაა, სადაც შემოქმედებითი თუ საკავშირო კავშირების სრული უფლება და შესაძლებლობა აქვს როგორც ნებისმიერ ორგანიზაციას, ასევე კერძო პირსაც. ამასთანავე, ნებისმიერ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს გააჩნია იურიდიული უფლება და შესაძლებლობა, შექმნას ნებისმიერი სახის ორგანიზაცია-დაწესებულება, ამხანაგობა თუ კომპანია მისთვის სასურველი შინაარსითა და სახელწოდებით; მისი შექმნის ინიციატორს კი შეუძლია თავისთვის შეირჩიოს სასურველი წოდება, მაგალითად, თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, დირექტორი და თუნდაც პრეზიდენტი, მიუხედავად საამისო რეპუტაციის ქონა არ ქონისა.

ახლა, საქართველოსთან ურთიერთობის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, გახშირდა კერძო ინიციატივაზე დამყარებულ ორგანიზაცია-დაწესებულებათა წამოწყებები. მსგავსი ინიციატორები ორივე ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩვენთან, ისრაელში, ძალზე მომრავლდნენ. სავსებით მოსალოდნელია ზოგმა მათგანმა სწორად ვერ განსაზღვროს თავისი შესაძლებლობები ან პოტენციალი; ცალკეულ შემთხვევებში კი მოსალოდნელია რაღაც პირადულმაც წამოიწიოს წინ და ასეთ სიტუაციაში საშიშია რაიმე არასასიამოვნო შემთხვევას არ ექნეს ადგილი, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ამ თბილ და ძვირფას, მეგობრულ ურთიერთობაზე.

ამ რთულ და დღემდე დაუგეგმავ თუ კონტროლმოკლებულ სიტუაციაში დიდი ორმხრივი სიფრთხილეა საჭირო მით უმეტეს, რომ საქმე ეხება საერთაშორისო ასპარეზს — ძვირფას ქვეყნებს შორის ურთიერთობას. ჩემი აზრით, ნებისმიერ საქმიან გარიგებას ან თუნდაც ნებისმიერ კავშირ-ურთიერთობათა დამყარებას, წინ უნდა უძღოდეს მონაწილე ორგანიზაციათა თუ პირთა შესწავლა, აწმყოსა და წარსულის გაცნობა, დაზუსტება და მხოლოდ ამის შემდეგ გადასვლა კავშირის დამყარებაზე, თუ საქმიან ურთიერთობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ ვუსვამ ხაზს, შესაძლოა ადგილი ექნეს გაუთვალისწინებელ ინციდენტებს, რასაც შეუძლია ცივი წყალი გადაასხას ამ თბილსა და მეგობრულ ურთიერთობას.

— ბ-ნო ხაიმ, თქვენ 17 წელზე მეტია, დასტოვეთ საქართველო. ეს დიდი დროა. რა ცვლილებები დაინახეთ საქართველოში და როგორ შეაფასებდით საქართველოში შექმნილ მდგომარეობას?

— არ ვიცი, რას გულისხმობთ ამ „ცვლილებებში“ ან რა გაინტერესებთ. თუ ქვეყნის მშენებლობა-გაფართოებას გულისხმობთ, მე მხოლოდ თბილისში ვიყავი და გულღიად გეტყვით, რომ ვნახე ბევრი აღდგენილ-რესტავრირებული ლამაზი ადგილები, მაგრამ თბილისის მშენებლობათა მასშტაბითა და დონით ცოტა არ ყოს გულდაწყვეტილი დავრჩი. 17 წელი საკმაოდ დიდი პერიოდია და ამ ხნის მანძილზე მე თბილისის მეტი წინსვლა მეწადა. გული მატკინა გვიან-საღამო ხანის რუსთაველის პროსპექტმა, რომელიც ჩემი სტუდენტობის წლებიდან მახსოვს განათებული, ხალხმრავალი და ხალისიანი. ნაადრევად, ნახევრად ჩაბნელებული რუსთაველი თითქოს თანაგრძნობით მედუდუნებოდა: რა გიკვირთ, მე ხომ ჯერ კიდევ არ გამოვსულვარ მშობლიურ მკერდზე დაღუპულთა გლოვის ზარიდანო. ამის განცდა ჩემთვის, რომელმაც თბილისში ორი სტუდენტობა გავიარე, ძალიან ძნელი იყო...

თუ „ცვლილებებში“ გარდაქმნებსა და საჯაროობას გულისხმობთ, ეს სულ სხვა საკითხია და გეტყვით, რასაც ვფიქრობ: მართალია დემოკრატიულ წყობას სხვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სისტემებზე წინ აყენებენ, მაგრამ არც ისაა უნაკლო და მკაფიო სიგრძე-სიგანეში მოქცეული [illegible]ცნება. იქ, სადაც [illegible]ის დაწყებით სტადიაშია, ჩემი აზრით, მასზე გადასვლა უნდა მოხდეს უაღრესად ფრთხილად და ეტაპობრივად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება საშიში ფორმა მიიღოს და თვით ხალხსაც ზიანიც მოუტანოს [illegible]

მართალია, მე საბჭოთა კავშირში სულ რამდენიმე დღე დავყავი და ასეთი მოკლე ვადიანი ვიზიტის დროს შეუძლებელია ღრმად ჩასწვდე ასეთ სერიოზულ საკითხს, მაგრამ მაინც ვიტყოდი, რომ ის გრანდიოზული, ისტორიული პროცესი, რომელიც ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს, უაღრესად მნიშვნელოვანია და მისასალმებელი. ამასთანავე, ჩემი აზრით, იქ ეს გარდაქმნები უაღრესად ჩქარი ტემპით და სათანადო ეტაპობრიობის გარეშე მიმდინარეობს.

ასეთ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ თვით ხალხებმა უნდა გამოიჩინონ მეტი მოთმინება და წინდახედულება, ერთობა და ორგანიზებულება...

ეს აუცილებელია უკეთესი მერმისისათვის.

ჩემი დიდი სურვილი იყო, არის და დარჩება: ვიხილო საქართველო სვებედნიერი, თავისუფალი და აყვავებული.

ინტერვიუ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უვილეკეა ულრა ისკოლნეკ...

1971 წლის 5 მაისს პროფესორმა გელა ბანძელაძემ საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, წარმოთქვა მოხსენება. მაშინ რექტორის იშვიათი გაბედულებით აღტაცებულ მსმენელთა ტაშის გრიალში, პრეზიდიუმში მსხდომთაგან ბევრმა შეშინებულმა თანამდებობის პირმა დატოვა დარბაზი...

სულ მალე გელა ბანძელაძე რექტორობიდან გადააყენეს.

გთავაზობთ ამ მოხსენების შემოკლებულ ტექსტს.

გელა ბანძელაძე

პატივცემულო ამხანაგებო! მოახლოვდა ჩვენი რესპუბლიკის ნახევარსაკუნოვანი იუბილეს საზეიმო დღეები. ...ჩვეულებრივ იუბილეებს განიხილავენ როგორც საზეიმო ღონისძიებებს, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ემოციურ-პოლიტიკური ღირებულებების შექმნა. მაგრამ იუბილეებს მეტნაკლებად ყოველთვის ახლავს რაციონალურ-მეცნიერული და მორალურ-სოციალური ასპექტები. იუბილეები არ ეწყობა მხოლოდ დაფნის გვირგვინების დარიგებისა და ტაშ-ფანდურით გართობისათვის. ჩვენს სინამდვილეში ცარიელი გართობა-დროსტარებისათვის კეთილსინდისიერ ხალხთაგან აღარავის სცალია, ან, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ეცალოს.

სახელმწიფოსა და პარტიის იუბილე — ეს არის დიდი პოლიტიკური ღონისძიება, რომლის არსებითი და ფაქტიური მიზანია განვლილი გზის შემოწმება, ისტორიის ზიგზაგებით წარმოქმნილი ჯურღმულების განათება ობიექტურობისა და სამართლიანობის განუხრელი დაცვით თუ აღდგენით.

ცნობილია, რომ სიმართლეს ათასი გზა აქვს გამომჟღავნებისაკენ. ყველა გზას ვერ ჩაახშობ, რომელიღაც მაინც დარჩება და „სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“. დროდადრო ისეთი ფაქტები ამოტივტივდება მეცნიერების, ხელოვნებისა თუ მემუარული ლიტერატურის მორევში, რომ ჩნდება ბზარი ოფიციალურ ვერსიათა ბრმა რწმენაში. ამ ბზარში ჭეშმარიტების სხივები აღწევენ და აღმოჩნდება, რომ ბევრი რამ ისე არ ყოფილა, როგორც ამას კონიუნქტურული ისტორიოგრაფია გვთავაზობს.

ყოველი იუბილე ასეთი განსჯა და თვითგანსჯა უნდა იყოს, თუ გვსურს, აღარ გავიმეოროთ შეცდომები, არ დაგვრჩეს სიკეთე დაუფასებელი და ბოროტება დაუსჯელი, თუ გვსურს, მომავალ თაობებს მეგზურობად დავუტოვოთ არა მარტო, ან არა იმდენად, მოძრავი და უძრავი ქონება, რომელსაც საუკუნოვანი გონიერება ჰქმნის და წუთიერი უგუნურება სპობს, არამედ ყველაზე მთავარი და უმაღლესი ღირებულება — სამართლიანი, ადამიანური ცხოვრების წესი, შრომისა და მშრომელის პატივისცემა და სიყვარული.

ასეთია ჩვენი დღევანდელი საიუბილეო-საზეიმო შეხვედრისა და მსჯელობის მოტივები. გამომდინარე აქედან, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, თვალი გადავავლოთ ჩვენი ერისა და პარტიის ამ ნახევარსაუკუნოვან ისტორიას, კიდევ ერთხელ დავუკვირდეთ ამ ისტორიის ძირითად ნიშანსვეტებს, რომ შეგვეძლოს სწორად შევაფასოთ აწმყო და ნათლად ვხედავდეთ მომავლის პერსპექტივებს.

...1937 წლის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში იყო დიდი სამამულო ომი. სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტებზე სახელმოხვეჭილმა ქართველმა ხალხმა ღირსეული წვლილი შეიტანა დიდი სამამულო ომის ისტორიაში. ეს წვლილი გაიზომება არა მარტო ქართველ მებრძოლთა რაოდენობით, რომლებიც მონაწილეობდნენ ომში, არამედ მათი ბრძოლის შინაარსითა და შედეგებით, მათი ვაჟკაცობითა და თავგანწირვით. მარტო კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა 70-მდე მებრძოლს, სულ კი 136 კაცს.

ათჯერ და ასჯერ უფრო მეტი უსახელო გმირი დაეცა ბრძოლის ველზე ვალმოხდილი და გამარჯვებით დაიმედებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის დიდი მსხვერპლი, რომელიც გაიღო ქართველმა ხალხმა დიდ სამამულო ომში. სულ ომში გაწვეულ იქნა 637000 ქართველი, რომელთაგან თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე დარჩა. პროცენტულად ასეთი დიდი მსხვერპლი არ გაუღია არც ერთ რესპუბლიკას. მცირერიცხოვანი ერისაგან ასეთი დიდი მსხვერპლი უჩვეულო ამბავია ომების ისტორიაში.

ეს ციფრები მე მომყავს არა იმისათვის, რომ ვიამაყოთ ჩვენი [illegible] ტესობით...“ დაღუპულთა ასეთი დიდი ციფრი იმის საბუთად გამოგვიგია, რომ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობისა და კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობის მიერ დაშვებულ იქნა შეცდომები ეროვნული შენაერთების ფრონტის ცალკეულ უბანზე განაწილების სამხედრო-პოლიტიკურ საქმეში. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც, როგორც ახლა ცნობილი ხდება, დაშვებულ იქნა შეცდომები ქერჩის ბრძოლებში, სადაც დაიღუპა ქართველ მებრძოლთა დიდი უმრავლესობა.

საქართველოს ტერიტორიაზე ომი არ ყოფილა, მაგრამ ვერ იპოვით ისეთ ქართულ ოჯახს, რომელსაც ერთი ან ორი სიცოცხლე არ მიეტანოს ამ ომის სამსხვერპლოზე.

ნათქვამია: გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ეს სწორია, მაგრამ შეცდომიდან გაკვეთილების გამოტანა არ უნდა დაგვავიწყდეს. როცა ჩვენს გამარჯვებებს ვზეიმობთ და ამ გამარჯვებათა ორგანიზატორებს ქება-დიდებას ვასხამთ, მათი შეცდომებიც არ უნდა დაგვავიწყდეს, შეცდომები, რომელთა გამო ასობით და ასიათასობით ადამიანთა მსხვერპლია გაღებული.

დამთავრდა ომი და ხალხი შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას, ახალი ქალაქებისა და სოფლების მშენებლობას. საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის — რუსთავის მშენებლობას. აშენდა ქუთაისის ავტომობილების ქარხანა, გაფართოვდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. შეიქმნა მსუბუქი მრეწველობის უამრავი საწარმო. გამრავლდა და ჩამოყალიბდა ეროვნული მუშათა კლასი. ზოგჯერ გამოთქვამენ სკეპტიკურ მოსაზრებებს ეროვნული მუშათა კლასის შექმნის მნიშვნელობაზე. ზოგიერთებს ეს ღირსებად კი არა, ნაკლად მიაჩნიათ. ჩემი აზრით კი ბოროტებაა არა ეროვნული მუშათა კლასის შექმნა, არამედ რესპუბლიკის მუშათა კლასის ზრდა ეროვნული პოლიტიკის პრინციპების დარღვევით. რესპუბლიკაში უკიდურესი გამოუვალი მდგომარეობის გარეშე არ უნდა შეიქმნეს ისეთი საწარმო, რომელსაც ვერ უზრუნველვყოფთ ადგილობრივი მუშახელით. ეს არა მარტო პოლიტიკის, არამედ ეკონომიური ეფექტიანობის საკითხიცაა.

სოფლის მეურნეობაში ამ მხრივ არსებული სიძნელეები უნდა გადაიჭრას ტექნიკის განვითარების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მეტი მასშტაბით დანერგვით და არა სხვა ეროვნების მუშახელის მოზიდვით. საკითხის ასეთი დაყენების მიზეზი აშკარაა. საქართველოს ტერიტორია საშუალებას არ იძლევა სხვა რესპუბლიკებიდან დიდი რაოდენობით მუშახელის შემოყვანისათვის. ეს გამოიწვევდა ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებას და ხალხთა მეგობრობის პრინციპების შელახვას.

ჩვენთან შესანიშნავად გრძნობენ თავს ყველა ერის წარმომადგენლები და ბუნებრივია, ვზრუნავდეთ, რომ საქართველოში ასევე კარგად გრძნობდნენ თავს თვით ქართველები. ეს კი შეუძლებელი იქნება, თუ ქართველები საკუთარ მიწაწყალზე უმცირესობაში აღმოჩნდებიან...

რაც შეეხება თავისთავად ფაბრიკებისა და ქარხნების მომრავლება-განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში, ბოროტებაა არა მათი მომრავლება, არამედ ამ პროცესის უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ სუსტი ბრძოლა. თუ სხვა გამოსავალი არაა, ეკოლოგიურად მავნე ქარხნები და საამქროები

უდაბნოებში უნდა შენდებოდეს, ან არ უნდა ვზოგავდეთ სახსრებს გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დადგა დრო, რომ მთელმა კაცობრიობამ წარმართოს მეცნიერული აზრი გარემოს გაჭუჭყიანების წინაღმდეგ გადამჭრელი ზომების მისაღებად.

დადგა დრო, ექსპერიმენტულ ლაბორატორიებში ელექტრო აკუმულატორებით მომუშავე ძრავებით მასობრივად შეიცვალოს შიდაწვის ძრავები. დადგა დრო, კაცობრიობამ ხელი აიღოს ნავთობის ბარბაროსულ გაჩანაგებაზე. ნავთობი უნდა გამოყენებულ იქნას როგორც ნედლეული საკვებისა და ტანსაცმლისათვის. დიდი ქიმიის საუკუნეში ნავთობის გარეშე ძნელი იქნება არსებობა... კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები ერთგვარ გარდამავალ საფეხურს შეადგენენ გლეხთა კლასიდან მუშათა კლასში. საჭიროა მეტი სიფრთხილე და გონიერება სოფლისა და ქალაქის დაახლოებაში...

ქალაქის ღირსება შრომისნაყოფიერება და კომფორტია. სოფლის ღირსება ბუნების, ჰაერის, წყლის, გარემოს სისუფთავეა, სიწყნარე და სილამაზეა. ისე არ უნდა მოხდეს, რომ კომფორტის მაგიერ, ან მასთან ერთად სოფლებში შევიტანოთ ჭუჭყი, ხმაური, უგემოვნობა, ხელოვნურობა. ასეთ საგნობრივ ვითარებას თავისთავად ახლავს მორალური დეგრადაციის ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: უნდობლობა, ეგოიზმი, გულგრილობა, სიზარმაცე, მომხვეჭელობა, უშრომელად გამდიდრების ტენდენცია, უსამართლობა და უკანონობა.

საქართველოში ასეთი დაახლოების მთელი რიგი დადებითი სიმპტომების გვერდით შეიმჩნევა ისეთი უკონტროლო არაჯანსაღი მოვლენები, როგორიცაა მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია სოფლიდან ქალაქად. რესპუბლიკის დემოგრაფიული რუკა მალე დაემსგავსება თავკომბალას — ცენტრით თბილისში. სოფლები იცლებიან მუშახელისაგან და მოედინებიან ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში. საჭიროა მოფიქრებული იქნეს სოფლად ახალგაზრდობის დამაგრებისა და სოფლებთან ქალაქების დაკავშირების ფართო და ეფექტური ღონისძიებები.

... ქართველი ხალხისა და მთელი საბჭოეთის მშრომელთა ომისშემდგომ მშვიდობიან აღმშენებლობით საქმიანობაში საგრძნობი დისონანსი შეიტანა წინაღმდეგობებით სავსე პერიოდმა ხელმძღვანელობის ძველი სტილისა და ნორმების ნგრევისა და ახლის, უფრო ჯანსაღის ძიების წლებმა, რომელსაც მოჰყვა შეცდომები, მერყეობა, უიმედობა.

ამ პერიოდის უმთავრესი მოვლენა იყო პარტიის XX ყრილობა, რომელიც ისტორიაში შევიდა პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით.

ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ იმაში, რომ სწორად მოიქცა პარტია, როცა დააყენა საკითხი პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კრიტიკის არასწორ მეთოდს მოჰყვა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია. ძნელია იმის მიჩქმალვა და დავიწყება, რაც მოხდა...

ვიგონებთ ამ ფაქტებს არ მარტო ახალგაზრდობისა და ხელმძღვანელების გაფრთხილებისათვის, არამედ იმიტომაც რომ არ შეიძლება, დიდხანს დარჩეს ასეთი ეროვნული ტრაგედია განუკითხავი და განუსჯელი. კანონიერებისა და სამართლიანობის როლი განუზომლად დიდია მასების პოლიტიკური რწმენისა და მორალური სიმტკიცის შენარჩუნების საქმეში. ყველაფერში მართლმსაჯულებისა და კანონიერების განხორციელება მალამოდ დაედება ერის გულისტკივილებს, და ამავე დროს საფუძველს გამოაცლის ცრუპატრიოტთა ობივატელურ წუწუნს ამა თუ იმ ეროვნული საკითხის ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით გადაწყვეტის გამო.

ასეთ ეროვნულ პრობლემად ასახელებენ, მაგალითად, საინგილოს, სამხრეთ საქართველოს, აფხაზეთის, საქართველოს ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და სხვა რეალურ თუ შეთხზულ პრობლემებს.

საჭიროა ნათლად განვასხვაოთ ამ პრობლემათა გადაჭრის თუ განხილვა-შეფასების ნაციონალისტური და ინტერნაციონალისტური პოზიციები. ასეთი პოზიციების ნათელი გამიჯვნა მით უფრო საჭიროა, რომ ყველა საკითხში ერთნაირად სრული და ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს და ზოგჯერ უბრალო ჭორი ედება საფუძვლად სერიოზულ პოლიტიკურ ბრალდებებსა და გაუთავებელ კამათს ამ ბრალდებათა გარშემო.

ავიღოთ თუნდაც საინგილოს საკითხი...

ეროვნული საკითხის მარქსისტული გადაწყვეტის თვალსაზრისით ყოველი სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი საზღვრების დადგენაში შეცდომაა. მაგრამ იმ პერიოდის რევოლუციურ მოღვაწეებს სჯეროდათ, რომ საზღვრებს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა ერი იცხოვრებს ისე, როგორც სურთ, მეგობრულად და ამხანაგურად, რომ ერთმანეთს ხელს შეუწყობენ და დაეხმარებიან. მაგრამ თუ ეს იმედი არ გამართლდა, თუ იდეოლოგიასა და თეორიას საგრძნობლად დასცილდა პრაქტიკა, მაშინ ძველი უნებლიე შეცდომა იჩრდილება ახალი შეგნებული დანაშაულის წინაშე. უნდა მოვითხოვდეთ საინგილოში მცხოვრები ქართველებისათვის ცხოვრების ისეთი პირობების უზრუნველყოფას, როგორი პირობებიც აქვთ საინგილოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს. ყოველ ინგილოს უნდა ჰქონდეს თავის მიწაზე მშვიდობიანი ცხოვრების, მშობლიურ ენაზე სწავლისა და შრომის შეუზღუდავი უფლება. ჩვენ კი, სამწუხაროდ, ვხედავთ, რომ საინგილოში ქართულ ენაზე სწავლა იკვეცება, ქართული გვარები იცვლება აზერბაიჯანულ გვარებზე, ადგილი აქვს ინგილოთა ეკონომიკურ შევიწროვებას და ყოველივე ამის შედეგია, რომ ისინი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობენ, მათი კულტურა დაბალია და რიცხობრივადაც მცირდებიან.

ჩვენი პრეტენზიები მინიმალურია: ჩვენ მოვითხოვთ, ისევე თავისუფლად და მშვიდად ცხოვრობდნენ ინგილოები თავიანთ მამაპაპურ მიწაწყალზე, როგორც ცხოვრობენ ჩვენში, საქართველოში, ჩვენს მამაპაპურ მიწაწყალზე აზერბაიჯანელები. საქართველოში მათ ყველა პირობა აქვთ შრომის, გამრავლების, ეროვნულ ენაზე სწავლისა და კულტურული განვითარებისა. ჩვენ არა თუ ვკვეცავთ მათ სკოლებს, არამედ მასწავლებელთა კადრებსაც ვუმზადებთ. მათ ენაზე გაზეთი გამოდის, რადიოსადგურები მუშაობენ და სხვა და სხვა. თუ ძმობა და თანასწორობაა, კეთილი ინებონ ჩვენმა აზერბაიჯანელმა ძმებმა და ისეთივე პატივი სცენ ინგილოებს, როგორ პატივსაც ვცემთ ჩვენ მათ აქ, საქართველოში. ამას მოითხოვს ჩვენგან პარტიის ეროვნული პოლიტიკა და ამ პოლიტიკის დარღვევის უფლება არავის არ უნდა მივცეთ.

ასევე მტკივნეულ საკითხად ითვლება სომეხი მოსახლეობის სიმრავლე სამხრეთ საქართველოში. ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს სომეხი ხალხისა. ისინი შრომისმოყვარენი და საკმაოდ ჭკვიანები არიან, რომ საცხოვრებლად კარგი ადგილები შეარჩიონ. სასაყვედუროა არა სომეხი ხალხი, რომელიც ასე გულმოდგინედ მრავლდება ყველგან და განსაკუთრებით საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, არამედ სასაყვედუროა ჩვენივე, ქართველი ხალხი, რომელიც ვერ მრავლდება და სასიცოცხლო პოზიციებს სხვას უთმობს. ეს უნდა აწუხებდეს ეროვნულ მთავრობას, იკვლევდეს მიზეზებს და სახავდეს ქმედით ღონისძიებებს საქართველოში ქართველების გამრავლების ხელისშეწყობისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას ეროვნული შემოსავლის განაწილების შესახებ არსებული გაუგებრობის გამო. ჩვენ ყოველთვის სწორად არ განვუმარტავთ მოსახლეობას და ახალგაზრდობას ამ საკითხს და ნებით თუ უნებლიეთ ზოგჯერ ხელს ვუწყობთ არაჯანსაღ მსჯელობას ამ საკითხთან დაკავშირებით.

... დღეს უკვე ძნელია საქართველოში ისეთი კოლექტივის ან დაწესებულების პოვნა, სადაც ქართველებთან ერთად არ მოღვაწეობდნენ სხვა ერების წარმომადგენლებიც. ერთ-ერთი ასეთი მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური კოლექტივია ჩვენი ინსტიტუტი... ვფიქრობთ, რომ ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება, თუ არ დავარღვევთ თანასწორობის პრინციპს და ისევე სავალდებულოდ ვასწავლით ქართულ ენას საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ახალგაზრდობას, როგორც ქართველები სწავლობენ სავალდებულო წესით რუსულ ენას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა კონსტიტუციით სავსებით სუვერენული სახელმწიფოა, მას თავისი სახელმწიფო ენა აქვს და სანამ ენა ითვლება ერის კულტურისა და თავისთავადობის უპირველეს იარაღად — იგი უნდა მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო ენა ყველა დაწესებულებასა და ყველა ინსტანციაში. ამ კონსტიტუციურ უფლებას არ უნდა ვარღვევდეთ, ხოლო დარღვევას არ უნდა ვურიგდებოდეთ. ამ საკითხზე ყურადღებას ვამახვილებთ არა მარტო იმიტომ, რომ კონსტიტუციური თანასწორობის პრინციპი მოითხოვს ამას, არამედ იმიტომაც, რომ ენა არის მთავარი საშუალება, შენარჩუნებულ იქნას რესპუბლიკაში ქართველ და არაქართველ მოსახლეობათა რაოდენობრივი თანაფარდობის სასურველი დონე. ენის გარეშე ერი ვერ დაიცავს თავს მეგობართა მხრივ მშვიდობიანი და თანდათანობითი შემოსევისაგან, ენა არის ერის ფარიც და მახვილიც. თუ მახვილი საჭირო აღარაა, ფარი მაინც უნდა გვეჭიროს ხელში.

... ნება მომეცით გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ღირსეულად გააგრძელებენ რევოლუციურ ბრძოლას, ახალგაზრდობას აღზრდიან მეტი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის სულისკვეთებით, ნაკლოვანებებისადმი მეტი შეურიგებლობის, პრინციპულობისა და იდეურობის სულისკვეთებით და ყოველივე ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის საგანძურში.

სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ დღეს ტრადიციულის გვერდით არატრადიციული წყაროებით ელექტროენერგიის მოპოვებაზე, განსაკუთრებით კი ეკოლოგიურად სუფთა მზის ენერგიის გამოყენებაზე — როცა მზის ბატარეებით უშუალოდ მიიღება ელექტროდენი.

და. არა მარტო ლაპარაკობენ.

მსოფლიოში ერთ-ერთი მძლავრი ელექტროტექნიკური ფირმა „სიმენსის“ მიწვევით მიუნხენში ყოფნის დროს ფირმის სპეციალისტებმა გვითხრეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ ეკუთვნის მზით „განებივრებულ“ ქვეყნებს, 1700 მზიანი საათი ძალზე სუსტად გამოიყენება (ესპანეთის 2600 მზიან საათთან შედარებით), მაგრამ ამის მიუხედავად „სიმენსი“ დიდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ატარებს ეკოლოგიურად სუფთა მზის ბატარეების შესაქმნელად და პრაქტიკაში დასანერგად.

უკვე შექმნილია მზის ბატარეა, რომლის 8 ათას მოდულში გაერთიანებულია 300 ათასზე მეტი მზის ელემენტი. ბატარეის სიმძლავრემ 340 კილოვატი შეადგინა. მისგან გამომუშავებული დენი ელექტროგადამცემი ხაზებით იგზავნება მომხმარებლისაკენ. ფირმა „სიმენსი“ ემზადება საექსპლუატაციოდ გადასცეს გიგანტური ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად დაამზადებს 300 ათასი კვადრატული მეტრის მზის ელემენტებს. მასალად გერმანელი სპეციალისტები იყენებენ ამორფულ, ანუ უფორმო სილიციუმს, რაც ამარტივებს დამზადების ტექნოლოგიურ პროცესს და ავტომატიზაციის საშუალებას იძლევა. თხელი ფენები, ამბობენ სპეციალისტები, დიდ პერსპექტივებს სახავს. მომავლის ბაზარზე ძალზე დიდი მოთხოვნილება ექნება დენის ფოტოელექტრულ მიღებას თუნდაც ფანჯრის მინებიც საშუალებით. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამორფული სილიციუმისაგან დამზადებული თხელი საფენი, რომელიც ფანჯრის მინებზე იქნება გაკრული, ფანჯარას გადააქცევს მინიატურულ მზის ელექტროსადგურად.

მზის ელემენტების მარგი ქმედების კოეფიციენტი 16 პროცენტს აღწევს და სულ უფრო გაიზრდება, იმედოვნებენ მიუნხენში.

ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა მზის ბატარეების შემდგომ გაუმჯობესებისათვის ფინეთში ფირმა „ნეტე“. შექმნილია ეგრეთწოდებული „მზის ენერგიის სისტემა“, რომელიც წარმოადგენს მომხმარებლის საკუთარ ენერგეტიკულ მეურნეობას და გამოიყენება ქალაქებისაგან დაცილებულ ადგილებში ნაგებობების, კოტეჯების, პატარა სოფლების განათებისათვის. სისტემა კვებავს როგორც ტელევიზორებს, ასევე სხვა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებს საცხოვრებელ შენობებში.

„ნეტეს“ სპეციალისტებს განსაკუთრებით სასარგებლოდ მიაჩნიათ ამ სისტემის გამოყენება ისეთი დაშორებული სასოფლო ადგილებისთვის, სადაც არ არის საერთო ენერგოსისტემის ხაზების მიყვანის საშუალება, ან გართულებულია რელიეფის გამო, ანდა იქ, სადაც მოსალოდნელია ელექტროგადამცემი ხაზების ხშირი დაზიანება. „მზის ენერგიის სისტემა“ შეიძლება გამოყენებული იქნეს ცალკეულ კუნძულებზე კოტეჯების ან ღრმა ტყეში აგებული ნაგებობების ელექტრომომარაგებისათვის, იალქნიანი ნავების ასამოძრავებლად, ავტოტურისტების კემპინგებში და ა. შ. ფირმა სპეციალურად აღნიშნავს, რომ სისტემა არ აჭუჭყიანებს ჰაერს, ხელს არ უშლის ბუნებრივ პროცესებს, უსაფრთხოა და არ მოითხოვს ტექნიკურ მომსახურებას, ამასთან, ელექტრომომარაგებისათვის საჭირო არ არის რაიმე ხარჯები.

ახლახან პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ იაპონიის ფირმა „სანიოს“ სპეციალისტებმა დაამზადეს „მზის“ კრამიტი საცხოვრებელი სახლებისათვის. კრამიტი მინისაგან არის დამზადებული და დაფარულია ფოტოელემენტებით. გამოყოფილი ელექტროენერგია საკმარისია საშუალო სიდიდის სახლის ელექტრომომარაგებისათვის. ასეთი „მზის“ კრამიტის მარგი ქმედების კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია.

ცნობილმა იაპონელმა მეცნიერმა იკონორა კუვანომ ერთიანი ენერგეტიკული კომპლექსის შექმნის იდეა წამოაყენა.

კომპლექსი, რომელიც მზის ენერგიით იმუშავებს, დაიკავებს 815 კვადრატულ კილომეტრს, რაც უდაბნოების საერთო ფართობის მხოლოდ 4 პროცენტია. ამ გლობალური კომპლექსის საფუძველს შეადგენენ რეგიონალური ცენტრები მზის ბატარეიების ბლოკებისაგან. ეს ცენტრები უნდა განლაგდნენ დედამიწის სხვადასხვა წერტილში ისე, რომ ისინი ერთმანეთს გადასცემდნენ მზის ბატარეებისაგან გამომუშავებულ ელექტროენერგიას დღე-ღამის ნათელ და ბნელ დროში. რეგიონალურ ცენტრებს შორის დიდ მანძილებზე ნაკლები დანაკარგებით ელექტროენერგიის გადაცემისთვის გამოიყენებენ ზეგამტარულ კაბელებს. თუკი ამ საქმის განსახორციელებლად გაერთიანდება ყველა ქვეყანა, ასეთი სისტემა შეიძლება მწყობრში შევიდეს 2000 წლისათვის.

ასე ფიქრობს იკონორა კუვანო.

მაშ ასე, დედამიწის ერთი ნაწილი განათებულია მზით, ხოლო მეორე ნაწილში ბნელა. და აი, მზიან ტერიტორიაზე მზის სხივებით გამომუშავებული ელექტროენერგია გადაეცემა იმ ტერიტორიას, სადაც სიბნელეა. მერე პირიქით ხდება —ელექტროენერგია მეორე მხარეს მიეწოდება მომხმარებლებს.

ამერიკელი სპეციალისტები აცხადებენ, რომ 2000 წლისათვის მთელი ქვეყნის ელექტროენერგიის მოთხოვნილების 2





ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფთა ენერგეტიკა? დიახ, ეჯის ეროვნულებით

პროცენტი, იქნებ მეტიც, მზის ბატარეებით დაკმაყოფილდება, რაც ქვეყანას მილიარდ დოლარ ეკონომიას მისცემს, რადგან შემცირდება ნავთობის შესყიდვა. როგორც სტენფორდის უნივერსიტეტის (აშშ) მეცნიერმა რიჩარდ სოუნსონმა ამასწინათ განაცხადა, მისმა ჯგუფმა მზის ბატარეის მარგი ქმედების კოეფიციენტი 35 პროცენტამდე გაზარდა. ამასთან, ერთ-ერთი ამერიკული ელექტროკომპანია დიდ თანხას ხარჯავს მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის. მუშავდება ეკოლოგიურად სუფთა ელექტროსადგურების პროცენტები. მაგალითად, ლოს-ანჟელოსში (კალიფორნიის შტატი) 1995 წელს ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს პიკის საათებში, როცა განსაკუთრებით სრული დატვირთვით მუშაობენ კონდენციონერები, მომხმარებლები სწორედ ეკოლოგიურად სუფთა ელექტროსადგურებიდან მიიღებენ.

ესპანეთის მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ელექტროენერგიის მოთხოვნილების 20 პროცენტი შეიძლება დაიფაროს მზის ბატარეების გამოყენებით. ისინი საყვედურობენ მთავრობას ამ საქმისადმი უყურადღებობას. მზის ენერგიის ინსტიტუტში სპეციალისტებმა შექმნეს ევროპაში ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის (20 პროცენტი) მქონე მზის ბატარეები. ამ ინსტიტუტის დირექტორმა ანტონიო ლუკემ საყვედური გამოთქვა მადრიდის გაზეთ „პაისის“ კორესპონდენტთან საუბარში იმის გამო, რომ მიუხედავად ამ წარმატებისა, ესპანეთში ნაკლებად ფიქრობენ მზის ენერგიის დიდი მასშტაბით გამოყენებაზე და არ ხდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სათანადოდ დაფინანსება.

როგორც ირკვევა, ესპანეთის ელექტროკომპანიები, რომლებიც ოფიციალურად მხარს უჭერენ მზის ბატარეების გაუმჯობესებას, პრაქტიკულად გამოდიან ეკონომიკური მოსაზრებებიდან. ისინი მზის ბატარეებს ადარებენ ნავთის, გაზის და ქვანახშირის მოხმარებას ელექტროენერგეტიკაში და ითვალისწინებენ ამ უკანასკნელ პერიოდში მათი მოპრვების შემცირებას.

საქართველო მზიანი მხარეა.

ქართველი მეცნიერები ამ გარემოებას ითვალისწინებენ და დიდ დაინტერესებას იჩენენ ეკოლოგიურად სუფთა „მზის ენერგეტიკის“ განვითარებისადმი.

1988 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება № 369, რომელშიც ყურადღება მიექცა მზის მოდულების დახმარებით მისი ენერგიის გამოყენების საკითხს და ამ მიმართულებით მუშაობისათვის სათანადო პროგრამის შემუშავებას.

ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკის შესაქმნელად საქართველოში უნდა შეიქმნას „მზის ენერგეტიკის“ ცენტრი, რომელიც იმუშავებს მზის ბატარეების დამზადებასა და პრაქტიკულად დანერგვას.

ცენტრმა უნდა დააზუსტოს მზის ბატარეებზე მოთხოვნილება სახალხო მეურნეობის დარგებში და მიიღოს დაფინანსება დაინტერესებული ორგანიზაციებიდან, შექმნას ექსპერიმენტული წარმოება, სისტემატურად მოუყაროს თავი საზღვარგარეთულ ინფორმაციას. მისი მთავარი საზრუნავი უნდა გახდეს უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო სპეციალისტების მომზადება, ამ საკითხზე ლიტერატურის გამოცემა, უცხოეთში სპეციალისტების მივლინება და უცხოეთის ფირმებთან კონტაქტების დამყარება, კერძოდ, ერთობლივი საწარმოების შექმნა. ცენტრმა თავი უნდა მოუყაროს აგრეთვე ინფორმაციას საბჭოთა კავშირში უკვე მოქმედი მზის ბატარეების გამოყენების შესახებ და ზოგიერთი ბატარეა ექსპერიმენტის სახით დაამონტაჟოს რესპუბლიკაში.

ასეთი ცენტრი დაამუშავებს სათანადო გრაფიკ-ლონისძიებებს და სრულ კოორდინაციას გაუწევს ცალკეულ დაწესებულებებში სპეციალისტების მოღვაწეობას მზის ბატარეების დამზადებისათვის საჭირო თემების დამუშავებაში.

ცენტრი იკისრებს პასუხისმგებლობას საქართველოში „მზის ენერგეტიკის“ გამოყენების დასაჩქარებლად, რაც ასე ძლიერ საჭიროა როგორც ეკოლოგიურად, ისევე მცირე ენერგეტიკის განვითარების თვალსაზრისითაც.

ნობელის პრემიის ლაურეატმა ინგლისელმა მეცნიერმა ჯორჯ პორტერმა თქვა: „მინდა, იმედი ვიქონიო, რომ კაცობრიობის პროგრესი მთლიანად მზის ხარჯზე მოხდება.“

ანდრე კარბელაშვილი

საუბარი ასტროლოგებთან თამარ და პავლე გლოგებთან

— თამარ და პავლე, ჩვენ გვიხარია, რომ სიტყვა „ასტროლოგია“ კვლავ ყოველგვარი გასაიდუმლოების გარეშე ლექსიკონში შეიტანეს და თვით ამ მეცნიერებისადმი დამოკიდებულება ისევ სერიოზული გახდა. თქვენ, ასტროლოგები, არაჩვეულებრივი პოპულარობით სარგებლობთ, ყოველი მხრიდან გეპატიჟებიან, დღეს ყველასათვის სასურველი ხართ, თქვენი აუდიტორია საკმაოდ ფართოა და თითქოს ყველაფერი მშვენივრადაა და არავითარი პრობლემები არა გაქვთ... მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყოველთვის არ იყო ასე. იყო დრო, როცა თქვენი არ ესმოდათ, არ სწამდათ, ყოველმხრივ ხელს გიშლიდნენ, ყოველი მხრიდან გდევნიდნენ და სხვადასხვა იარლიყს გაწებებდნენ. ამრიგად, დასაწყისში, მოკლედ მოგვახსენეთ: ასეთ ცხოვრებამდე რამ მიგიყვანათ?

თამარი. ჯერ კიდევ რაღაც წლინახევრის წინ ჩვენი ცხოვრება ძალიან წაგავდა შემზარავ დეტექტივს, რომლის მოქმედება ხან აშკარად, ხან კი სრული საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა. სიძნელე და ნერვიულობა თავზე საყრელად შეგვხვდა. ბევრი რამის გახსენებაც კი არ მინდა... ნერვიულ ნიადაგზე, მთელი ამ ტანჯვის გამო, 1985 წელს ახალდაბადებული ბავშვი დაგვეღუპა. ეს მოხდა მაშინ, როცა პავლე ლენინგრადში მეცნიერთა წინაშე გამოდიოდა, რის შემდეგაც ჩვენ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში გამოგვიძახეს. მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი და თქვენ თვითონ მიხვდებით ყველაფერს...

— რა? სუკ-ში გამოგიძახეს? ლენინგრადში?

პავლე. არა, მოსკოვში, სადაც ლენინგრადის მეცნიერთა სახლში ჩემი სამი გამოსვლის შემდეგ ჩავედით. მე ასტროლოგიის შესახებ ვყვებოდი, მის მეთოდებზე, პრინციპებზე და ა. შ. მოსკოვში დაბრუნებისთანავე ორგანოებში მივიღე მიპატიჟება.

— კონკრეტულად რაში გდებდნენ ბრალს?

პავლე. იდეოლოგიისადმი ვნების მიყენებაში.

თამარი. გვეუბნებოდნენ, რომ ეს „არაა ჩვენი იდეოლოგიური პლატფორმა“, მისტიკაა. ხოლო რაში სჭირდებაო მისტიკა ხალხს?

— და რით დამთავრდა ყველაფერი ეს?

თამარი. არაფრით. ასე ოთხიოდე თვის შემდეგ უცებ სიჩუმე ჩამოვარდა.

პავლე. ჩემი თანამდებობრივი დაქვეითება ან სამსახურიდან განთავისუფლება, უბრალოდ, არ შეეძლოთ: სადღა უნდა ჩამოვექვეითებინე, მაშინ დარაჯად ვმუშაობდი...

თამარი. აქ მცირე დაზუსტებაა საჭირო. პავლე, საერთოდ, უმაღლესი განათლებითაა, ისტორიკოს-არქივისტია, მოსკოვის ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, რამდენიმე წელი არქივარიუსად მუშაობდა, არქეოლოგიურ ექსპედიციებში დადიოდა, ხოლო შემდეგ...

პავლე. ხოლო შემდეგ, როდესაც ყველაფერზე გული გამიტყდა, დარაჯად დავიწყე მუშაობა. ეს უამრავ დროს მიტოვებდა ჩემს საყვარელ ასტროლოგიაში მეცადინეობისათვის. დარაჯად ყოფნას, პრაქტიკულად, სულ ცოტა ხნის წინ დავანებე თავი, მაშინ, როცა უშუს ფედერაცია ჩამოყალიბდა. ახლა ჩვენ ორივე ამ ფედერაციაში ვმუშაობთ, სადაც მე კოსმოსური ბიოლოგიის კომისიას ვხელმძღვანელობ.

— გთხოვთ მოგვიყვეთ, თუნდაც მოკლედ, მეცნიერებაზე, რომელსაც ასტროლოგია ჰქვია და მის მსოფლმხედველობაზე.

თამარი. ასტროლოგია ეს ემპირიული სისტემაა, ანუ ვარსკვლავებსა და პლანეტებზე დაკვირვების, შემდეგ კი ამ დაკვირვების შედეგების შემაჯამებელი სისტემა.

პავლე. ძველი ასტროლოგების მიერ დამტკიცებულია თეზისი გარკვეულ ციურ მოვლენებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ და კერძოდ, ცაზე პლანეტების განლაგებასა და იმ მოვლენებს შორის, რომლებიც დედამიწაზე ხდება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ჩვენი ცხოვრება, ადამიანთა ხასიათის თვისებები და პლანეტების გარკვეული მდებარეობა, კოსმოსური ფაქტორები ერთმანეთში გარკვეულ კავშირშია, რომელიც ემპირიული, საცდელი გზით მიიკვლევა. წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით ამისათვის აუცილებელია პლანეტების მდებარეობის, ერთმანეთთან და დედამიწის მიმართაც გადაადგილების გზებისა და ამ გადაადგილებათა კანონების ზუსტი ცოდნა. ამისთვის პლანეტების გადაადგილებათა სპეციალურ ცხრილებს, ეფემერიდებს უშვებენ ხოლმე. ჩვენ სწორედ ამ ცხრილებით ვსარგებლობთ. რა საფუძველზეა დამყარებული ჩვენი პროგნოზები? ასტროლოგიისათვის ესაა ადამიანის, სახელმწიფოს, რომელიმე ორგანიზაციის დაბადების დღე, ანუ ყველაფერი ის, რასაც დაბადების თარიღი გააჩნია. სწორედ ამ თარიღის მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმაზე, როგორ განვითარდება ესა თუ ის ადამიანი, სახელმწიფო ან ორგანიზაცია. აი, ასეთ პროგრამას, რომელიც დაბადების თარიღს ემყარება, ჰქვია ჰოროსკოპი.

— თქვენ ბრძანეთ, რომ გამოდის ხოლმე ცხრილი — ეფემერიდები. რამდენადაც გავიგე, ყველა ასტროლოგი ერთნაირი ცხრილებით სარგებლობს. ამ შემთხვევაში ამ ცხრილების პროგნოზებიც იდენტური უნდა იყოს. სინამდვილეში კი ასე არაა. ჩვენ ვხედავთ და ვისმენთ ხანდახან ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებულ, ხშირად საწინააღმდეგო შინაარსის პროგნოზებსაც.

თამარი. აქ ბევრია დამოკიდებული ასტროლოგის პიროვნებაზე. ხოლო, რაც მთავარია, მის პროფესიონალიზმზე, რაც უფრო ზუსტია მისი პროგნოზი, მისი პროფესიონალიზმი უფრო მაღალია.

პავლე. ამერიკელმა ფსიქოლოგ-სოციოლოგმა აიზენკმა, ცნობილი წიგნის „ასტროლოგია: მეცნიერება თუ ცრურწმენა?“ ავტორმა, შეამოწმა იმ უამრავი დასავლეთელი ასტროლოგის საქმიანობა, საკუთარ თავს პროფესიონალებად რომ მიიჩნევდნენ. როგორც აღმოჩნდა ყველა არსებული ასტროლოგიური პროგნოზირების მეთოდით მხოლოდ ორი მათგანი სარგებლობდა! რატომ? იმიტომ, რომ სხვები არაპროფესიონალები არიან. არაპროფესიონალიზმი ნებისმიერ საქმეს ღუპავს.

აი, ნამდვილი პროფესიონალიზმის მაგალითი: არსებობს ასტროლოგი გვარად ტროინსკი, რუსი ემიგრანტი. ჩვენი აზრით, იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ასტროლოგია. მისი ყველაზე სახელგანთქმული წიგნი — „1001 მსოფლიო პოლიტიკური ჰოროსკოპი“ დასავლეთშია გამოცემული. ამ წიგნით ბევრი დღესაც სარგებლობს. სწორედ ამ ტროინსკიმ 1954 წელს გამოუშვა წიგნი ხრუშჩოვზე. რატომ შეიძლება გვჯეროდეს ტროინსკისა? ჯერ კიდევ მაშინ დაინახა მან 1962 წელს მოსალოდნელი მსოფლიო ომის საშიშროება. მისი პროგნოზი დაადასტურა კიდეც კარიბის კრიზისმა... შემდეგ, როცა ტროინსკიმ გააანალიზა მაშინდელი საბჭოთა ხელმძღვანელობის დაბადების თარიღები, ის მივიდა დასკვნამდე, რომ იმ დროისათვის ყველაზე მოსალოდნელი

როდესაც ურანი ეერწყეულს უეუერთდება...



იყო ქვეყანაში ხრუშჩოვის მმართველობა, და ვთქვათ, ბულგანინი, უფრო დაბალი რანგის ფიგურა, ძალიან მალე უნდა ჩამოვარდნილიყო. როგორც ვიცით, ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა... ტროინსკიმ მაშინ ხრუშჩოვის მალე ჩამოვარდნაც იწინასწარმეტყველა. მაგრამ ეს უკვე 1962 წლის იმ სავარაუდო ომის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ასეც მოხდა. და კიდევ, იმავე 1954 წელს მან არაჩვეულებრივად ზუსტად იწინასწარმეტყველა თვითშეგნების გამოღვიძება არაბულ სამყაროში 70-80-იანი წლებისათვის. ამასთან, ტროინსკიმ ისიც აღნიშნა, რომ 30 წლის მანძილზე ახლო და შუა აღმოსავლეთის ეს რეგიონი მოთუხთუხე ქვაბს დაემსგავსებოდა. მღელვარება კი მხოლოდ 90-იანი წლების ბოლოს დაიკლებდა.

— საინტერესოა, დიდი ისტორიული მოვლენებიდან თქვენ რომლის წინასწარმეტყველება შეძელით?

პავლე. რამდენიმე წლის წინ, უფრო კონკრეტულად 1979-80-იან წლებში მოგვიხდა ლაპარაკი განახლების იმ პერიოდზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ხუთი წლის შემდეგ ელოდა. თუმცა, ამ განახლებისთვის სიტყვა „პერესტროიკა“ არ გვიწოდებია, მაგრამ მაინც... მაშინ არავინ დაგვიჯერა. ამბობდნენ: „ეს ჩვენს სიცოცხლეში არ მოხდება“. აი, ასეთი რეაქცია იყო.

სამწუხაროდ, დღემდე ცოტას თუ სჯერა ჩვენი, როცა რაიმე მოვლენის პროგნოზს ვაკეთებთ. სომხეთში მიწისძვრასთან დაკავშირებით საინტერესო შემთხვევა მოხდა. მე სპეციალურად ამით არ ვიყავი დაკავებული. უბრალოდ, ჩვენი ნაცნობები კავკასიაში გამგზავრებას აპირებდნენ და გვკითხეს, შეიძლება თუ არაო იქ წასვლა? ჩავიხედე ცხრილებში და რას ვხედავ?! სომხეთში სტიქიური უბედურებაა მოსალოდნელი. მაგრამ ზუსტად ასე არ მითქვამს მათთვის. არ მითქვამს, რომ სწორედ მიწისძვრა უნდა მოხდეს. ვთქვი ის, რაც ღავინახე — სტიქიური უბედურება. ჩემი პროგნოზით ის უნდა მომხდარიყო 1988 წლის 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე, შუალედში. ყველაფერი კი როგორც იცით 7 დეკემბერს მოხდა...

თამარი. უნდა გითხრათ, რომ პავლემ რამდენადმე გამოიცნო ჩერნობილის ტრაგედიაც. პავლე მეგობრებს ეუბნებოდა, ჩვენთან თითქოს რაღაც ლოკალური ბირთვული ომია მოსალოდნელიო. ამ ტრაგიკულ ამბამდე ჯერ კიდევ ორი-სამი დღით ადრე ერთი ჩვენი მეგობარი აღშფოთებას გამოთქვამდა: „რას ბოდავ, აბა, თქვი, როგორ შეიძლება, ბირთვული ომი ლოკალური იყოს?! თუ ომი მართლაც იქნება, ხომ ნათელია, რომ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მსოფლიო ომი“...

და უცებ ის გვირეკავს რამდენიმე დღეში: „ჩერნობილის ატომურზე იმხელა ტრაგედია მოხდა გუშინ!“... შეძრწუნებული იყო და ტელეფონით გაგვაგებინა ყველაფერი, ჩვენ ქვეყანაში კი ამის შესახებ ჯერ არავინ არაფერი იცოდა... ვლადივოსტოკშიც ვიწინასწარმეტყველეთ ამგვარი ავარია, მაგრამ საბედნიეროდ, ჩერნობილთან შედარებით უფრო მცირე მასშტაბებში.

— გაქვთ თუ არა თქვენ ჩვენი ქვეყნის, ან იქნებ მთელი მსოფლიოს განვითარების გზა, ასე ვთქვათ, საერთო ხასიათის პროგნოზი?

პავლე. რა თქმა უნდა გვაქვს. მაგალითად, ჩვენ ავაგეთ ორი ჰოროსკოპი, ორივე ჩვენ ქვეყანას ეხება: ერთი ოქტომბრის რევოლუციის აღსრულების თარიღზე, ხოლო მეორე სსრკ-ს შექმნის თარიღზეა გაანგარიშებული. სიტყვამ მოიტანა და ამ გაანგარიშებების მიხედვით ძალიან კარგად ჩანს, წარსულში რა მოხდა, რა გვემართება ახლა და რა იქნება მომავალში. წარსულზე უკვე ვილაპარაკეთ, ხოლო რაც შეეხება ახლა მიმდინარე პროცესებს... ჩვენ კვლავ არავინ გვიჯერებს, როდესაც ვამბობთ, რომ ქაოსი, ეკონომიკის რღვევა, არეულ-დარეულობა, და ბოდიში მომითხოვია, ბარდაგი, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, როდისმე მაინც დასრულდება.

ჩვენი ვარაუდით, და ეს გამოკვეთილად ჩანს ჰოროსკოპებში, 1996 წლამდე ჩვენ ძალიან მკაცრი, მძიმე პერიოდი გვექნება. დიადი მიჯნა, ჩვენი აზრით 92-93 წლებზე მოდის. ეს იქნება უმძიმესი კატაკლიზმი იდეოლოგიურიც, ეკოლოგიურიცა და ეკონომიკურიც, შესაძლებელია ნგრევა, შიმშილი, სიცივე...

— საკმაოდ ულიმლამო პროგნოზია... რა, ნუთუ ჩვენ ასეთი შავბნელი მომავალი გველის? და წინ იმედის არავითარი ნაპერწკალი არ ჩანს?

პავლე. როგორ არა, ჩანს. მე, უბრალოდ, აზრი ბოლომდე არ დამიმთავრებია. ამრიგად, გავევლით რა ბოლომდე მთელ ამ შავბნელ პერიოდს, ჩვენ ყოველმიზეზგარეშე დიდი, ნათელი ცვლილებების კარიბჭესთან მივალთ. ამაში დარწმუნებული ვართ. უფრო ზუსტად, 1996 წლიდან, როცა ურანი მეორწყულს შეუერთდება, ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ მოსახდენის [illegible] შედეგებში. საბოლოო ჯამში ყველაფერი სულ სხვაგვარი გახდება.

თამარი. იცით, საქმე იმაშია, ცოტა ვინმე თუ გრძნობს, რომ მსოფლიო ახლა დიდი გარდატეხის ზღვართანაა მისული.

პავლე. ჩვენ უბრალოდ კი არ ვდგავართ, როგორც ხშირად ამბობენ, გადარჩენის ზღვარზე. კაცობრიობის თვითლიკვიდაცია ძალიან ელემენტარული რამ იქნებოდა. არა, საქმე ამაში არაა! უმთავრესი ისაა, რომ ჩვენ თვისებრივი ცვლილებების მიჯნაზე ვიმყოფებით. უფრო ზუსტად, ყველაფერ იმის გადატრიალების წინ ვართ, რასაც ჩვენ ცნებაში „ცივილიზაცია“ ვაქსოვთ. მაგრამ ჩვენი ისევ არა სჯერათ, ე. ი. არაფრისთვის არანაირად არ ემზადებიან. და რახან ასეა, პოლიტიკაშიცა და ცხოვრების ნებისმიერ სფეროშიც, მოვლენები გაუთვალისწინებლად განვითარდება. და ეს მაშინ, როცა ასტროლოგიური მეთოდები უკვე დიდი ხანია ითვალისწინებენ მოვლენების ამდაგვარ მსვლელობას, განსაკუთრებით ისტორიის გარდამტეხი მომენტების მიჯნაზე, ყველაზე დაუჯერებელი, ყველაზე თითქოსდა გიჟური და უაზრო სიტუაციების წარმოქმნისას. მათი წინასწარ განჭვრეტა უმეტესობას შეუძლებლად მიაჩნია.

თამარი. და ყველაფერი ეს სწორედ 1996-დან 2003 წლის პერიოდში მოხდება. ამ დროიდან ჩვენს ქვეყანაში სულიერი კულტურის ნამდვილი აყვავება დაიწყება. და აი რატომ! დედამიწის ღერძის ბრუნი, ანუ

პრეცესია, როგორც ცნობილია, 2160 წელიწადში ერთხელ ხდება. ახლა მორიგი ბრუნი მთავრდება, დედამიწამ თითქმის გაიარა თევზის ასტროლოგიური ნიშანი, 2003 წელს კი მერწყულის ნიშანში გადავა. ჩვენი ქვეყანა (უფრო სწორად ტერიტორია, რომელზეც ის მდებარეობს) ზოდიაქურ ცხრილში მერწყულის ნიშანქვეშ იმყოფება. ამგვარად, შემდეგი 2160 წელი მერწყულის ნიშნის ქვეშ მყოფი (ე. ი. ჩვენი ქვეყნის) ტერიტორიის აღზევების ხანაა. აქ შექმნილი მთელი კულტურა, თითქოსდა, სულიერი აღორძინების გზით ივლის. და აი რა არის საინტერესო და საოცარი: დადგება დრო, როცა გაჩნდება სრულიად ახალი, ჯერ არ არსებული ფორმაცია, რომლის წარმოდგენაც კი დღეს-დღეობით არ შეგვიძლია.

პავლე. თუ ჩვენ დავუბრუნდებით დღევანდელ არეულობას და კრიზისულ მოვლენებს, ისინი უნდა იმით აიხსნას, რომ წელს სატურნი და ნეპტუნი თხის რქაში ერთიანდებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორედ წელს ხდებოდა და ხდება კაცობრიობის ეროვნული და სულიერი თვითშეგნების აფეთქება. განსაკუთრებული ინტენსივობით კი ეს ამბები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს. და აი რატომ! ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ნოსტრადამუსმა ამ მოვლენას შემდეგი სტრიქონები უძღვნა:

დიდი პარადები იქნება
ჩრდილოეთით,
სინდიხზე შეეკითხეთ ყვიფელ
გველს ახლა.
სატურნს და იუპიტერს სიმშვიდე
მოელტვის,
თხუთმეტი მეგობარი კი ადის
მაღლა...

თამარი. აი, რა აზრია ამ სტრიქონებში: პირველი სტრიქონი ესაა პლანეტების დიდი პარადი, რომელიც 1982 წლიდან 1994 წლამდე მიმდინარეობს. მეორე სტრიქონი — ახლა ჩვენ სწორედ ქვიშის ყვითელი გველის წელიწადში ვცხოვრობთ და, როგორც ვიცით, სულიერების პრობლემა ჩვენში ძალიან მწვავედ დგას. მესამე სტრიქონი ასე აიხსნება: 1989 წელს ხდება ოპოზიცია სატურნსა და იუპიტერს შორის, ხალხისა და ხელისუფლების დაპირისპირება, ე. ი. ხალხი და ხელისუფლება კონფრონტაციის მდგომარეობაში იქნებიან. ეს ყველაფერი დაახლოებით მომავალი წლის აგვისტომდე გაგრძელდება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხალხსა და ხელისუფლებას შორის განხეთქილება და დაახლოება ერთმანეთს შეენაცვლება. შეიძლება მეშახტეთა გაზშირებული გაფიცვებიც ამ დაპირისპირების ნიშანია...

— და „თხუთმეტი მეგობარი“ რაღაც ჩვენს რესპუბლიკებს ხომ არ წააგავს ძალიან?

პავლე. გამორიცხული არაა. სხვათა შორის, ჩვენს ჰოროსკოპში გამოკვეთილად ჩანს ნაციონალური მღელვარების ხანძრები. როცა პლუტონი მზის მიმართ ზეცის გარკვეულ წერტილში ჩნდება, შეინიშნება სახალხო მღელვარების ქაოსური აღმავლობა. ეს შემთხვევა უკვე ორჯერ განმეორდა. უკანასკნელად ეს 1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში მოხდა (მაგალითად, კიშინიოვის ამბები). გაისად, ზაფხულში, ასე მაისივნისში პლუტონი კვლავ ამ წერტილს დაუბრუნდება, ეს იქნება პლუტონის მესამე, უკანასკნელი წრებრუნი.

თამარი. დიახ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ეს პერიოდი შეიძლება უაღრესად მძიმე გამოდგეს. მოსალოდნელია სერიოზული სახალხო მღელვარებები, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვება, ბევრი ლაპარაკი, დავა...

— ნაციონალურ მღელვარებებს გულისხმობთ?

თამარი. დიახ, სწორედ ნაციონალურს. უნდა მოხდეს რაღაც დიდი სტრუქტურული ნგრევა. ის მღელვარება, რასაც ოთხმოცდაცხრა წლის ნოემბერში მიეცა ბიძგი, სულ უფრო გაიზრდება და აზვირთდება. თუ ამ ორ ჰოროსკოპს დავხედავთ, დავინახავთ, რომ საბჭოთა კავშირისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და კრიტიკული 1994 წელი იქნება.

პავლე. ამ დროს ურანი და ნეპტუნი მერკურიზე ერთდებიან. საბჭოთა კავშირის შექმნიდან ამ მომენტისათვის 72 წელი იქნება გასული, ე. ი. ის უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება ოქტომბრის რევოლუციის ჰოროსკოპს, აქ მართებული იქნებოდა ისევ ნოსტრადამუსი გავიხსენოთ. ნოსტრადამუსი ამბობდა, რომ სწორედ ოქტომბერში იფეთქებს რევოლუცია, რომელიც რევოლუციებს შორის რაც კი ოდესმე მომხდარა, ყველაზე უფრო მრისხანე იქნება.

თამარი. ამის შესახებ ნოსტრადამუსი თავის კეისარს წერდა, რომ ეს რევოლუცია წარმოშობს ახალ ბაბილონს, პროსტიტუციას.

პავლე. და სხვა საშინელებებსა და უბედურებებს. „და უფრო შემცირდებოდა ადამიანთა სიცოცხლის დღენი, რომ ეფალს ყველაფრისათვის ბოლო არ მოეღო“. ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებით, ეს ყველაფერი 73 წელი და 7 თვე გაგრძელდება.

თამარი. ასე რომ, 1991 წლის მაის-ივნისი ჩვენი რევოლუციისათვის დიდი გამოცდის ჟამი იქნება.

პავლე. ის, რისი ციტირებაც მე გავაკეთე, ჯერ არავინ არ იცის.

თამარი. დიახ, ამის შესახებ ჩვენ ჯერ არსად არაფერი გვითქვამს. ხოლო შემდეგ ნოსტრადამუსი ამბობს, რომ მოვა „აღმდგარი და განახლებული ქრისტე, და დადგება ისეთი ნეტარება, რომ საჭირო გახდება მისი დიდი ხნით სოროში გადამალვა“... მაგრამ ეს უკვე მომავალი საუკუნის დასაწყისში მოხდება.

— სწორედ იმ 2003 წელს?

თამარი. დიახ, ნოსტრადამუსის მიხედვით სწორედ ამ დროს უნდა მოვიდეს აღმდგარი და განახლებული ქრისტე.

— დიდი ხანია, რაც ეს ორი ჰოროსკოპი ააგეთ?

პავლე. დიახ, საკმაო ხანია. ჩვენ მუდმივად თვალყურს ვადევნებთ მათ.

— კორექტირებას თუ უკეთებთ?

პავლე. რა თქმა უნდა. აი, ვთქვათ, ოქტომბრის რევოლუციის ჰოროსკოპი. ეს საბჭოთა ეთნოსის ცხოვრებაა, ე. ი. იმ პროცესების განვითარება, რომლებიც სახელმწიფოს, ხალხის დონეზე ხდება. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ჰოროსკოპს, ესაა მრავალეროვანი წარმონაქმნისა და იერარქიული სტრუქტურის ჰოროსკოპი, მართვის სისტემებს რომ განეკუთვნებიან. რასაკვირველია, ამ ჰოროსკოპების ურთიერთშეთანხმებაა საჭირო.

— და ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან?

პავლე. პირიქით, ძალიანაც ეთანხმებიან. ეს ჰოროსკოპები ერთმანეთს რომ ეწინააღმდეგებოდნენ, ჩვენ ისინი მაშინ მკვდრადშობილებად უნდა გვეღიარებინა.

თამარი. იცით, აქ საერთოდ საოცარი ამბები ხდება: არაჩვეულებრივად კარგადაა შერჩეული რევოლუციის დრო. ცნობილი სიტყვები, რომ „გუშინ ადრე იყო, ხვალ კი გვიან იქნება“, შემთხვევით არაა ნათქვამი. რევოლუციის მოსახდენი მომენტი უდიდესი სიზუსტით იყო ამორჩეული! ჩვენთან კი ზოგიერთები თვლიან, რომ ისინი მიამიტები იყვნენ. ეს ჩვენი რევოლუციონერები...

— სსრკ-ს ჰოროსკოპში ჩანს თუ არა რამე კატაკლიზმები, რომლებიც უკვე მოხდა და ზუსტად ემთხვეოდა ნაწინასწარმეტყველებს?

პავლე. დიახ. ამ ჰოროსკოპში მითითებულია 1962 წლის სავარაუდო ომის შესახებ, რაზეც გვაფრთხილებდა 1954 წელს ტროინსკი. არის აგრეთვე მინიშნება ჩინეთთან კონფრონტაციაზე, რაც 1968 წელს შეიძლება დაწყებულიყო. მეტიც, ამ ორი ჰოროსკოპის მიხედვით შეიძლება ლაპარაკი ზოგიერთ საიდუმლოებით მოცულ ამბებზე, რომლებიც ჯერ არ გამოაშკარავებულან...

— თვლით თუ ეარაუდოთ, ჩვენ, რომ ქვეყანაში არის ძალები, რომელთაც ხელს ანძალებენ მთელი ეს კრიზისი და, რომლებიც ბერკეტებს ხან იქით, ხან აქეთ ექაჩებიან?

პავლე. დიახ, სწორედ ასეა. რასაკვირველია, ბოლოსდაბოლოს, ეს ძალები გამოაშკარავდება. მაგრამ ჯერჯერობით არსად და არავის მათზე არ მიუნიშნებია.

— ე. ი. მთელ ამ ქაოსს ორგანიზებული მაფია მართავს?

პავლე. რასაკვირველია, მაფიამ კარგა ხანია სახელმწიფოს სხეული გაუღინთა და სწორედ ისაა ახლა დესტაბილიზაციის მმართავი ბერკეტი. თანაც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მაფია დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ სტალინის დროს, ომის დამთავრებისთანავე შეიქმნა.

— თქვენი საუბრის მოსმენისას ერთი აზრი არ მაძლევს მოსვენებას: ნუთუ ცხოვრებაში ყველაფერი ასე წინასწარ განსაზღვრულია და ბედისწერას ვერსად გაექცევი? თუა მაინც შესაძლებელი, იცნობდე ჰოროსკოპს და რაღაცნაირად გავლენა მოახდინო მოვლენათა მსვლელობაზე, გადაიყვანო ისინი სხვა კალაპოტში?

თამარი. პრინციპში, რა თქმა უნდა, შეიძლება. როგორც ვხედავთ, ყველაზე პოზიტიური ვარიანტი ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, სულიერი ამაღლებაა.

პავლე. ჰოროსკოპის მიერ ნაწინასწარმეტყველები პროცესი სტიქიური და უმართავი რომ არ გახდეს, ამისთვის მომზადებაა საჭირო. იმის გამო, რომ ნებისმიერი პროცესი წარმოიშობა ჯერ როგორც სტიქიური მოვლენა, მაგრამ შემდეგ ან მისი მართვა უნდა შევძლოთ, ან თვითდინების გზით წავა, ის დაამსხვრევს და მოსპობს ყოველნაირ მდგრად სისტემას.

თამარი. რადგან დიდი ხანია, რაც ჩვენი ხალხი სტიქიურად ვითარდება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მას ჰუმანური მსოფლმხედველობა მივცეთ. ხოლო ის მსოფლმხედველობა, რომელიც ჩვენ გვინდა ჩვენს ბავშვებშიც გადავიდეს, მოკლედ ასეთია: ყველაფერი, რაც ჩვენს თავს ხდება, შეუძლებელია ეფექტიანი იყოს საკუთარი თავის შეცვლის გარეშე. ძველად ამბობდნენ: საკუთარი თავის შეცვლით ადამიანი სამყაროს ცვლისო, ე. ი. ჩვენთვის არ არსებობს სხვა გზა, ჩვენივე თავის სრულყოფის გარდა.

— როგორღაა ეს ამბები ჩვენზე დამოკიდებული? ხომ არსებობს ჰოროსკოპი, სადაც ყველაფერი წინასწარაა განსაზღვრული?

თამარი. მაგრამ ჰოროსკოპი

დოგმა არაა. თუკი კოსმოსთან ჰარმონიაში ვიცხოვრებთ, თუ კოსმოსის გავლენა მოხდა დედამიწაზე ადამიანის მეშვეობით, დედამიწაც, ბუნებრივია, შეძლებს ჰარმონიული პასუხის გაცემას.

პავლე. ძველად, ბარემ, იმასაც ამბობდნენ, რომ ბედისწერის გარდა კიდევ არსებობს თავისუფალი ნებელობა. სწორედ ეს ორი ძალაა ჩვენი ბედის, ყოველი ადამიანის ცხოვრების გზის განმსაზღვრელი. არ შეიძლება, ყველაფერი მხოლოდ წინასწარგანსაზღვრულობამდე დავიყვანოთ.

— ე. ი. მაინც შესაძლებელია სხვადასხვა ვარიანტი?

პავლე. დიახ, ვარიანტები შესაძლებელია.

თამარი. ჩვენი მეთოდი საშუალებას აძლევს ადამიანს ერთი ცხოვრების განმავლობაშიც კი შეცვალოს თავისი ბედი. ჩვენთვის ჰოროსკოპი სწორედ სისტემაა, რეკომენდაციაა სრულყოფისკენ სავალ გზაზე. მეთოდიკაცაა და განვითარების გზაც. ხოლო, როგორც წესი, ყველა ადამიანს ერთი კი არა, როგორც მინიმუმი, სამი ალტერნატიული გზა აქვს. ჰოროსკოპი ადამიანს სთავაზობს ვარიანტებს გარკვეულ ეტაპებზე. ოღონდ ამ ეტაპებისათვის ადამიანმა გარკვეული პოტენციალი უნდა დააგროვოს. და მხოლოდ ამ დაგროვილი პოტენციალით შეუძლია მას განვითარების გარკვეულ დონემდე მისვლა და შემდეგ თავისი ვარიანტის ამორჩევა.

— გამოდის, თუ მას პოტენციალი არ გააჩნია, არჩევანის გაკეთებაც არ შეუძლია? და იგი წინასწარმოხაზული ბედის დინებას უნდა გაჰყვეს?

პავლე. დიახ, ტალღების ნებას უნდა მიენდოს, როგორც უნიჩბო ნავი... მაგრამ ეს ყველა ვარიანტთაგან უარესია.

— როგორ შეკითხვებს გისვამენ უფრო ხშირად?

პავლე. ოჰ, რას არ გვეკითხებიან! „არსებობს თუ არა იმქვეყნიური ცხოვრება?“, „როდის დადგება სამყაროს დასასრული?“, „როდის გაჩნდება საპონი?“, „თუ ჩვენ ქრისტე გვეწვევა, სად შეჩერდება იგი?“. მაგრამ ბოლო დროს უფრო მეტად უცხოპლანეტელებისა და კაშპიროვსკის ამბავი აინტერესებთ.

— და რა პასუხს სცემთ?

პავლე. ვპასუხობთ, რომ, რასაკვირველია, უცხოპლანეტელები არიან, ისინი მართლაც არსებობენ. ჯერ კიდევ ძველად სჯეროდათ, რომ იქნებოდა კონტაქტები სტუმრებთან კოსმოსიდან. კერძოდ, იგივე ნოსტრადამუსი წერდა ამის წესახებ XVI საუკუნეში.

თამარი. ახლა ბევრი ლაპარაკია ასეთი კონტაქტების შესახებ, მაგრამ მათ ისე აღიქვამენ, როგორც სენსაციას. შემდგომ, XXI საუკუნეში კი ასეთი კონტაქტები თავისუფლად აღიქმება. რატომაა სენსაციური ჩვენთვის ყველა ცნობა შეუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ? ეს ძალიან ადვილად აიხსნება. პირველ ყოვლისა, ჩვენი გონება ჯერ ვერ განვითარდა იმ დონემდე, სხვა ცივილიზაციების არსებობა რომ აღიქვას. ამ აზრს უნდა შევეჩვიოთ. მეორე, გვიახლოვდება ისეთი პერიოდი (XXI საუკუნე, მერწყულის ეპოქის დასაწყისი), როდესაც ადამიანის გონება პრინციპულად შეიცვლება.

— შეიძლება თუ არა ვიწინასწარმეტყველოთ, თუ სად, რომელ ადგილებში გამოჩნდებიან შეუცნობი მფრინავი ობიექტები?

პავლე. დიახ, შეიძლება. და შეიძლება იმიტომ, რომ ეს ობიექტები, როგორც წესი, ე. წ. მაღლმოსილ ადგილებზე ჩნდებიან ხოლმე. ასეთი ადგილები დედამიწის რამდენიმე წერტილში არსებობს. არის ასეთი მეცნიერება, ასტროგეოგრაფია. ეს მეცნიერება სწავლობს ადამიანისა და მისი გარემომცველი დედამიწური სივრცის ურთიერთმოქმედებას ერთიან ნოოსფეროში. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ყველაფერი, მიწიერიცა და კოსმოსურიც, ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ცის გარკვეულ ადგილებში ვარსკვლავების შეჯგუფება სხვადასხვაგარ გავლენას ახდენს დედამიწის ამა თუ იმ წერტილზე და მათ ენერგეტიკულად უფრო გაჯერებულს ხდის. ასეთი ადგილი დედამიწაზე რამდენიმეა. ერთ-ერთი მათგანია ბერმუდის სამკუთხედი.

— გამოდის რომ უცხოპლანეტელებს დედამიწაზე სწორედ ეს ადგილები იზიდავთ?

პავლე. ზუსტად ასეა. აი, მაგალითად, კიდევ ერთი ასეთი ადგილი გახლავთ პერმის ოლქი ურალთან ახლოს. აქ ამას წინათ აღმოაჩინეს შეუცნობი მფრინავი ობიექტები. ასეთია ვორონეჟისა და კურსკის ოლქებიც. აქ მაგნიტური ანომალიები არსებობს. ბაიკალიც ასეთივე მიმზიდველი ადგილია მფრინავი ობიექტებისთვის.

თამარი. დღეს ჩვენს ხელთაა სულ ახალ-ახალი დამამტკიცებელი საბუთები იმის შესახებ, რომ კოსმოსში არსებობენ გონიერი არსებები. ავიღოთ თუნდაც ნეპტუნის თანამგზავრი ტრიტონი. 1989 წლის აგვისტოში ტრიტონიდან მიღებულია სიგნალები, და ეს სიგნალები სავსებით გონივრულია. ეტყობა, იქაც არსებობს სიცოცხლის გონივრული ფორმა. ასე რომ, უცხოპლანეტელთა კვალის ძიება მომავლის საქმეა.

— თქვენ თქვით, რომ შემდეგი დიდი ჯგუფი კაშპიროვსკიზე გეკითხებათ.

თამარი. მართალია, მისი პოპულარობა კოსმოსიდან მოსული სტუმრების პოპულარობას თუ შეედრება. პირადად მე ვთვლი, რომ ის ძლიერი და ნებისყოფიანი კაცია და მას აქტიური ბიოველი აქვს.

არსებობენ ადამიანები, რომლებზეც კაშპიროვსკის ბიოველი უარყოფითად მოქმედებს და ისინი შეიძლება მისი სეანსის შედეგად ცუდად გახდნენ. ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა: შეუძლებელია, რომ ცოცხალი ადამიანი ყველაზე ერთნაირად ზემოქმედებდეს. დიდად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება: მკურნალის სულიერება. ასეთი ადამიანი ზემოქმედების ენერგიას საკუთარ სულში გაატარებს. ხოლო როგორც ადამიანის ჰოროსკოპიდან ვიცით, მის სულზე პასუხს აგებს მზე. თუ, მაგალითად, ამა თუ იმ ადამიანს სიამაყე ავადმყოფობად გადაჰქცევია (მე კი ვფიქრობ, რომ ვერავინ უარყოფს, რომ კაშპიროვსკის ძლიერად აქვს განვითარებული პატივმოყვარეობა), ეს მაინც სულის ავადმყოფობაა, რომელიც მზის ზეგავლენით მიმდინარეობს...

— და შესაძლებელია, რომ მისგან ეს ავადმყოფობა გადაგვედოს?

თამარი. ამაშია საქმე! ერთი სიტყვით, თუკი ვინმეზე კეთილ გავლენას ახდენდა კაშპიროვსკის ზემოქმედება, მას, როგორც იტყვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

პავლე. ყოველი ადამიანი ინდივიდუალურია. არ შეიძლება იმის მოთხოვნა, რომ კაშპიროვსკი ყველაზე ერთნაირად მოქმედებდეს. ამან შეიძლება მასობრივ სიგიჟემდე მიგვიყვანოს.

— ერთი შეკითხვა მასობრივ სიგიჟესთან დაკავშირებით: არასდროს გეკითხებიან სტალინზე, ბერიაზე და სხვა „ჰიპნოტიზიორებზე“ ამ კომპანიიდან?

პავლე. რასაკვირველია, გვეკითხებიან. მაგრამ არა იმდენად მასობრივ ფსიქოზთან, რამდენადაც ასტროლოგიასთან დაკავშირებით. მე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, მგონია სტალინი იცნობდა ასტროლოგიას. ყველაფრიდან ჩანს, ის დაინტერესებული ყოფილა ოკულტური მეცნიერებებით. არის აზრი, რომ არსებობს სრულიად რეალური კავშირი სტალინიზმსა და გურჯიევის მოძღვრებას შორის.

— გურჯიევი ვინღაა?

პავლე. გურჯიევი XX საუკუნის ოკულტიზმის მასწავლებელია, რომელიც ამბობდა, რომ ახალი ადამიანის შესაქმნელად (ყოველი ადამიანი [illegible] მდგომარეობაშია) [illegible] ცოცხლო ძალების გასაღვიძებლად და რევოლუციური მიმართულების მისაცემად, აუცილებელია ამ ადამიანის უმკაცრეს პირობებში ჩაყენება. ამ პირობებში ადამიანმა სრულიად ახლებურად უნდა შეიცნოს საკუთარი თავი. გურჯიევს ჰქონდა საკუთარი სისტემა და მეთოდიკა, რომელიც ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების ისეთ საშუალებებს გულისხმობდა ფსიქიკის მთლიანად შეცვლასა და შემდეგ მის საბოლოო დაშლას რომ იწვევდა. ბევრი ვერ უძლებდა ამას.

ხოლო, სტალინი და გურჯიევი რომ ერთმანეთს იცნობდნენ, ეს ახლა თითქმის დამტკიცებული ფაქტია. ისინი ერთ სასულიერო სემინარიაში სწავლობდნენ.

— და რა, სტალინი გურჯიევის მოძღვრებით ხელმძღვანელობდა?

პავლე. ყოველ შემთხვევაში, რაც შეეხება, ადამიანებზე ზემოქმედების ფსიქოლოგიურ მეთოდებს (მაგალითად, პატიმართა დამუშავებას ლუბიანკის ციხეში), ეს გურჯიევის მეთოდების ზუსტი განმეორებაა. ამავე მეთოდებით ხელმძღვანელობდა ბერიაც. სტალინსა და გურჯიევს ბევრი საერთო გამონათქვამი აქვთ. მაგალითად, სტალინი ამბობდა: „არსებობს ადამიანი, — არსებობს პრობლემა, არ არსებობს ადამიანი — არ არსებობს პრობლემაც“. გახსოვთ? გურჯიევიც ამასვე ამბობდა: „არის მოძღვარი — არის მოძღვრება, არ არის მოძღვარი — არ არის მოძღვრებაც“... შეუძლებელია, რომ ეს უბრალო დამთხვევა იყოს.

— გქონიათ თუ არა პრაქტიკაში შემთხვევა, კონკრეტული დახმარებისათვის რომ მოემართოთ თქვენთვის? ვთქვათ, სახელმწიფო ორგანიზაციებს ან იქნებ საგეგმო კომიტეტს?

თამარი. არა, საგეგმო კომიტეტს ჯერ ჩვენთვის არ მოუმართავს. ალბათ იქ თვლიან, რომ თვითონვე ყველაფერს ოსტატურად გეგმავენ. მაგრამ ამ კომიტეტს ჩვენთვის რომ თხოვნით მართლა მოემართოთ, ჩვენ შევძლებდით სარგებლობის მოტანას. შეიძლება რამეში დავხმარებოდით, კერძოდ, ხელს შევუწყობდით მომავალი მშენებლობებისათვის უკეთესი ადგილების შერჩევაში, ცალკეულ საწარმოთა ფუნქციონირების მიზანშეწონილებასა და მათ მიერ ადამიანების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის განსაზღვრაში.

— თამარ და პავლე დიდი მადლობა საუბრისათვის.

— თამარი და პავლე. გმადლობთ.

შალომ, ისრაელ!

ლამარა თელია

დღეს უკვე მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი იმ სიყვარულისა და ურთიერთმონატრების შესახებ, საქართველოდან წასულ ებრაელებსა და ქართველ ხალხს შორის რომ სუფევს.

საქართველოში უამრავი უცხო ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ არ არსებობს „ქართველი სომეხი“, „ქართველი რუსი“ ან „ქართველი ქურთი“, არსებობს მხოლოდ ქართველი ებრაელი;

ასევეა ისრაელშიც — პლანეტის ყოველი კუთხიდან დაიძრნენ ებრაელები საუკუნეთა მანძილზე დაუვიწყარი და საანტრელი სამშობლოსაკენ, მაგრამ არავინ იტყვის „ფრანგი ებრაელი“ ან „პორტუგალიელი ებრაელი“. აი, საქართველოდან ამოსულებს კი ქართველ ებრაელებს ეძახიან.

ამ ფენომენის ამოსახსნელად საგანგებო ლაბორატორიაც კი შეიქმნა პარიზში სორბონას უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე; უცხოელი სპეციალისტები იღებენ ფილმებს, ჩამოდიან საქართველოში, მიდიან ისრაელში, ესწრებიან ქორწილებს, ქართულ-ებრაული ასოციაციების ყრილობებს, 12-14 წლის ასაკს მიტანებული თეთრ ჩოხებსა და ქართულ კაბებში გამოწყობილი გოგობიჭების ბათ-მიცვებსა და ბარ-მიცვებს, ისრაელში შექმნილი ქართული ცეკვის ანსამბლებისა და ვოკალისტების კონცერტებს; თვალს ადევნებენ ისრაელში ქართულ ენაზე გამომავალ უამრავ გაზეთსა და ჟურნალს, ქართულ პოეზიასთან შესისხლხორცებულ, ქართულ ენაზე ამღერებულ პოეტთა ლექსების კრებულებს.

ყოველივე ეს კარგადაა-მეთქი ცნობილი.

მაგრამ მაინც, ძნელია, თითქმის შეუძლებელია ბოლომდე ჩასწვდე ქართველ ებრაელთა საქართველოსადმი დამოკიდებულების უწმინდეს, უანგარო, მადლიერებით აღსავსე სულის ღაღადისს. ამისათვის უნდა წახვიდე იქ, იმ ლეგენდარულ, ზღაპრულ ქვეყანაში, უნდა გაიარო იერუშალაიმის, ტელ-ავივის, ჰოლონის, ჰაიფის, ნაჰარიას, ბერშევას ქუჩებში, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გესმის მეგრული, რაჭული, იმერული, აჭარული, ქართლური კილოთი შეზავებული ქართული სიტყვა, მოფერება, სტიქიითა თუ ორლესული ნიჩბით დატრიალებული ტრაგედიის ჭირისუფლობა, ნუგეში და მომავლის კეთილი სურვილები.

ისრაელში ჩატარდა „ქართული ფესტივალი“, რომელზეც, ქართული ხელოვნების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მიწვეული იყო სახელმწიფო ფოლკლორული ქორეოგრაფიული ანსამბლი „თბილისი“ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გივი სიხარულიძის ხელმძღვანელობით.

რამდენი სიხარული, სიყვარული, ალერსი, აღტაცება და ქართულად გაგიჟებამდე მისული აღტკინება გვაგრძნობინეს იქ. მარტო სურამელი ელკო კოჟიაშვილი რად ღირს, — ქართული ზღაპრების კეთილი დედივით მოსული, ზორბა კაცი, კონცერტის შემდეგ თავისი დიდი ტორებით ბღუჯა-ბღუჯად რომ გვაყრიდა თავზე ულამაზეს ფოჩიან შოკოლადებსა და ყვავილებს, გულში იხუტებდა გივი სიხარულიძეს, თვითონ ტიროდა და გივის „უჯავრდებოდა“, — რა გატირებსო! რა ბედნიერებაა ასეთი ხალხი რომ არის ქვეყანაზე; მოვიდა ჩვენთან, — ელკო სურამელი ვარო, — გვითხრა; არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნი, ვშრომობ, შვილებსა და შვილიშვილებს შევხარი; სადაც უნდა ვიყო. რასაც უნდა ვაკეთებდე, თან ქართულ სიმღერებს ვუსმენ, ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობას, სურამის ციხეს, პირველ სიყვარულს ვიხსენებ, ორ სამშობლოს და ორი ერის სიყვარულს ვიფიცებო.

ბატონმა ელკომ კი გაგვახარა და გაგვათბო თავისი დიდი კეთილი გულით, მაგრამ სამაგიეროდ სხვამ გამოგვატანა მოუშუშებელი ტკივილი. იმ „სხვისი“ არც სახელი ვიცით, არც გვარი, ვიცით მხოლოდ, რომ ქართველი ებრაელია!

ტელ-ავივის პირველი კონცერტის შემდეგ სასტუმროში გვიან დავბრუნდით. ტელეფონმა დარეკა. ავიღე ყურმილი და ყველა ენაზე გასაგებად ვუპასუხე: „ალოო!“ — ყურმილი დუმს, წყნარი შრიალი ისმის მხოლოდ. რამდენიმე „ალოს“ შემდეგ ჩემდაუნებურად აღმომხდა: გისმენთ, ბატონო“! და სადღაც იქ, მეორე მხარეს ქვითინი გავიგონე: — ჩემო მონატრებულებო, ჩემო დაუვიწყრებო!.. მოთქვამდა ხანშიშესული ხმით კაცი. მეორე დილით გაირკვა, რომ იმ კაცს გივი სიხარულიძის ნომერშიც დაურეკავს.

და მოყვა ამას ყოველ საღამოს, ყოველი კონცერტის შემდეგ ღამის ზარები. ჩვენი უცნობი და უხილავი თაყვანისმცემელი ქალაქიდან ქალაქში დაგვყვებოდა, ყოველ საღამოს წვრილად გვაბარებდა იმდღევანდელი კონცერტის ანგარიშს, — ვინ როგორ იცეკვა, როგორი რეაქცია ჰქონდა დარბაზს, ხვალ სად მივდიოდით, ვინ რა გვითხრა და ვის რა ვუთხარით.

თავებს ვიმტვრევდით, ვცდილობდით გამოგვეცნო, ვინ იყო, სადაური იყო ჩვენი ქართველი. ყოველი ზარის შემდეგ გივი სიხარულიძე „აღმოჩენებს“ აკეთებდა და კონცერტის წინ გამოაცხადებდა: — კილოზე ვგრძნობ, ჩვენი უცნობი ქართველი უნდა იყოს; ალბათ ცხინვალელია.

მაშინ გადადებდნენ თავს ბიჭები, ისე ცეკვავდნენ, რომ სცენასა და დარბაზს სულ ცეცხლი ეკიდებოდა, ცერებიდან ძირს არ ჩამოდიოდნენ ჯაბა სიხარულიძე და როლანდ ჯიოევი, „სიმდი“ უღეროდა რაინდობასა და კდემამოსილებას. ჩვენი უცნობიც კონცერტს სათანადოდ შეაფასებდა, მთხოვდა მადლობა გადამეცა სოლისტებისა და მთელი ანსამბლისათვის, — ვიცი, რომ ჩემთვის ცეკვავთო, — ამბობდა.

მეორე დღეს მეგრულ ნოტებს აღმოვაჩენდით უცნობის საუბრის მანერაში: — ნამდვილად ბანძელი იქნება, — დაასკვნიდა გივი სიხარულიძე და... აბა, მაშინ უნდა გენახათ ვახტანგ ლუკავას მონდომება, — მისი მეგრული სიმკვირცხლე და ტემპერამენტი, თვალებიდან დაყრილი ნაპერწკლები მაყურებელს აღაგზნებდა, წივილ-კივილი იყო დარბაზში. მაგრამ უშედეგოდ.

დღე დღეს მისდევდა; ჩვენი ისრაელში ყოფნის დრო იწურებოდა. უცნობი კი არა და არ გვიტყდებოდა. რატომ? რა აკავებდა?

დადგა ბოლო კონცერტის დღე. ქალაქ აშკელონის საზოგადოება, ქალაქის მერის მოადგილე ბატონი შაფთაი ცური (ვანელი შოთა ცოციაშვილი) მისი მეუღლე მშვენიერი ქალბატონი ლია, ისრაელში პირველი ბავშვთა ქართული ცეკვის ანსამბლის დამაარსებელი შოთა ელიშაყაშვილი, კომერსანტი აბრამ ჯანაშვილი, აშკელონის პროფკავშირების ლიდერი ლევან ბარდანაშვილი, პოეტი ქალი თინა შიმშილაშვილი, ცნობილი მომღერალი მორის ჯანაშვილი, — ყველა, ვინც იმ დღეებში გულსავსე და დამტკბარი იყო ქართული ცეკვითა და სიმღერით, მოვიდა ჩვენთან გამოსამშვიდობებლად. გივი სიხარულიძემ გადაწყვიტა გამოსათხოვარ სიტყვაში, რომელსაც იგი ებრაულად და ქართულად წარმოთქვამდა ხოლმე, „ემხილა“ ჩვენი უცნობი ქართველი და საჯაროდ მოეთხოვა მისი სცენაზე ამოსვლა და გამოცხადება. მაგრამ ბოლო მომენტში გულმა უმტყუნა, მისმა ემოციურმა ბუნებამ მოთმინების ჯებირები გაარღვია და... ატირებული კულისებში მიიმალა. მაშინ მე ვცადე, გამოვედი ავანსცენაზე და წვრილად ვუამბე საზოგადოებას ყველაფერი. დარბაზში ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე... არავინ წამომდგარა...

მხოლოდ მეორე დღეს, ხაიფის პორტში სთხოვეს გივი სიხარულიძეს ტელეფონთან: — გივი-ბატონო, მაპატიეთ, მაგრამ ბოლომდე ინკოგნიტოდ დარჩენა ვარჩიე, — გაისმა ყურმილში ნაცნობი ხმა, — მე არც დავითი ვარ, არც სოლომონი, არც მოშე, არც ხაიმი, არც იაკობი. მე ვარ მთლად ისრაელის ქართველი ებრაელობა, რომელსაც უყვარს საქართველო კუბოს ფიცრამდე, რომელიც ზეცამდე აღავლენს ლოცვას ქართული მიწის, ქართული სიტყვის, ქართული გულის მარადიულობისათვის. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, ლეხაიმ!

გემი „პრინცესა მარიცა“ ნელ-ნელა შორდებოდა ისრაელის ნაპირს; ჩვენ ვიდექით გემბანზე და აცრემლებულები ვეთხოვებოდით ზღაპრულ მიწას, რომელზეც ჩვენი გულების ნაწილი დავტოვეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ლუკავა

ფოტო მალხაზ დათიკაშვილისა

ბექა სიხარულიძე და ჰოლონელი ისრაელ ენუქაშვილი

ჯაბა სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფოტო მალხაზ დათიკაშვილისა

იერუსალიმი ჯვრის მონასტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. სტუმრად ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში.

ფოტო მალხაზ დათიკაშვილისა

ღმერთმა კვლავ შეახვედრა ისინი — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის სტუდენტი, საქართველოში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ზურაბ წიწუაშვილი და თელავივის უნივერსიტეტის სტუდენტი (მედიცინის განხრით) მალხაზ ჯინჯიხაშვილი — ბიძაშვილ-მამიდაშვილი.

მალხაზი ექვსი წლისა გახლდათ, მშობლები რომ თბილისიდან ისრაელში გადავიდნენ საცხოვრებლად. მან იერუსალიმის ნიჭიერთა ინტერნატი დაამთავრა და თელავივის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. გასულ წელს ზურაბი ეწვია ბიძაშვილს. ჯაბუკებმა დიდად გაიხარეს ერთმანეთის ნახვით. ზურაბი ხომ ჩინებულად უკრავს გიტარაზე. მან მალხაზსაც შეასწავლა ქართული სიმღერები. მალხაზს ახსოვს თბილისი. მისი ქუჩები, მელოდიები, ამიტომაც დიდი მონდომებით სწავლობს ქართულ სიმღერებს. სულ მალე, ალბათ იმ დღეებში, როცა ჩვენი ისრაელელი კოლეგები ჟურნალ „დროშის“ ამ ნომერს მიიღებენ, მალხაზი იკორწინებს თბილისელ ინა მიხელაშვილზე, რომელიც სულ ორი წელია, რაც თბილისიდან წავიდა და თელავივის უნივერსიტეტში სწავლობს მალხაზთან ერთად.

ჩვენი რედაქცია სულითა და გულით ულოცავს მათ შეუღლებას. კეთილი იყავ, უფალო, ნებითა შენითა დედისა და დედობილის — ისრაელისა და საქართველოს შვილებს!

გულნარა გახტაძე

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან

წმ. ნინო საფრანგეთის წმიდანი.

წმინდა ნინო

1875 წელს ქართველმა საზოგადოებამ შეიტყო, რომ საფრანგეთის ქალაქ ლიონში ფრანგულ ენაზე გამოიცა ლამაზად გაფორმებული ბროშურა — „წმინდა ნინო". ეს ამბავი ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია გაზეთმა „დროებამ" (1875 წ. № 7): „თუ ამდენი საუკუნეების განმავლობაში ჩვენმა პატარა ქვეყანამ გაუძლო ამდენ ძველ მტრებს, თუ მეოთხის საუკუნიდამ დაწყობილი ამ მხარეს ასე მაღლა და მტკიცედ ეპყრა დროშა ქრისტიანობისათვის ზნეობისა და მიმართულებისა, უპირველესი მიზეზი ამისა იყო და იქნება წმ. ნინო. ეს ჩვენ ქართველებს კარგათ უნდა გვახსოვდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ნაწილი ჩვენის მხარისა ოდესმე უკეთესი ენით, სწავლით და ზნეობით, ზემო ქართლი ანუ სათაბაგო, დაირღვა, დაეცა და თითქმის გაქრა, რა კი იმან წმინდა ნინოს დროშა ხელიდამ გაუშვა.

ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყვნეთ მამა ოგუსტ დარასი, რომელიც თავისი ბროშურით აღვიძებს ჩვენში ნამდვილ გრძნობას და მოვალეობას შესახებ ჩვენის განმანათლებლისა. დარას ბროშურა ღირს იმათ, რომ გადმოითარგმნოს ქართულით და თვითოეულმა ქართველმა იქონიოს. რაც კი ძველ და ახალ მწერლებს, საქართველოსა და უცხო ქვეყნებისას უთქვამთ შესანიშნავი წმინდა ნინოს ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე, ყოველივე ეს დარას ბროშურაში შემოკრებილია და განხილული".

მაშ ასე, ფრანგმა მამა ოგუსტო დარამ საფრანგეთს გააცნო წმინდა ხინო ლიონში გამოცემული ბროშურით, ხოლო ქართველმა საზოგადოებამ შეიტყო ამ კეთილშობილური საქმის ამბავი.

წმინდა ნინოსადმი ფრანგების ყურადღება შემთხვევითი არ იყო.

მე-19 საუკუნის დასასრულს საქართველოში რამდენჯერმე იმოგზაურა ფრანგმა მწერალმა და ეთნოგრაფმა, ბარონმა დე-ბაიმ. იგი აღფრთოვანებული იყო ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებით, ისტორიული ძეგლებით და გასაოცარი ბუნებით. დე-ბაიმ საფრანგეთში გამოსცა წიგნები „საქართველოში" (1898 წ.), „კავკასიონის სამხრეთ მხარეში" (1899 წ.), „თბილისი" (1900 წ.), „იმერეთი" (1902 წ.), რომლებშიც გამოხატა ღრმა შთაბეჭდილებები საქართველოზე.

1899 წელს ბარონ დე-ბაის თბილისში ყოფნისას ილიასეულმა „ივერიამ" 29 ოქტომბერს გამოაქვეყნა წერილი: „წმ. ნინოს თაყვანისცემა საფრანგეთში".

ერთი ადგილი ამ წერილიდან: „ცნობილ ფრანგ მოგზაურს და სწავლულს ბარონ დე-ბაის, რომელიც ამჟამად ტფილისშია, შემდეგი საინტერესო ცნობები გადაუცია გაზეთ „კავ."-სათვის ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს შესახებ, საიდგანაცა სჩანს, რომ ამ წმინდანს საფრანგეთშიაც თაყვანსა სცემენ. ბარონ დე-ბაის სიტყვით, „საფრანგეთის შემდეგს ეპარქიებში: რეიმსისა, შალონისა და სხვებში მრავალი ეკლესიაა აგებული წმ. ქრისტიანი ქალის სახელზედ. შამპანის დეპარტამენტში ყველაზე მეტად ამ წმინდანსა სცემენ პატივს. როგორც ამ ბოლო დროს აღმოჩნდა, ეს წმინდანი და წმ. ნინო ერთი და იგივე ყოფილა".

ბარონ დე-ბაის შეხვედრა ჰქონია რეიმსის მთავარ ეპისკოპოსთან, რომელსაც გამოუთქვამს მოსაზრება, რომ წმინდა ქრისტინე და წმინდა ნინო ერთიდაიგივე წმინდანია. სწორედ ამის შემდეგ დაინტერესებულა ფრანგი მწერალი წმინდა ნინოს პიროვნებით.

დე-ბაი წერდა: „წმ. ქრისტიანე, ივერთ განმანათლებელი, რომის კათოლიკეთა ზოგიერთ კალენდარში ქალწულ ნინოდ წოდებული, რომის ეკლესიაში აღნიშნულია 15 დეკემბერს ახალის სტილით. წმ. ქალწულის ცხოვრება აღწერილია რუფინისაგან (410.), რომელმაც საჭირო ცნობები ივერთა ერთის თავადისაგან მიიღო. ამ თავადს რუფინი იერუსალიმში შეხვედრია. რუფინს დაჰვიწყებია წმინდანის სახელი და ნინოს ნაცვლად მისთვის ტყვე-ქრისტიანე უწოდებია. შემდეგ სასულიერო ავტორებსაც ესევე სახელი უხმარიაო. ბოლოს, ზოგადი სახელი ქრისტიანე საკუთარ სახელად გადაქცეულა. მას შემდეგ წმ. ნინოს იხსენიებენ ასე: ქრისტიანე ქალწული. როდესაც აკადემიკოსმა ბროსსემ 1849 წელს „ქართლის ცხოვრების" თარგმანი გამოაქვეყნა, ყველაფერი გაირკვა. ამის შემდეგ რომის კათოლიკეთა სასულიერო მწერლებმა წმინდანს ნამდვილი სახელი დაუბრუნეს და უწოდეს: ქართველთ განმანათლებელი ნინო. ამ საგნის გამოსარკვევად ბევრი იმუშავეს. მაგალითად. მამა მარტინოვმა, მ. გაგარინმა და მ. დარამ".

ფრანგი მწერლის დე-ბაის წმინდა ნინოს პიროვნებით დიდ დაინტერესებას ადასტურებს ასეთი მოკლე ცნობაც გაზეთ „ცნობის ფურცლიდან": „პარიზიდან გვწერენ: ევროპაში ჩვენს ისტორიას, განსაკუთრებით საეკლესიოს, თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ დიდს სამსახურს გვიწევს არქეოლოგისი ბ-ნი ბარონ დე-ბაი. მისის რჩევით, აქაური სწავლული აბატი ბონიე, წევრი საფრანგეთის სიძველეთა საზოგადოებისა, გულმოდგინედ შეუდგა წმ. ნინოს იკოგრაფიის შესწავლას და საჭირო მასალის შეგროვებას. ეს შრომა ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება პარიზში".

1902 წლის გაზეთ „ივერიაში" (№ 208) გვხვდება ასეთი ცნობა: „რეიმსის მთავარ-ეპისკოპოსს მიუწერია სტამბოლში მამა ფარჯუსათვის, იქნებ ამ კითხვების პასუხი შემიტყო საქართველოშიო. მამა ფარჯუს მიუმართავს წერილით ბ-ნ მ. ჯანაშვილისთვის, რომელიც პასუხს გაუგზავნის დანიშნულებისამებრ". იქვე დაბეჭდილია რეიმსის ეპარქიის (საფრანგეთის) მთავარ-ეპისკოპოსის შეკითხვები, რომლებიც მთლიანად წმინდა ნინოს სახელთანაა დაკავშირებული.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" 1902 წლის სურათებიან დამატებას (№ 23) ვფურცლავთ.

და აი, სათაური — „წმ. ნინო საფრანგეთის წმინდანი". სათაურის ქვეშ წმ. ნინოს ნახატია. დიახ, როგორც ეს საფრანგეთში ჰქონდათ წარმოდგენილი. ნახატს თან ჰქონდა დართული საფრანგეთიდანვე გამოგზავნილი მოკლე ცნობა წმ. ნინოს შესახებ.

საინტერესოა მისი შინაარსი. „ეს წმ. ქრისტიანი ასული ცხოვრობდა მეოთხე საუკუნეში კონსტანტინე დიდის დროს. ნამდვილად არავინ იცის: სადაურია ეს ქალი, ან რა იყო სახელი იმისი. ივერთა შორის თავის კეთილ-მოქმედებისათვის და წმინდა მოციქულობისათვის იგი წმინდანად იქმნა აღიარებული. ივერთა დედოფალი, რომელიც წმ. ქალის ლოცვების მეოხებით განიკურნა მრავალ სენთაგან, და ივერთა მეფე, რომელიც მოწმე იყო ამ სასწაულისა. მოინათლენ. მათ მაგალითს ხალხმაც მიბაძა და მეფემ კონსტანტინოპოლიდან მოიწვია ეპისკოპოსები და მღვდლები, რომელთაც უნდა განეგრძოთ ახალგაზრდა განმანათლებლის საქმე.

რომის ეკლესია ამ წმ. მქადაგებლის სახელს იხსენიებს 15 დეკემბერს."

საქართველოსა და საფრანგეთს შორის კულტურული თუ სულიერი ურთიერთობის ისტორიას მრავალი შესანიშნავი ეპიზოდი შემორჩა. ფრანგები ყოველთვის ისწრაფოდნენ გასცნობოდნენ საქართველოს და ქართველები — საფრანგეთს.

წმინდა ნინოს პიროვნებით საფრანგეთში დაინტერესება ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია.

ანდრე ციხკარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

ჯიგარი

ფერადი დაისი თანდათან მიინავლა, ჩაიწვა და ახლა ლილით დაიფერა ცის ტატნობი, ბინდი ჩამუქდა ხეობაში და ხეებქვეშ დანთებულმა კოცონმაც ძალა მოიცა.

ქალი და მამაკაცი კოცონთან ზურგშექცევით იდგნენ და ალით გაშუქებულ პიტალოზე მოცეკვავე საკუთარ ლანდებს შეხედავდნენ.

კაცის ჩრდილი — მაღალკანჭა, გრძელმკლავება და აწოწილი — თავით სწვდებოდა ცას, ქალის ჩრდილი უფრო ტანმორჩილი იყო, ჯირკა ფეხებზე შემდგარი და წელსრული, თეძოებში და მხრებში გაწეული, მაგრამ მაინც მოხდენილი.

— რა მაგონდება, იცი? გახსოვს, ჩვენს ქორწილში რომ მაცეკვე სულ პირველად, მაშინ დაგეტოლე და მხრებამდე რომ მოგწვდი, გამიხარდა, — დაიჩურჩულა ქალმა.

კაცმა ქალს სალტესავით შემოაჭდო წელზე დაძარღვული მკლავი, თავისუფალი ხელი შეთხელებულ ქოჩორში შეიცურა, თითებით იგრძნო ჭაღარა თმის სიხეშეშე და წამიერად მოისაკლისა გაქცეული დრო.

— მაშინ მთლად ასეთი არ ვიყავი, ხომ მართალია? — მინაზებით ამბობდა ქალი, მერე და მერე მოვიბი ხორცი.

— მაშინ გოგო იყავი, მერე დაქალდი, დამრგვალდი, მაშ როგორ!

კაცის ხმაში კმაყოფილება ისმოდა და ეს ეამა ქალს, ქმარს მხარზე მიაყრდნო გაწეწილი თავი და ჩრდილებმაც იგივე გაიმეორეს.

კაცი არ განძრეულა, კოცონის მოფარფატე ალი კი ჯადოქრობდა — ერთმანეთს ახლიდა ჩრდილებს, ახელებდა, აქეზებდა.

— წავალ, შეშას მოვამატებ, თორემ ღამე დიდია, — თქვა კაცმა, ქალი კოცონისაკენ ფრთხილად შემოაბრუნა და გაეცალა.

ხატის კარს სალოცავად იყვნენ მოსული მეფუტკრე ფილიპე და მისი ლამაზი ცოლი ხიზო. ღვთისმშობლის დღეობის სწორის სწორი უნდა გათენებულიყო და ამიტომ საყდართან ბევრნი არ იყვნენ ღამის მთევლები, მაგრამ ფილიპემ მაინც განზე გასვლა არჩია და ამ პიტალოთი მოყუდროებულ მეჩხერ რცილნარში დაიდო ბინა — ორ ხეს შუა ჰამაკი გაჭიმა, დაბლა კი ნაბდები დაყარა.

ჰამაკში ფეხშექცევით იწვნენ ბიჭი და გოგო, თეთრ ბალიშებზე ედოთ გაწეწილი თავები, წითელგულიან საბანში გახვეულიყვნენ და ტკბილად ეძინათ.

ფილიპემ ხან ერთს დახედა, ხან მეორეს და მერე ცოლზე გადაიტანა მზერა. ხიზო კოცონით გამთბარ ლოდზე ჩამომჯდარიყო, შეტყუპებულ მუხლებზე შიშველი იდაყვებით ჩამოყრდნობოდა და ჩარღვეულ თუ ჩახსნილ გულისპირთან შიშველ მკერდზე დაჰყროდა ხუშხუშელა თმა, ალი ფეთქავდა და მომხიბლავად მჯდარი ქალი სულ უცხო და უცხო იერს ღებულობდა, გარდამავალ ფერებს იძენდა და მით უფრო გულმისავალი ხდებოდა.

პეწენიკა კაცი იყო მეფუტკრე, რასაც აკეთებდა, ყველაფერს შნოსა და ლაზათს მიადევნებდა ხოლმე. ახლაც ასე ქნა, ჩარდახივით მოაწყო შინიდან წამოღებული ბრეზენტი, ძირს ნაბდები დაფინა, მათ ზემოთ ლეიბ-საბანი გაშალა, მერე მახლობელ ჯაგზე მიბმულ თოხლს თივა მიუყარა და შეშის მოსატანად წავიდა.

მდინარისპირა ჭალებში მთვარეს შემოეხედა და თეთრი სხივის ძაფებით ამოექარგა ჩეროები. ფილიპეს ხელის ხერხი ეჭირა და რბილად მიაბიჯებდა კორდზე, ფიქრად ჰქონდა, მდინარისპირა ტირიფებს ხმელ ტოტებს ისე ჩამოვახერხავ, რომ თვითონაც ვერ გაიგონო.

საყდარს გვერდით ჩაუარა. ღამისმთევლებს უკვე ეძინათ, მინავლულ კოცონებთან მიყრილი ბერიკაცებიღა ფხიზლობდნენ, ხვასტაგზე ეჭირათ თვალი, შესაწირად მორეკილი კურატები, ერკემლები და ხერხაბიბილოიანი წითელი მამლები უკანასკნელ ღამეს ათევდნენ, ინათებდა თუ არა, საყდარს სამჯერ გარს შემოტარებდნენ და სამსხვერპლოსთან მიაგდებდნენ...

ამ ფიქრებში იყო ფილიპე, რომ ცის ფონზე ტოტებხმელი ბებერი ტირიფი დალანდა, ბილიკიდან გადაუხვია და ხერხი მოიმარჯვა.

ტირიფი მდინარისპირა ფლატის თავზე იდგა, სქელვარჯიანი ვეება ხე იყო, იმდენად დიდი, რომ წყლის ზედაპირამდე უწევდა დაბლა დაშვებულ ტოტებს.

ფილიპე ხის ქვეშ შედგა და კიდევ ერთხელ შეუთვალიერა ტოტები. ანაზდად რაღაცა შეუსაბამოს წააწყდა... ხმელი ტოტის როკზე თუ კაპზე ორლულიანი სანადირო თოფი ეკიდა. კოცონის შორეული ათინათი კრთოდა მონიკელებულ ლითონზე... ვისი უნდა ყოფილიყო?

მეფუტკრემ თვალებით მოჩხრიკა მთვარის სხივებით დაცხრილული სიბნელე და გულმა რეჩხი უყო... ხმელი ფოთლების ორხაოზე ბრგე კაცი იყო გაშხლართული და გემრიელად ეძინა. მეფუტკრეს გულმა ავი უგრძნო, მძინარემ კი, თითქოს შემკრთალი ფილიპეს საბოლოოდ წახდენა უნდაო, ერთი ისეთი ამოიხვრინა, რომ მდინარის ხმაურიც კი გადაფარა.

ღამისმთევლებში თოფიანიც ეგულებოდა და უთოფოც, მეფუტკრეს რა უნდა გაჰკვირვებოდა, ან რისი შიში უნდა ჰქონოდა. შემხმარ ტოტს, თუ ამას არა, სხვა ტირიფს შეაჭრიდა. წასვლა დაეპირა, რომ ბედად, იქნებ საუბედუროდაც, საყდართან მხრჩოლავ კოცონს ხმელი შეშა დაამატეს. კიდევ წამი და, ტანატყორცხილმა ბრიალა ალმა ერთი თვალით ტირიფის ძირშიც შემოიხედა...

უწინ, რაც ფილიპეს თვალში მოხვდა, ეს იყო სქელლანჩიანი გაქერცლილი წუღები, საოცრად დიდი ზომისა. კიდევ ნაბადიც ეცნო, კალთაშემომწვარი, ვენახში გდებისაგან კუწუწებით გახორხლილი. მეფუტკრეს სუნთქვა შეეკრა, ძალიან არ უნდოდა, რომ ზევით და ზევით შეეყოლებინა მზერა, ისედაც იცოდა, ვინც ბრძანდებოდა, მშვიდობიანად გაცლა ამჯობინა და რომ ეგონა, საკუთარი თავი მოვთოკეო, სწორედ მაშინ გაექცა თვალი.

გულალმა ეგდო ერთი ოტროველა და მკერდაჯაგრული კაცი, ჭიპამდე მოღეღილი სატინის ბლუზა ეცვა და ვიწრო შუბლზე გაუპენტავი ყომრალი მატყლივით ეყარა აბურდული თმა, გუდალი თვალების ამობურცულ ქუთუთოებზე უჩრდილებდა. ნებივრად იწვა, მსხვილი მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა და გემრიელად ხვრინავდა, ლოყები ებერებოდა, გადმობრუნებულ მსხვილ ტუჩებს კუმავდა და, თითქოს სულს უბერავსო, ისე ამოჰქონდა ჰაერი, ყოველი ჩასუნთქვისას კომბალა ცხვირის ნესტოები უთრთოდა, გულბოყვი უდიდებოდა — პირწავარდნილი მედუდუკე იყო და აკი იმიტომაც ეძახდნენ მეტსახელად.

მეფუტკრე ფილიპე, რატომღაც ბედმა ისე დაჩაგრა, რომ სწორედ ეს კაცი არგუნა მომიჯნავედ, კაცი და მერე როგორი, სიტყვამოსწრებული, ქლესა, მუცელღმერთა და ხელმრუდი. თუმცა ვენახიდან არაფერი მოუპარავს ფილიპესათვის, მაგრამ ათასჯერ სჯობდა, რომ მოეპარა, ოღონდაც კი სხვა არა ევნო რა...

ფიქრში ეს კაცი ხშირად მოუკლავს ფილიპეს, ხან ტყვია უკრავს გაზინთულ შუბლში, ხან ცულით გაუპია ბინძური აზრებით სავსე თავი, ხან დენიანი მავთულით დაუტრიალებია ქეჩოზე... ყველა იარაღიდან მაინც დენიანი მავთული ერჩივნა პეწენიკა მეფუტკრეს, არც სისხლით მოისვრებოდა და არც მკვლელობა გაუხმაურდებოდა.

მედუდუკეს კი აზრადაც არ მოსდიოდა სიკვდილი, ხან შაერა ულაყს დააჭენებდა, ხან შავ ბაზარზე ნაყიდი ვილისით შორეულ რეისებში საშოვარზე მიემგზავრებოდა. სად იყო და სად არა, წინ შემოეყრებოდა ხოლმე ფილიპეს, მიესალმებოდა, მოიკითხავდა, თან ისეთი უწმინდური ღიმილი ადგა მოზეთილ სახეზე, რომ მეფუტკრეს კი არა, ნებისმიერ კაცს გული აერეოდა მის დანახვაზე. ფილიპეს სიძულვილს გრძნობდა, მაგრამ არ იმჩნევდა... მარ-

თალია, ცხვრის ქურქში გამოხვეული მგელი ვარ, მაგრამ კეთილი მგელი ვარო... ბევრს კიდეც არწმუნებდა ამაში. თვითონ ფილიპემაც დიდხანს იარა ბრმად, სანამ სხვებმა არ აუხილეს თვალები — ჩხუბში წამოსძახეს.

პირველად სწორედ მაშინ მოხვდა გულში მომიჯნავის მჭირდავი ღიმილი, მოწამლული ისარივით დაერჭო მარცხენა ძუძუსთან და სისხლი მოუშხამა, მზე დაუბნელა. ერთ სიკვდილს მაშინ ათავებდა ფილიპე. როცა ზიზო ჰყავდა გვერდით და მედუდუკე წინ შემოეყრებოდა. მზაკვარი მომიჯნავე ქმარს გაექილიკებოდა, ცოლს კი მოუუფუნე თვალებით უბეში ჩაუძვრებოდა...

ფილიპემ გაავებით დახედა მოსისხლე მტერს, კბილები გაკრაჭუნა და ალესილი ხერხი შემართა. ბასრი იარაღის ერთი გადასმა ყანყრატოზე და...

მედუდუკემ მხარი იცვალა და შეჭაღარავებულ ულვაშთან მიიტანა სალოკი თითი, თითქოს გააფრთხილა მეფუტკრე, არაფერი გაბედო, თორემ მაგ ყველაზე დიდ საიდუმლოს გაგიხიანებო.

იმავ წამს ცოლის ლანდი გაერთა მის დაბინდულ თვალწინ, უბესავსე და თმაჩამოშლილი თეძოების გამომწვევი რხევით მოდიოდა, მაცდურად ულიმოდა ფილიპეს და გრძნეულივით ეჩურჩულებოდა: „ფილო, ჩემო კეთილო, ეგ როგორ დაიჯერე, არა გრცხვენია?“

მეფუტკრემ ძირს დაუშვა შემართული ხერხი, მარჯვენა დაუდუნდა, ფეხები შეებორკა, ყველთან ბურთივით მოჩრილი ბოლმაც თანდათან დაეჩუტა.

„მაინც როგორ მოხდა... სად... როდის?“ — გულისტკივილით გაიფიქრა და შეეცადა რამეზე აელესა დაჩლუნგებული სიბრაზე.

მომიჯნავეთა ვენახების ბოლოზე თეთრკაბიანი ფშატის ხეები დაკიდულა, ტოტებით მდინარეს სწვდებიან და წყალს აშხეფებენ.

ზიზო მარტოა ვენახში, გამხმარ ლობიოს გლეჯავს და მიჯნაზე ხორა-ხორა ალაგებს. გულდახურული კაბა აცვია, გრძელსახელოებიანი, მაჯებთან მჭიდროდ შეკრული, ფუნჩულა ხელებზე თხელი თათმანები წამოუცვამს, ლობიოს წენწომ არსად გამიფხაჭნოსო, სახეს კი თეთრ ხილაბანდში უმალავს ზაფხულის თაკარა მზეს.

სცხელა ზიზოს, მაგრამ როგორც არ უნდა სცხელოდეს, ტანზე არ მოიშილიფებს. ჩიტისთვალა ყვავილებით მოღაღნე კაბა კოჭებამდე სწვდება, კაბას შეფარებულ წითელ ჩუსტებს მხოლოდ კოპწია ცხვირები მოუჩანთ.

ლობიოს მორიგი გროვა მიჯნაზე გააქვს ზიზოს და ფშატებისაკენ გაურბის მზერა, ძალიან უნდა მათთან მისვლა და კამკამა მორევში შეცურება, მაგრამ უცხო თვალისა ეშინია. ცთუნება არ ასვენებს, აქეთ-იქით იხედება და ისე მიგოგმანებს ბალახებში ჩაკარგულ ბილიკზე.

მალე ფშატებს ერწყმის მისი ლამაზი კაბა, უჩინარდება.

ლივლივა მორევის ზედაპირზე თეთრი ხილაბანდი დაცურავს — ზიზო ტანგაუხდელად ბანაობს, ნამზევ სხეულს იგრილებს, ისვენებს. გვიან-გვიან ამოდის წყლიდან, ფრთხილად ზვერავს ჩეროებს და ტანზე კაბაშემოტმასნილი მიირწევა ბილიკზე.

ვაზის ფოთლებით გადაბურულ თალარქვეშ შედის, რათა ტანსაცმელი გაიძროს, გაიწუროს და ისე ჩაიცვას, დანარჩენს მზე მოუვლის, ხელდახელ შეაშრობს ტანზე.

აი, ზიზო უკვე შიშველია, კაბა გაწურა, ახლა კარაქისფერ პერანგსა და მეუკისს იძრობს, დედიშობილა რჩება.

იმავ წამს მის სმენას უცხო რამ შარიშური სწვდება. შემკრთალი ქალი იქით მიბრუნდება. ხედავს იქვე ნაბადია გაშლილი, მედუდუკის ნაბადი. მოძალადე გზას უჭრის მსხვერპლს.

რა ქნას, იკივლოს? მაგრამ დედიშობილას, თავისი ნებით ტანთგახდილს, ვინ რას დაუჯერებს?

კვესი და აბედი...

ქალის ნაზკანიანი ტანი, ფეხის ფეხი, წყლის სიგრილისაგან ეკლოდაყრილი ძუძუები და ახალგაზრდის აჯაგრული მკერდი...

მეფუტკრემ დაიგმინა, ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯა ხერხი და მიიწია.

„არა, ფილო, შენ თავს გეფიცები, არ არის მართალი“, — შემარიგებლურად წასჩურჩულა ცოლმა.

„მაშ აქ რა უნდა, საიდან გაჩნდა?... ცხვარი მთის საძოვარზე გარეკეს და მგელიც თან გაჰყვაო, არა?“

„რა სულელი ხარ!.. ვინმე დაპატიჟებდა, ღამისმთევლები სულ მაგის ნათესავები არ არიან?“ — გულღიად ეპასუხებოდა, ზიზო.

„გულზე ხელი დაიდე და ისე თქვი“.

„აჰა, დამიდვია. დილაზევე ნახავ, ვინმეს სუფრასთან იჯდება“.

მეფუტკრე უკუდგა და ცისიერზე დახატულ ტირიფის ხმელ ტოტს გახედა.

„ეს რომ აქ არ ეგდოს, აი იმ ორკაპს ჩამოვახერხავდი“, — გაიფიქრა და იმავ წამს ძაღლის ნაკბენივით გაუხსენა მიეწყებულმა ამბავმა, ტკივილად დაუარა, გული დაუშანთა.

მედუდუკემ რაღაცაზე ჩაიქირქილა. ფილოს დიდი დრო არ დასჭირვებია, იმის გასარკვევად, თუ ეს რა ქირქილი იყო, სად გაგონილი და როდინდელი.

...მომიჯნავე ვენახს კრეფდა და რთველში ბლომად ხალხი ჰყავდა მოწვეული, უმეტესად თავისნაირები.

— ხედავ, რამდენი დაჩუტული მარცვალია? — ცხენისკბილება მუტრუკმა მედუდუკეს მტევანი გაუწოდა.

— ფუტკრები მიშვრებიან... აი ემ ჩემი პატიოსანი მომიჯნავის ფუტკრებმა გამიზიდეს ყურძენი. ეშურებიან, ბლომად ნექტარი მოვაგროვოთო, ფიჭიანი თაფლი არ გამოვულიოთ ფილოსა და ზიზოსაო, — ქირქილებდა გულღრძო მასპინძელი.

— არა მგონია, ფუტკრებმა ასე დაძიძგნონ სქელკანიანი მარცვალი, ჩიტებისგან იქნება, — შეესიტყვა ცხენისკბილება.

— მაგაში მართალი ხარ. პატრონივით უნდილები არიან ფილოს ფუტკრები, მაგდენი სად შეუძლიათ. ჩიტები არა, მაგრამ კრაზანები აკეთებენ პირველ ნახვრეტსა, მერე კი ფილოს ფუტკრები მიდიან. პატრონსა ბაძავენ, — მედუდუკის ქირქილს ცხენისკბილებას ხვიხვინი მოება.

ეს კი მეტისმეტი იყო. მედუდუკე მიღწეულს არ სჯერდებოდა, ზიზოსთან მიღწეულს. პირველობასაც ჩემულობდა.

ფილიპემ ეს ხომ მაინც იცოდა დანამდვილებით, რომ თვითონ იყო ზიზოს პირველი სიყვარულიცა და პირველი მამაკაციც.

— ასე ხმამაღლა მაინც არ უნდა ამბობდე, ცოდოა კაცი, — ხვიხვინისაგან ძლივს მოითქვა სული ცხენისკბილებამ.

— უნდილაანთია, აიტანს.

ეს ისეთი სამსალა იყო და თანაც ისეთი დოზით, რომ ვერცერთი სქელკანიანიც კი ვერ აიტანდა, არამც თუ პეწენიკა ფილიპე. ახლა მაინც ვეღარ აიტანდა, როცა ეს ბინძური კაცი მის ფეხთით იწვა. აქეთ არავინ იყო და იქით. გულში დატრიალებული ბოღმა კი სივდებოდა და სივდებოდა, აავებდა, ბრაზით ათრობდა, გონებას უბინდავდა, დაკუნთულმა მკლავებმა შემართული ხერხი ჰაერს აუსვ-დაუსვეს, თითქოს ფხა გაუსინჯეს, ფეხებმაც ერთი გაკვრით გაგლიჯეს უჩინარი ბორკილი და წინ გააქანეს პატრონი.

მეფუტკრემ გადამწყვეტი ნაბიჯის წინ უცბად შეაფასა მდგომარეობა: მისი მტერი ფლატის თავზე იწვა, გვერდზე გადაბრუნებულიყო, თითქოსდა თანამწოლს ელოდა და მისთვის გაეთავისუფლებინა ნაბდის ერთი კალთა, ფლატის ძირას კი ქაფიან ტალღებში წვეტიანი ლოდები ყელყელაობდნენ.

გაავებულმა მეფუტკრემ ხერხი ძირს დააგდო, ნაბდის კალთა ორივე ხელით ჩაბღუჯა, მთელი ძალით აბერტყა და თვალები დახუჭა. წვრილი ტოტების ლიწინი, ყრუ ბრაგუნი გაისმა, მერე მდინარემ წამით შეიცვალა ხმა, თითქოს შეაგუბეს და დენა შეწყვიტაო, მერე კი კვლავ გაიბა თანაბარი გაბმული შხუილი.

ფილიპეს ისევ ხელში ეჭირა გაქუცული ნაბადი, თუმცა მალევე მოისაზრა და მასაც მდინარეში გადაუძახა. მერე მობრუნდა და აცახცახებულ ხელებს ხმელ ფოთლებში აფათურებდა, ხერხს ეძებდა.

„თუმცა რა დროს ხერხია, ერთიც ვნახოთ, გადარჩეს და უკანვე ამობობღდეს, რითი გინდა გაუმკლავდე?... თოფი აჯობებს, ორლულიანია, ერთი თუ ამიცდა, მეორეს მივაყოლებ“ თოფს მისწვდა და კაპიანად ძირს ჩამოიღო.

ნერვიული თახთახი ედგა მთელ ტანში, თოფი მაინც გადახსნა, მოსინჯა გატენილია თუ არაო და, რაკი ორივე ლულაში ვაზნა დახვდა, გულზე მოეფონა. თოფი შემართა და ამოსასვლელთან დაუდარაჯდა. კარგახს ელოდა, მაგრამ ნადირთა ბილიკზე არავინ გამოჩენილა...

მღელვარებამ გაუარა, ბრაზიც დაუცხრა, თითქოს ახსოვდა და აღარც ახსოვდა, რაც გადაეხდა, განცდილი უფრო სიზმარს ჰგავდა და თანდათან უფერულდებოდა. ეს თოფიღა იყო შემორჩენილი იმ ავი სიზმრიდან. ესეც უნდა მოესპო, გავნადგურებინა. მთელი ძალით მოიქნია, ფლატისპირა ლოდს დაუშინა, მანამ არ მოეშვა, სანამ სულ არ დაამტვრია და დაჭეჭყა, მერე ნაწილ-ნაწილ წამოკრიფა ნარჩენები და წყალში გადაუძახა.

გვიან-გვიან გაახსენდა ხერხი, მის ძებნაში შემოათენდა, მაინც იპოვა და შეციცინულმა თავის ჩარდახს მიაშურა, სადაც ზიზოს ეძინა.

კოცონს ჩაფერფლილი ნაკვერჩხლები გაუქექა, ხმელი ბეშა დააყარა და ააალა.

იქვე ქაშანურის თაფლისფერი ჩაფრუკა იდგა, ჩარექაზე ცოტა მეტი ჩავიდოდა შიგ, ჩაფრუკა იმ ქვაზე იდგა, სადაც რამდენიმე საათის წინ ზიზომ ჩაიმუხლა და ალივით თმაგაწეწილი დაჰყურებდა კოცონს.

კოცონის ალზე მოლიცლიცე ქაშანურმა გაახსენა ფილოს, რომ წყურვილი აწამებდა, სულ ამოხახული ჰქონდა ყელი.

ჩაფრუკას მისწვდა, მოიყუდა და გაუკვირდა — ღვინით იყო სავსე. წყურვილმა დაეჭვება არ აცალა, ბოლომდე სულმოუთქმელად დააცლევინა სამსი.

„ღვინით სავსე ჩაფრუკა ვისთვის გამოდგა აქ, ვინ უნდა მოსულიყო? იქნებ თვითონ აპირებდა მასთან წასვლას და ესეც თან უნდა წაეღო? რომ დავიძინებდი, მერე წაუღებდა. უჰ შენი“!

ღვინომ ტანში თბილად დაუარა, მხრები წამოაწევინა, საკინძი მოაღელინა, სიმხნევითა და ხალისით წამოანთო. დიახ, ეს ფილიპე გახლდათ, ვაჟკაცურად გადამლახავი იმ ზღუდისა, რასაც თავშეკავებას, უფრო მკვახედ კი, ლაჩრობას ეძახიან.

თავის თავში დაჯერებული კაცის იერით ჩარდახისაკენ წავიდა. ტანსაცმელი გზადაგზა შემოიფცქვნა — წელზევით გაშიშვლდა, ფეხების გაქნევა-გამოქნევით ჩექმებიც გაიყარეინა და შარვალიც ზედ მიაყოლა.

ჩარდახის კალთა ასწია და ნაბადზე გაშლილ ლოგინთან ჩაიმუხლა.

მყუდრო კარავში ქალის მოღლილი სხეულის მხურვალებითა და ნელსურნელებით იყო დაბანგული ჰაერი.

„გაუხდია, გამზადებულა“, — ავად გაკენწლა კაცის გონება უკეთურმა ფიქრმა.

ერთხანს პირგამეხებული დაჰყურებდა მძინარეს, მაგრამ იგრძნო, სულ სხვა იალქნებით იმოსებოდა ანძასავით ცადაწვდილი მისი მრისხანება. ირგვლივ კი ენების ზვირთები აიფოფრნენ.

საბანს დაუდევრად აჰკრა ხელი, გადაჰხადა. კაცის ტლანქი ხელი შავი მაჯლაჯუნასავით გაცოცდა ქალის აქანებული თეთრი მკერდისაკენ, მაქმანიანი ლიფი გადააძრო, ღამის პერანგის ნაქარგ გულისპირს მარწუხივით გამოსდო თითი და ფხრაწანი გაადინა.

გულმძინარე ქალი აკვნესდა, ინსტიქტურად გასწორდა, მთელი სხეულით შეეგება მამრს.

„მე ვგონივარ თუ ის. მე ვგონივარ თუ ის?“ — გმინვა ძლივს დაიოკა და გაავებული ებრძოლვნა ქალს.

„კვესი და აბედი... ქალის საალერსოდ ატოკებული თეთრი ძუძუები და მამაკაცის აჯაგრული შავი მკერდი“, — მასში მოძალადეს აღვიძებდა, ახლებდა ეს ფიქრი.

ის ახლა ალერსიანი, მზრუნველი ქმარი კი არა, ქალის შემგინებელი, ფეხქვეშ გამთელი, ნამუსის ამხდელი იყო.

ენებაატეხილი ხვადივით ირჯებოდა: ბორგავდა, იკბინებოდა, ღრენდა.

ქალი კვნესოდა, ტიროდა, სიამით კრუსუნებდა, ცრემლად და ალერსად დნებოდა, მერე კაცს ბანჯგვლიან მკერდზე თბილი ხელები შეაცოცა, კეფასთან დაკულულებულ თმაში შეუცურა ასხმარტალებული თითები.

აქ კი ანაზდად რაღაცა ეუცნაურათ, თუ არ ელოდნენ და ეცნოთ მგრძნობიარე თითებს, დაეჭვდნენ, არ დაიჯერეს და ახლა დამფრთხალი მწყრებივით ქოჩრისაკენ გადმოფრინდნენ.

„ფილო, შენ, ჩემო კეთილო. ეგრე გამიმეტე და აღარა მზოგავ? ღმერთო, რა ბედნიერი ვარ. ქმრისაგან აკლებას, ძალადობას მომასწარი“. ქალს თვალები ეხუჭა და გულამოსკვნით ქვითინებდა.

ქალის სხეულის საამო სინედლემ, სინოტივემ და სითბომ გათანგა კაცი, ბოღმა ამოუგდო გულიდან, ბრაზი დაუცხრო, მოადუნა.

ქალმა მიიხუტა და კაციც დაჰყვა მის ნებას — ცოლის გლუვ მხარზე დადო ფიქრებითა და ავი განცდებით დამძიმებული თავი.

— ის ჩაფრუკა ვისთვის გინდოდა? — როდის-როდის იკითხა.

— არც არავისთვის.

— მა რაღა მაინცდამაინც ამ ქვაზე შემოდგი, მეტი ადგილი ვერ მონახე?

— მე არაფერი შემომიდგამს, — ქალმა ძილს მისცა თავი.

— მაშ თავისით დასკენდა? — არ მოეშვა ქმარი.

— ჩვენებიანთ ნუცა იყო, თავისი ღვინისა მოგვაწოდა, ახალი მკვდარი მიხსენეთო, — ზანტად გაეპასუხა ზიზო.

— ჩაფრუკა რომ ჩვენია?

— არ არი ჩვენი. ნუცასაცა ჰქონია მაგისი ცალი.

— კარგი, გეყოფა, ჩაფრუკა იქით იყვეს და, ერთი იცოდე ჩემგანა, დაიხსომე [illegible] სამუდამოთა. დღეს ამასაქიბ[illegible] ჩემს მეტი ვეღარავინ დალევს მაგ ჩაფრუკითა ვერც წყალსა და ვერც ღვინოსა. ვერც ღილითა და ვერც ღამითა. თუ მიზეზსა მკითხავ, იმასაც გეტყვი. სამუდამოდ შეეკრა კრიჭაი.

ქალს გული შეეკუმშა, შიშისაგან შეაძაგძაგა. ქმრისა შეეშინდა, გულისფეთქვაზე არ შემატყოს, რომ ასე განვიცდიო, მხრიდან მოიშორა მისი თავი. გუმანით მიხვდა, რომ რაღაცა უჩვეულო მოხდა. გატვრენილი იწვა და ელოდა, კიდევ რას მეტყვისო ქმარი.

ფილიპე ნებივრად იყო გაშოტილი, არც შიშს გრძნობდა და არც რამე წუხილს, თვითონვე უკვირდა თავისი თავისა, ეს ვინა ვყოფილვარო.

„ხიწვი ამოვიცალე და იმიტომ ვარ ასე. წლების მანძილზე რომ მაწუხებდა ის ხიწვი მოვიშორე და მოვისვენე. ნამდვილმა ხიწვმაც ასე იცის, ჩაგრჩება კანქვეშ, ცოტა ლორწოვან გარსს შემოიკრავს და გაიტვრინება, თუ არ შეეხე, არ დაგაწუხებს. მე წუხელ სრულიად შემთხვევით მომიხვდა ხელი ნატკენ ადგილზე, დამაწუხა და მოვიშორე...“

ბალიში შეიმაღლა და ერთხანს ასე იწვა, მერე მძიმედ წამოდგა, ჩარდახიდან გაიზლაზნა, სად ჩექმები წამოკრიფა, სად შარვალი იპოვა, მერე პერანგს დასწვდა და დაუდევრად გადაიცვა. არც ტანზე ჩამოუწევია და არც ღილ-კილო შეუკრავს. ჯაგთან მივიდა, ერკემალი აუშვა, თოკი მაჯაზე გადახვია და ცოლს შემოუღრინა, ნაკურთხი მარილი და სანთლები წამოიღეო. მდინარისპირა ტირიფს გახედა, ერთი ვიღაცას შეუკურთხა, ავი კაცის დედაო და სამსხვერპლოსკენ წაათრია ზვარაკი.

ცოლი შორიახლო მისდევდა, პირსახოცში გახვეული მარილი ამოედო იღლიაში, სანთლები ჩაებღუჯა და ლაპლაპა ხანჯალს არ აშორებდა თვალს, მის ქმარს რომ ცხვრის დასაკლავად მოემზადებინა.

„ეს ვინა მყოლია, ამას ვენაცვალე... ნამდვილი პატრონი მყოლია და აქამდის არ ვიცოდი. ღმერთო, როგორ მომტოტაა! ნეტა რითი მოიშორა ის მიწადასაყრელი“.

ჭალაში განთიადის ბინდბუნდი იდგა, ხატის კარზე ღამისმთევლები იღვიძებდნენ, კოცონებს აახლებდნენ და ნაკურთხ მარილს ალოკებდნენ ზვარაკებს.

ყოველ მათგანს თავისი საკვედრებელი ჰქონდა ხატთან.

ფილიპეს მით უფრო...

ვლადიმერ თორდუა

ქისაკლ-ქისაკლ

● ჩემი ზოგიერთი ნაწერის ავტორს ისე მიყურებენ, როგორც ლამაზი და ტანადი ქალის ჩია კავალერს.

● არანაირი სიხარული არ შეედრება შემოქმედებითი გამარჯვების სიხარულს, თვით 9 მაისისაც კი.

● თუ არ მოგდგამს, ნუ გახვალ საცეკვაოდ, იყავი შენთვის და უცქირე სხვას.

● სიმპაბუკევ, წუთით ვუბრუნდები შენს მორეკვს. ვიხსენებ: ნაპირზე არავინ მეგულვის. ეს ნავი კი მომხიბვლელად მიწვევს — თავდავიწყებული სიყვარულით შეუპყრივარ ერთ სატანას... მაშ, მშვიდობით ნაპირო, ხალამი ზღვის უსახრულო ჰორიზონტო! — ამიერიდან შენი და ამ მაგიური თეთრი ნავისა ვარ, ვით დონ ხოხე იყო კარმენისა...

● „ერთი წამის უკვდავება. მეხსიერებიდან ამოუშლელი წამი. ბრძოლის ველზე მტრის ჭურვის ნამსხვრევისაგან განგმირული დაეცა მოწყალების და. მისი პირველი და უკანასკნელი მოძრაობა იყო... კალთის ჩაწევა მუხლებზე“.

ეხლა წავიკითხე ერთ ლიტერატურულ ხალამოზე. გარინდებული შემომცქეროდა დარბაზი მას შემდეგაც, რაც კითხვა დავამთავრე და თავი დავუკარი. სხვებს ტაში ვცემდა, მე — დუმილი.

— ბულბულის კვნესას ტაშს ვინ უკრავს, მამხნევებდა გზად ერთი მწერალი, დაღონებულს. — დაკვირვებული ვარ, თვალს, ადრე ცნობილთა გარდა, ერთი თვისებაცა აქვს — თვალი სვამს. თვალი შეიწოვს, არა მარტო კითხულობს, არამედ, აგრეთვე შეიხრუტავს წაკითხულს, იმასაც, რაც სტრიქონებს შორის შეუმჩნევია. ასე რომ, შენი „ერთი წამის უკვდავება“ უფრო თვალს ეკუთვნის, ვიდრე ყურს. ყურამდე ვერ აღწევს. ისეთი ნაზი და ზენაარული, რომ ყური უხეში ინსტრუმენტი ხდება მისთვის, იგი მხოლოდ თვალს შეუძლია აღიქვას, იგი ლუპაა, რითაც ბრძოლის ველის მთელი პანორამა ჩანს. „კალთის ჩაწევა მუხლებზე“ — ეს თვალის ნანადირევია.

● განდიდებული პიროვნებისაგან აღიარება მოღვაწისა, თუნდაც მიკერძოებული, ეფექტს ახდენს, ერთბაშად თვალში საცემია, საყოველთაოდ ცნობილი ხდება, მაგრამ წარმავალია, საფუძველს მოკლებულია, როგორც მიკერძოებული;

ხალხისაგან აღიარება იმ წუთიერ ეფექტს არ ახდენს, თითქმის შეუმჩნეველი პროცესია, მაგრამ ადამიანთა შეგნებაში ღრმა კვალს ტოვებს და უამგრძელია.

პირველი ერთი ღამის მოსახმარი საკარნავალო კოსტიუმია, მეორე — გამოსახვლელი.

● ...ტყუილად მებოდიშებით: „შეგაწუხეთ, დრო დაგაკარგვინეთო“. როგორც თქვენ გაინტერესებთ ამბავი თბილისიდან, ასევე მეც მაინტერესებს ამბავი მოსკოვიდან, ადამიანის მოწერილი და არა გაზეთების, რადიოს, ტელეს მიერ შეტყობინებული, რომელიც ხშირად ჰგავს ტაშტს, რომლითაც ნაბანი წყალი გადაღვარეს და ბავშვიც გადააყოლეს, და შეგრჩა კაცს ცარიელი ტაშტი, რომელშიც ნუღა იკითხავ იმან რა თქვაო, მთავარია შეიხმინო, რასაც ეს გეუბნება, და იკმენდე ხმა! მე მაინც ვდებ კონვერტში ამ დილის გაზეთს — „ტაშტს“, რომლიდანაც გადაღვრილია ნაბანი წყალი და ზედ მიყოლებულია ბავშვი.

● კალენდრის 12 ივლისის ფურცელზე მინაწერი: — დღე ულმობლად კლებულობს, მძიმედ ეშვება ფარდა.

● ქათამი ცალი თვალით მარცვალს ხედავს, ცალით — ძერას;

„შემომქმედი“ ცალი თვალით გულში იხედება, ცალით — დირექტივებში

● დროშები! — ვინ იცის, რამდენ ლატაკს შემოსავს ის, ჩვეულებრივ ქსოვილად რომ გამოუშვან...

● ზოგისთვის ხანდაზმული ღედ-მამის ნაამაგარი იგივეა, რაც ნაბანი წყალი აბაზანაში, საიდანაც გარეწარი ამოვიდა.

● სულქესატის გონებაში მეხსიერებით მოგროვილი სხვათა აზრების მეჯლისია.

● ახალგაზრდობა შევალიე იმაზე ფიქრს, თუ რა ჩამეცვა; მოხუცებულობაც ამ კითხვაში მიმდის; ოღონდ, პირველ კითხვას უქონლობა მისვამდა, მეორეს — ქონება; სული შემოსილი მქონდა, ხორცი — განძარცული, ღღეს — პირიქით. რეზინისა ვიყავ, შუშისა გავხდი!

● მეძავს ისღა აკლია, საჯაროდ გადასცენ პირადობის მოწმობა!

● წიგნის მიმოქცევა: თვითგვემა შექმნისათვის; ბრძოლა გეგმაში შეტანისათვის; ტირაჟისათვის; რედაქტორთან; ცენზორთან; აწყობა-კორექტურისათვის; ბრძოლა ქაღალდისათვის; დაბეჭდვისათვის; დაკეცვა-აკინძვა-ჩახმა-ჩამოგრისათვის; სახელგანლო ეგზემპლარებისათვის; ბრძოლა გავრცელების დაჩქარებისათვის; ბრძოლა შეფუთვისათვის; საწყობში ჩატანისათვის; საწყობიდან ბაზაში, ბაზიდან ქსელში გატანისათვის! ახლა კი მოცლა დარდისა და ეჭვებისათვის: სულიერი, უხილავი დავა მკითხველთან, შემფასებელთან: წყენა და სიხარული; მადლიერება და უმადურობა; წარმატება და წარუმატებლობა; ხან აღმაღლების, ხანაც გათელვის შეგრძნობა; ბრძოლა სულიერი ძალების აღსადგენად, რწმენის მოსაკრებად, ახლის შესაქმნელად... და კვლავ თავიდან!..

● რუსის ფრონტული მელოდიები ჩემში ორჯერ მეტ სევდას აღძრავენ, ვიდრე თვით რუსში: მისი სევდა იყო ოჯახისაგან მოშორება, ჩემი კი ოჯახისა და სამშობლოსაგან; იგი კვდებოდა თავის სამშობლოში, მე რუსისაში. მას გულზე ეყრებოდა მშობლიური მიწა, მე რუსისა...

● რაც დრო გადის, მით უფრო მეტხელება თვალი ბოროტების, უსამართლობის, პარტიობის, ძმაკაცობის, ძალმომრეობის დასანახავად.

● რაღაცის მრცხვენოდა, რაღაც მიხაროდა, რაღაცა მევალებოდა, რაღაცაზე ვწუხდი, უკმარისობის გრძნობაც მახრჩობდა, რომ ჯეროვანი სიტყვა ვერ ვთქვი ჩემს ბობოქარ ეპოქაზე, რომლის შუაგულშიც მიტრიალნია; ყოველივე ეს მძიმე ტვირთად მაწვა გულზე. უმადურობამ გამანთავისუფლა. მადლობა, ამ თავისუფლებისათვის!...

● ერს განადიდებს არა ბოტბა, არამედ ქმნილება მისი შვილისა!

● ნეტარ არიან ჩემი მოშურნენი, მაგრამ არის კი შურის სანაბი?!.

● პარტიას ხელეწიფებოდა ჩაეხშო სიმართლე. მაგრამ... ეზარებოდა მარტოს ეკეთებინა ეს. ამიტომაც ჩამოაყალიბა ათასგვარი კავშირი, მათ შორის — მწერალთა...

● თქვენთან ძნელია, ჩვენთან თითქმის შეუძლებელია — სამედიცინოში მოხვედრა. უფულოდ და უპრივატექციოდ მხოლოდ უპატრონო თუ მიხვდება (ჩონჩხად!) ანატომიის შესასწავლად.

გვიანლა მივუხვდი მოძმე რესპუბლიკელი ამბიტურიენტის სურვილს.

● მხრებში რომ გზრდ, ეს-ავი თი რა მოსატანია იმ სიმძიმესთან, გული რომ ეზიდება!

● ახლა ერთ ინტიმსაც გავამხელდი:

ბრძოლამდე მშიშარა ვიყავი, ბრძოლაში — გულადი!

სანამ გამომახტუნებენ, მანამ მეშინია, უთქვამს სანბრალო კურდღელს. ჰოდა, ვარ ახე ჩირგვში — არავინ გამომახტუნა და არც მე გამოვხტი.

● კვაჭი-წინაპარი გზას უთმობს კვაჭი-შთამომავალს. მემკვიდრემ დაჯაბნა, პირდაპირ ატარა რეაბილიტირებული წინაპარი. ჰოდა, კვაჭუნიას სასაცილოდაც არ ჰყოფნის ძველმოდური — ჯავახიშვილისეული. ძნელი საპოვნია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი სფერო, კვაჭუნია, რომ წინ არ მოიწევდეს, როგორც ეს მეგრულ ხალხურ სიმღერაშია — „ჩაგუ მურს, მოსოფუნს“ (ჩაგუ მოდის, გზას მოარღვევსო).

● მე თუ რამე მომკლავს, მეტახტაზი ძალმომრეობისა — ჰაერის უკმარისობა.

● მზვერავებმა სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში მოიყვანეს კი არა — მოიტანეს მთელი ორი დღე-ღამე მიტოვებული ჩვენი ერთი დაჭრილ-დაუძლურებული, უსმელ-უჭმელი, სისხლით დაცლილი ჯარისკაცი. იქვე მეც აღმოვჩნდი, ჭრილობის მობანვა-შეხვევისა და ცოტათი თვალში გამოხედვის შემდეგ პირველი სიტყვა, რაც დაჭრილმა მოახერხა წარმოთქვა, იყო — **Кушать!** წამსვე ამოვიღე, მაზარის ჯიბიდან გამონაზოგი პური და დაჭრილს მივაწოდე, მაგრამ ეკომმა ხელი ამიკრა — ერთბაშად არ შეიძლებაო...

მოძულე მყავს, ამას რომ წაიკითხავენ შეეცდებიან ერთბაშად რითიმე გამახარონ, იქნებ ავნოხო.

● წარსულის ჭრილობები შემოხორცდა, ახლა უადგილოა ბღავილი ძველი ტკივილებისაგან.

● მარტო ვრჩები მოგონებებთან, აღარავინ იზიარებს ჩემს სევდას. აღარავის აღელვებს 49-50 წლის წინანდელი. თავს ვაბეზრებ ყველას — მკითხველს, კრიტიკოსს, თვით ჩემს დღეში გამოვლილთ — უკვე ყველაფრით დაკმაყოფილებულთ და უზრუნველყოფილთ. მაგრამ ერთი რამ კი უცვლელად ერთგულია ჩემი სევდისა, ჩემი წარსულისა, ჩემი მოგონებებისა — ეს ჩემი მარტოსულია — შეუბღალავი და გაუცვეთელი, გადახარჯული, მაგრამ კვლავაც ნთებული...

● მწერლისათვის მოვლენები მიმოპნეული მარცვლებია; შემოქმედება ის ქვაბია, რომელშიც აბოვილი, დარჩეულ-დარეცხილი ეს მარცვლები ჩაიყრება; ფანტაზია წყალია, რომელშიც ეს მარცვლები უნდა მოიხარშოს; შემოქმედის წვა ცეცხლია, ამ ქვაბს რომ შეენთება;

და იქმნება ხაზრდო სულისა, აგრერიგად ყველა რომ ეტანება!

19316
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახური უსიამოვნება

რიჩარდ ელისი

იმ დილით დონ უიტლის სახე, რომელიმე ფერწერულ გამოფენაზე, მსოფლიო სევდის გამომხატველ ექსპონატად გამოდგებოდა. ამიტომ იყო, რომ ინსპექტორებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა იგი თანაშემწესთან ერთად პოლიციის უფროსმა გამოძიებაზე გააგზავნა. საქმე გამოძალვას ეხებოდა.

— მე მგონი, ცოლი საერთოდ არ უნდა მოიყვანოს კაცმა, — წაიბუზღუნა უიტლიმ, როდესაც ისინი მანქანაში ჩასხდნენ. — შენ როგორა გგონია, მაკ?

პოლიციის მანქანა ფედერალური ფოსტის სამმართველოს გასცდა და ტრანსპორტის საერთო ნაკადს შეერია.

— არ ვიცი, — მიუგო ინსპექტორმა მაკინტოშმა. იგი ფრთხილად მართავდა მანქანას. წარბშეკრულ უიტლის ერთი წერტილისათვის მიეშტერებინა თვალი.

— ჩემნაირი კაცისთვის, ქორწინებამდე ორმოცი წელი რომ ხეტიალში გაატარა, ძნელია ოჯახური ცხოვრების მიჩვევა. უბრალოდ შეუძლებელია, არაფერი გამოუვა. ისე, რომ ეს კეროლაინის ბრალი არ არის...

— ეგ არაფერი, ყველაფერი მოგვარდება, — სიტყვა ჩაურთო მაკინტოშმა. — ჯერ სულ ხუთი თვე არ არის, რაც ჯვარი დაიწერეთ?

უიტლიმ თავი დაუქნია.

— მე კი ასე მგონია, უკვე მთელი საუკუნე გავიდა მეთქი...

მაკინტოშმა ღიმილი შეიკავა. მანქანამ მოუხვია და ავენიუზე გავიდა. ქუჩის ორივე მხარეს დაწესებულებებისა და საცხოვრებელი სახლების მრავალსართულიანი შენობები იყო ჩამწკრივებული.

— მე ერთი მეგობარი მყავს, დონ, იურისტია, — თქვა მან. — განქორწინების ბიუროში მუშაობს. თუ გინდა, იმის ტელეფონის ნომერს მოგცემ.

უიტლი გაოცდა. ცალი წარბი აქაჩა და მოგრძო, გამხდარ სახეზე გულმოსული კაცის იერი დაედო. სქელი რქის სათვალეებს მიღმა სწრაფად აახამხამა თვალები.

— გაყრა?! შენ ხომ არა გგონია, რომ ცოლს რაღაც სულელური წაკინკლავების გულისთვის გავეყრები?

— მე ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი, — დინჯად მიუგო მაკინტოშმა. — რა საქმეზე მივდივართ?

უიტლიმ ცერად გახედა თავის თანაშემწეს.

— „ჰუბარტ ელექტრონიკის“ კომპანიის საქმეზე. მისმა მეპატრონემ ჯოშუა ჰუბარტმა დილის ფოსტით წერილი მიიღო. ავტორი ცდილობს, ფული გამოსძალოს... მე შენგან მაგას არ მოველოდი, მაკინტოშ. ახლა მე განქორწინების ბიურო მინდა? ან ეგ რამ გაფიქრებინა?!

— ბოდიში, დონ, — თქვა მაკინტოშმა და მთელი გულისყური მანქანის მართვაზე გადაიტანა.

„ჰუბარტ ელექტრონიკ კამპანი“ განლაგებული იყო ახალ, უზარმაზარ შენობაში, რომელიც თითქმის ქრომისა და მზის სხივებისაგან დამცავი მუქი შუშით აეგოთ. კომპანია დიდ წარმატებებს პირდებოდა ქვეყანას.

ინსპექტორებმა მანქანა ჩახერგილ სადგომზე დატოვეს და შენობაში შევიდნენ. რამდენიმე წუთში უკვე ფართო კაბინეტში იყვნენ, ცათამბჯენის სულ ბოლო სართულზე. ვეებერთელა საწერ მაგიდასთან თვით ჯოშუა ჰუბარტი იჯდა. იგი წამოდგა და პოლიციის მუშაკებს შეეგება.

— მადლობას მოგახსენებთ, რომ მობრძანდით, — თქვა მან.

ჰუბარტი საშუალო ტანის, ხმელ-ხმელი კაცი იყო. სახე ღრმა ნაოჭებით ქონდა დაღარული, მისი თვალები შეშფოთებას გამოხატავდნენ.

— აი, ინებეთ, ის წერილი და კონვერტი... მაგიდაზე დევს, — ხელით ანიშნა.

უიტლიმ ჩანთა სავარძელზე დასდო, გააღო და პინცეტი ამოიღო. შემდეგ ფრთხილად მოკიდა ხელი კონვერტს და თვალებთან მიიტანა. იაფფასიანი, უბრალო საბეჭდი მანქანის ჭუჭყიანი ფურცელი ოთხკუთხა ხელნაწერით იყო აჭრელებული.

— თქვენ ხომ არა გაქვთ ეჭვი, ვის შეეძლო ასეთი წერილის მოწერა? — კითხა ჰუბარტს მაკინტოშმა.

უარის ნიშნად კომპანიის შეფმა თავი გააქნია.

— არა, ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღია. მე ბევრი მტერი მყავს, მაგრამ ისინი ამას არ იკადრებენ. მათ სხვა მეთოდები აქვთ. ეს ანონიმური მუქარა... ან თუ გნებავთ...

— მოკლედ, მხოლოდ ესაა თქვენთვის ცნობილი, — გააწყვეტინა მაკინტოშმა.

— დიახ.

უიტლი სარკმელს მიუახლოვდა და შემოდგომის მზის შუქზე წერილს გახედა. მერე დაბრუნდა და წერილი ისევ კონვერტის გვერდით დასდო:

— მაკ, დაათვალიერეთ წერილი.

მისი ასისტენტი მაგიდაზე დაიხარა და ყურადღებით გასინჯა წერილი. ფანქრით დაწერილი ტექსტი ამას იუწყებოდა:

„ჯ. ჰ. შენ, რა თქმა უნდა, გინდა რომ შენი შვილიშვილი ბედნიერი და საღსალამათი იყოს. ჩვენ კი ასი ათასი დოლარი გვინდა.ახლა აიღე ოცდოლარიანი ბანკნოტები, კოხტად დაალაგე და დიდ ქაღალდის ტომარაში ჩააწყვე. მერე ეგ ტომარა კლასენის ქუჩისა და 56-ე ავენიუს კუთხის პარკის შესასვლელთან ნაგვის ყუთში დატოვე. ამ საღამოს, ოთხშაბათს, თერთმეტი საათისათვის... გაფრთხილებ, ფარაონები (ანუ მილიციელები — ზ. მ.) არ დავინახო! მე გითვალთვალებ, არადა, არც შენს პატარა ჯ-ს დაადგება კარგი დღე, არც შენ და არც მის მშობლებს. ფარაონები არ დავინახო!“

— მისტერ ჰუბარტ, ვინ არის „პატარა ჯ.“? — იკითხა მაკინტოშმა.

— ჩემი შვილიშვილი, ჯენიფერი.

ჰუბარტმა თვალით ანიშნა ორიგინალურ ტყავის ჩარჩოებში ჩასმულ სურათე-

ბზე, რომლებიც მაგიდაზე დაედგათ. ერთში შუახნის ქალბატონის ფოტო იყო მოთავსებული, „ჩემი მეუღლეა“, — უთხრა ჰუბარტმა. მეორე სურათიდან სახეგაღიმებული ახალგაზრდა ქალი და საკმაოდ თვითკმაყოფილი ირის ახალგაზრდავე კაცი გამოიყურებოდნენ. ესენი ჰუბარტის შვილი და რძალი გახლდნენ. ორ ფოტოზე კი ასე ათი წლის მომღიმარე გოგონა იყო აღბეჭდილი. სახე ჭორფლით ქონდა ლამაზად დაწინწკლული, — ეს ჯენიფერი გახლდათ.

— კარგი ოჯახია, — თქვა უიტლიმ, — ჯენიფერი თქვენი ვაჟის შვილია, არა? მამამ იცის ამ წერილის შესახებ?

— რა თქმა უნდა, იცის. ამ წყეული წერილის მიღებისთანავე დავურეკე. ახლა ქვედა სართულიდან თავის ცოლს ელაპარაკება ტელეფონით იმის გასაგებათ, სახლშია ჯენიფერი თუ სკოლაში. მე ჩემი უშიშროების სამსახურიდანაც გავაგზავნე სახლში ორი კაცი. ისინი იქ იმდენხანს დარჩებიან, რამდენიც საჭირო იქნება.

— გასაგებია. კიდევ რა ზომები მიიღეთ? — კითხა უიტლიმ.

— წნევის დასაწევი რამდენიმე ტაბლეტი გადავყლაპე და ჩემს მეგობარს, პოლიციის შეფს დავურეკე. მან მირჩია, თქვენი განყოფილებისათვის მომემართა, რადგან ეს ყველაფერი ფოსტას ეხებაო.

— წერილი ვის შეიძლება გამოეგზავნა, მაშ, თქვენ არ იცით?

ჰუბარტმა ენერგიულად გააქნია თავი.

— მე რამდენიმეჯერ გადავიკითხე წერილი, იქნებ რაიმეს მივაგნო-მეთქი. არაფერი გამოვიდა. შესაძლოა ჩემმა თანამშრომელმა... ან ყოფილმა თანამშრომელმა დაწერა. მხოლოდ ამისი თქმა შემიძლია, თუმცა არ მინდა და არც მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი.

— მაინც რატომ გგონიათ, რომ ეს შეიძლება თქვენი კომპანიის მუშაკს გაეკეთებინა?

— აქ ყველა „ჯ. ჰ.“-ს მეძახის, თუ სხვა რაიმე მიზეზი არა აქვთ, რომ უფრო მაგარ-მაგარი სიტყვებით შემამკონ, — მხრები აიჩეჩა. — კომპანიის გარეთ მე მისტერ ჰუბარტი ან უბრალოდ ჯოში გახლავართ. აქ კი „ჯ. ჰ.“ ასე რომ...

— გასაგებია, სერ, — თქვა უიტლიმ. — იქნებ თქვენი ლაბორატორიის სპეციალისტებმა დაუმატონ რამე თქვენს წათქვამს. მე მგონი, თქვენ გინდათ, რომ ძიება ბოლომდე მივიყვანოთ, არა?

— რა თქმა უნდა, — თქვა ჰუბარტმა. — როცა საქმე ჩემს პატარა შვილიშვილს ეხება, გამოჩერჩეტებული ბებერივით სულ თავგზა მებნევა. გამომძალველს კი მე სხვაგვარად მოვუვლი. ახლა ასი ათასი დოლარი რომ მივართვა, შემდეგ ორას ათასს მომთხოვს და ასე შემდეგ. არა, მადლობელი გახლავართ. თუ ჩემს პატარა „ჯ“-ს შეიარაღებული დაცვა დასჭირდება, დავუყენებ...

— თქვენი ვაჟიშვილი და რძალი თუ დაგთანხმდებიან? — კითხა მაკინტოშმა.

— რაო? — გაოცებისაგან წარბები აწკიპა ჰუბარტმა, — აჰა, დიახ... რა თქმა უნდა, ისინი იმას გააკეთებენ, რასაც მე ვეტყვი.

უიტლიმ და მაკინტოშმა ერთმანეთს შეფარვით გადახედეს.

— მაშ, ასე, — ერთობ თავაზიანად დაიწყო უიტლიმ. — ახლა ჩვენ ამ წერილს და კონვერტს წავიღებთ, შემდეგ კი...

— როგორ? თქვენ მე არაფერს მეტყვით? — წამოიძახა ჰუბარტმა. — თქვენ ხომ, ბოლოსდაბოლოს, ამ საქმის სპეციალისტები ხართ. ასეთი შემთხვევა, მე მგონი, თქვენთვის ჩვეულებრივი ამბავი უნდა იყოს...

იგი უცებ გაჩუმდა და ერთობ უკმაყოფილო სახით შეხედა მათ.

— მისტერ ჰუბარტ, — ახსნა-განმარტებას მოყვა უიტლი. — ჩვენ ახლა არავითარი ხელსაწყო არა გვაქვს თან წამოღებული სრული ექსპერტიზის ჩასატარებლად და საბოლოო დასკვნის გამოსატანად. ამიტომ აუცილებლად უნდა მივმართოთ ჩვენს განყოფილებას და ადგილობრივი პოლიციის ექსპერტებს სერიოზული დახმარება გაგვიწიონ. მე კი შემიძლია რაღაც გითხრათ, მაგრამ ეს იქნება ყოველგვარ მტკიცებას მოკლებული ჩემი მოსაზრება.

ჰუბარტმა ხელით მისი მაგიდის წინ სავარძელზე ანიშნა, თვითონ კი მაღალზურგიან სავარძელზე გადაესვენა.

— მე გისმენთ, — თქვა მან.

უიტლიმ მაკინტოშს შეხედა და მხრები აიჩეჩა.

— რაკი ასე გნებავთ, ინებეთ, — ჩაილაპარაკა უიტლიმ და წერილსა და კონვერტს დააცქერდა. — საფოსტო შტემპელი კონვერტზე გუშინ, ათ საათზე დაურტყამთ მთავარ ფოსტამტში. მისამართი დაწერილია საშუალო სიმაგრის გრაფიტის ფანქრით, ალბათ წერილიც ამავე ფანქრითაა დაწერილი. ასეთი იაფფასიანი კონვერტისა და ქაღალდის ყიდვა ყველა მაღაზიაში შეიძლება, სადაც კი საკანცელარიო წვრილმანი იყიდება...

— რას მელაპარაკებით?! — დამცინავად ჩაიფრუტუნა ჰუბარტმა. — აი, ახლა ყველაფერი გასაგებია. გარდა ამისა, ავტორი მაინცდამაინც ბრწყინვალედ განათლებული ვერ უნდა ბრძანდებოდეს, არა? წერილი აკაბაცაა დაწერილი და ბევრი შეცდომაა დაშვებული.

— პირიქით, — განაგრძო უიტლიმ. — მას მშვენიერი სწავლა-განათლება აქვს მიღებული. მართალია იგი ცდილობდა უსწავლელი კაცის შთაბეჭდილება დაეტოვებინა, მაგრამ არ გამოუვიდა, წინდაუხედავად მოიქცა. მას ძალიან სწორად უწერია სიტყვა დახარისხება. შუა თანხმოვანი „ა“ ხშირად ბევრ კოლეჯდამთავრებულს აცდენს, ხოლო იმათ, ვისაც საშუალო სკოლის ატესტატი არ გააჩნია, როგორც წესი, ყველას ეშლება. გარდა ამისა, წერილი ლოგიკურად კარგადაა შედგენილი და მისი დამწერი აზროვნების მიხედვით ინტელექტუალური ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოველნაირად ცდილა დაემალა თავისი ხელწერა, უწერია მარცხნივ დახრილი ბეჭდვითი ასოებით მაშინ, როცა მისი ბუნებრივი ხელწერით ასოები მარჯვნივაა დახრილი, ეს მაინც წესიერი ხელნაწერია. წერილი დაწერილია რეზინის ხელთათმანებით...

— რაო? — წამოიძახა ჰუბარტმა, — ეგ საიდან დაასკვენით?

— აი, აქ ხედავთ? ეს არის ჭუჭყიანი ფანქრის ლაქა. ფურცლის მარცხენა მხარეზე. ძლიერ თუ გავანათებთ, მაშინ თითების ანაბეჭდის მსგავს რაღაცას გავარჩევთ. ეს რეზინის ხელთათმანის კვალია და მისი თითების წვერებზე სპირალის მსგავსი ხვეულებია, რათა უფრო მოხერხებულად დაიკარგოს ნივთი.

უიტლიმ ხალათის ჯიბე მოიქექა. ინსპექტორს სიგარეტი ჯერ კიდევ არ მიეტანა პირთან, რომ ჯოშუა ჰუბარტს უკვე ხელში ეჭირა ანთებული მძიმე ოქროს სანთებელა.

უიტლიმ მოუკიდა და დაუდევრად გადაუხადა მადლობა.

— მთელ ფურცელზე პატარა ატომრტილებია გაბნეული. შეიძლება ეს წყლის წვეთები იყოს, მაგრამ პირადად მე მგონია, რომ ეს ოფლის წვეთებია. ოფლი იმ ყმაწვილს ჩამოსდიოდა წურწურით, რომელიც წერილზე ირჯებოდა. ისეთი აღელვებული გახლდათ და ისე ნერვიულობდა, რომ კიდეც გაოფლიანდა. ეს ასოებსაც ატყვია, სიტყვების დასაწყისში ზოგი ასო ისე იკრობოკროდაა დაწერილი, რომ გეგონებათ მთვრალს დაუწერიაო.

— ძალიან კარგი, შემდეგ, შემდეგ? — მოუთმენლად კითხა ჰუბარტმა.

— თუ ეს ოფლია და ანალიზისთვის საკმარისი იქნება, მაშინ იმ სუბიექტის სისხლის ჯგუფის დადგენაც მოხერხდება.

— ანალიზისათვის კონვერტის კიდეზე და საფოსტო ნიშნის წებოზე შემორჩენილი ნერწყვიც შეიძლება გამოვიყენოთ, — ჩაურთო მაკინტოშმა. — ადამიანის გარეგანი სეკრეცია შეიცავს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მის სისხლს შეესაბამება.

— ასე და ამგვარად, — განაგრძო უიტლიმ, — იგი ნერვიულობს და ფრთხილობს. აი. შეხედეთ, პირველი სტრიქონები მარცხნიდან მარჯვნივ, მთელ ფურცელზე მაღლა ადის, შემდეგი სტრიქონი სწორია, წერილის ბოლოში კი დაბლა ეშვება გარდა უკანასკნელი სტრიქონისა და ისევ ზემოთ მიიწევს. აქ ერთი რამეც შეიმჩნევა: ყოველი სტრიქონის დასაწყისში ასოები და სიტყვები საკმაოდ დიდი ინტერვალითაა ერთმანეთს დაცილებული, ხოლო დაბოლოებაში ერთმანეთთანაა მიტმასნილი, რაც იმას მოწმობს, რომ წერილის ავტორი დეტალებს ყურადღებას არ აქცევს და ატაცებულია გარკვეული ენთუზიაზმით, რომელსაც საკმაოდ სწრაფი დეპრესია ენაცვლება. ეს იმ კაცს გვაგონებს, ახალ საქმეს რომ დიდი ენერგიით იწყებს, მაგრამ დამთავრებამდე ქანცი ეცლება.

უიტლიმ თავი ასწია და ფიქრებში წასული თვალები მოჭუტა. შემდეგ სიგარეტი მოქაჩა და მაკინტოშს მიუბრუნდა.

— მაკ, შენ ხომ არ შეგიმჩნევია აქ კიდევ რამე?

მაკინტოშმა ჩაიცინა.

— არა. უფროსი შენა ხარ, მე როგორც მძღოლი ისე გამოგყევი.

— სისულელეს თავი დაანებე! — ჩაიბუზღუნა უიტლიმ და ჯოშუა ჰუბარტს მიუბრუნდა. — მაშ ასე, სერ, ექსპერტები უფრო მეტ მონაცემებს მოგართმევენ. მე მხოლოდ ზედაპირული ცნობები მოგეცით. ის ყმაწვილი, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ახალგაზრდაა, ჯანმრთელია და ღონიერი... ასე ოცდაათ წელს გადაცილებული იქნება. მე ვფიქრობ, ეს კაცი თქვენ გიცნობთ, თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ „ჯ. ჰ.“-თი მოგმართავთ, ხოლო თქვენ შვილიშვილს კი „პატარა ჯ“-ს უწოდებს. ეს გოგონას მოფერებითი სახელია, არა?

— რაო, რა თქვით? — ჰუბარტი თავის ფიქრებიდან გამოერკვა. — დიახ, დიახ, ჩემი ვაჟის ჯეიმსის ქალიშვილია. ჩვენს ოჯახში მას „პატარა ჯ“-ს ვეძახდით, სანამ ჯენიფერი არ შეეძინათ. ხოლო ამის შემდეგ ეს სახელი მის გოგონაზე გადავიდა... უკაცრავად, ერთი წუთით...

ჰუბარტმა სელექტორის ღილაკს დააჭირა თითი.

— სელი, ჩემს ვაჟიშვილს უთხარი, რომ ჩემთან შემოვიდეს.

აი, სულ ეს არის, რისი თქმაც ახლა შეგვიძლია, სერ, — თქვა უიტლიმ. — ჩვენ ვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრია დადიანი

(მსოფლიოში ცნობილი
პირველი
ქართველი მოჭადრაკე)


THE
AMERICAN CHESS WEEKLY
PHILADELPHIA, PA., APRIL

ახალგაზრდა ქართველი მოჭადრაკის ანდრია დავითის ძე დადიანის სახელი კარგად არის ცნობილი მსოფლიო საჭადრაკო სპარეზზე. იგი დაიბადა და აღიზარდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის განათლებულ, პროგრესულად მოაზროვნე ოჯახში. მის საჭადრაკო მოღვაწეობაზე ცნობები გაფანტულია უცხოურ, რუსულსა და ქართულ პრესაში. საყურადღებოა თენგიზ გიორგაძის მონოგრაფია „თამაშობს ანდრია დადიანი", რომელიც თბილისში დაისტამბა 1972 წელს. მის საჭადრაკო მოღვაწეობაზე ცნობები დაცულია ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების, წერილების სახით.

ამ ნარკვევის მიზანია, მკითხველს გააცნოს ზუგდიდის მუზეუმის ბიბლიოთეკასა და ხელნაწერების ფონდსაცავში ანდრია დადიანზე არსებული დამატებითი მასალები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა პრესაში.

ანდრია დადიანი 1903-1904 წლებში მიწვეული იყო იტალიის პატარა საკურორტო ქალაქ მონტე-კარლოში გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების საპატიო პრეზიდენტად. ამ ტურნირს ამერიკულმა საჭადრაკო ჟურნალმა, რომელიც ქალაქ ფილადელფიაში გამოდიოდა, რამდენიმე ნომერში სპეციალური სერია მიუძღვნა.

დადიანისეულ წიგნად ფონდში დაცულია ამ ჟურნალის ნომრების სრული კომპლექტი, აკინძული წიგნად, ორი ცალი, ჟურნალის გამომცემლისა და რედაქტორის ემილ კემენის მიერ, რომელიც ტურნირის დამსწრე იყო. წიგნის გარეკანზეა წარწერა „მონტე-კარლოს" საჭადრაკო ტურნირი — 1903. წიგნში აკინძულია ჟურნალის ხუთი ნომრის სპეციალური სერია, რომლის სახელწოდებაა „ამერიკის საჭადრაკო ყოველკვირეული".

მონტე-კარლოს 1903 წლის საერთაშო-

ძებთ ახალგაზრდა კაცს, საკმაოდ კარგად განათლებულს, ერთობ ფრთხილსა და ამავე დროს მოუსვენარს. იგი არ ამჟღავნებს ამას, მაგრამ რაც კი მის გარშემო ხდება, ყველაფერი აინტერესებს. სიტყვების დასაწყისში ასოების სიმაღლის მიხედვით ისიც შეიძლება ითქვას... აი, დააკვირდით, პატარა ასოებზე ორჯერ მაღალი მაინც იქნება, იგი პატივმოყვარე და ყოყლოჩინაა. დროდადრო შემოქმედებითი ცეცხლით აეგზნება ხოლმე, მაგრამ ჩქარავე ქრება.

ჰუბარტმა მომცრო ბოთლი გახსნა, რამდენიმე აბი გადმოიყარა ხელისგულზე, პირში ჩაიყარა და წყალი მიაყოლა.

— თქვენ ერთი რამ გამოგრჩათ, — მოქანცული კაცის იერით თქვა მან. — იგი ნაძირალასავით ყველანაირ წერილს მოაწერს ხელს ასი ათასი დოლარის მუქთად ხელში ჩასაგდებად, იმის ნაცვლად, რომ ალალი შრომით მოიპოვოს იგი...

მაკინტოშმა ყურადღებით შეათვალიერა ეს ხანში შესული მილიონერი. შეამჩნია, რომ ის ნამდვილად მოხუცი კაცი იყო. ახლა კი უფრო მობერებულად გამოიყურებოდა, ვიდრე რამდენიმე წუთის წინ.

— თქვენ ვინმეზე გააქვთ ეჭვი? — კითხა მან.

კაბინეტის კარი ხმაურით გაიღო და ოთახში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ახალგაზრდა კაცი. ქათქათა ცხვირსახოცით იწმენდდა სახიდან ოფლს.

— ბატონებო, გაიცანით ჩემი ვაჟიშვილი, — ამოიოხრა ჰუბარტმა.

*

— ვერ გამოვიდა კარგი ამბავი, — თქვა მაკინტოშმა. როცა ისინი მანქანაში ჩახხდნენ და კომპანიის ეზოდან გავიდნენ. — მე მეგონა, ის ყმაწვილი სირცხვილისაგან დაიწვოდა, როცა მამამისმა ყველაფერი პირში მიახალა. ის კი ბავშვივით აღრიალდა...

— ჯერ ისევ განებივრებული ბავშვია, — ჩაიბურტყუნა უიტლიმ.

— უნეირო ტიპია, — განაგრძო მაკინტოშმა. — მამისათვის უნდოდა ფულის გამოცინცვლა, თანაც საკუთარი შვილის სიცოცხლით ემუქრებოდა, კაცია ეგა? არა, იმ ბავშვს არაფერს დაუშავებდა, მაგრამ...

უიტლი არაფერს პასუხობდა. ფანჯარაში იცქირებოდა, მერე ისევ თანაშემწისკენ მიიხედა. დარდიანი სახე ლამის ჩამოსტიროდა.

— იცი, რაზე დავიწყეთ ის იდიოტური ჩხუბი მე და კეროლაინმა? გუშინ საღამოს ვერ შევამჩნიე, რომ ახალი კაბა ეცვა, — უიტლიმ ამოიოხრა. — ვერ ვამჩნევ ამ ოხერ დეტალებს და რა ვქნა!

ინგლისურიდან თარგმნა
ზურლან გემაზაშვილმა.

რისო საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობდა თებერვალ-მარტში, ჟურნალის ნომრების ეს სპეციალური სერია კი გამოცემულია ტურნირის შემდეგ ჭ. ფილადელფიაში ინგლისურ ენაზე. ჟურნალის პირველი ნომერი 29 აპრილითაა დათარიღებული, მომდევნო ნომრები 11 მაისით, 21 მაისით, 2 ივნისითა და 18 ივნისით. გამომცემელ-რედაქტორს ჟურნალები წიგნადაც აუკინძავს 1903 წლის 20 ივნისისათვის გასაყიდად, ნაწილი ძვირფასი ტყავის გარეკანით, ნაწილი კი ჩვეულებრივი გარეკანით.

ამ ტურნირში 14 ცნობილ მოჭადრაკეს მიუღია მონაწილეობა. სპეციალური სერიის ბოლო მეხუთე ნომერში დართული ცხრილიდან ჩანს, რომ პირველ ადგილზე გამოსულა ტარაში, მეორეზე — მაროცი, მესამეზე — ფილსბერი, მეოთხეზე — შლეჰტერი და ა. შ. პირველი ნომრის შესავალ წერილში მოთხრობილია ტურნირის დაწყებაზე და იმ ინციდენტზე, რომელიც მოხდა ცნობილი რუსი მოჭადრაკის მიხეილ ჩიგორინის ტურნირზე დაშვების საკითხთან დაკავშირებით.

მონტე-კარლოს 1903 წლის საჭადრაკო ტურნირის მონაწილეთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 14 მოჭადრაკის რაოდენობით. ანდრია დადიანსა და მიხეილ ჩიგორინს შორის არსებული უთანხმოება, რომელსაც მანამდე ჰქონდა ადგილი, არ სცოდნია ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას, ამიტომ ჩიგორინიც მიუწვევიათ ამ ტურნირზე სათამაშოდ. მ. ჩიგორინი ჩამოსულა მონტე-კარლოში 1903 წლის 8 თებერვალს — კვირას, ხოლო ტურნირი იწყებოდა ორშაბათს — 9 თებერვალს. ა. დადიანი, როგორც აღვნიშნეთ, ამ ტურნირის საპატიო პრეზიდენტი იყო. ა. დადიანს კატეგორიულად განუცხადებია, თუ ჩიგორინს დაუშვებდნენ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, იგი გადადგებოდა პრეზიდენტობიდან და იმავე დღეს დაუყოვნებლივ დატოვებდა მონტე-კარლოს.

მუზეუმში დაცული წერილის ასლიდან გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინციდენტის შესახებ — დადიანსა და ჩიგორინს შორის უთანხმოებაზე: „ჩიგორინი ჩამოვიდა კვირას, ხოლო ვოლფი რამდენიმე დღით ადრე. საეჭვო იყო, შეიძლებოდა თუ არა ამ უკანასკნელის დაშვება — მოთამაშეთა რაოდენობა იქნებოდა თხუთმეტი ნაცვლად დადგენილი მაქსიმუმისა — თოთხმეტისა. მაგრამ რადგან პრინცმა დადიანმა გამოხატა ძლიერი ანტიპათია ჩიგორინის მონაწილეობის მიმართ, მის ნაცვლად დაშვებულ იქნა ვოლფი. კომიტეტის ორი წევრი იცავდა ჩიგორინს, რის შემდეგ პრინცმა კატეგორიულად განაცხადა, რომ თუ ჩიგორინს მიიღებდნენ შეჯიბრების მონაწილეთა შორის, იგი გადადგებოდა პრეზიდენტობიდან და იმავე დღეს დატოვებდა მონტე-კარლოს. ასეთ ვითარებაში ბატონ დე რივერას არ ჰქონდა სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ ჩიგორინი ვოლფით შეეცვალა. პრინცის საბუთები ჩიგორინის გამორიცხვის დაჟინებული მოთხოვნისათვის იყო ის, რომ ეს უკანასკნელი, მიუხედავად პრინცის მხრივ გულუხვობის მრავალი აქტისა, გამუდმებულ მტრულ განწყობილებას იჩენდა პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში, რაც პრინცს უსამართლოდ მიაჩნდა...

ძნელად წარმოსადგენია, რომ პრინცი, რომლის შესახებ ძვირფასი შეხედულების არიან მოთამაშეები, თავისი თავაზიანი და მომხიბლავი მანერებით, მტრულად ყოფილიყო განწყობილი რუსი ოსტატის მიმართ სამართლიანი მიზეზის გარეშე, და მდგომარეობა ამჟამად ასეთია. უეჭველია, რომ ჩიგორინი მოგვცემს თავის ვერსიას საკითხისათვის შუქის მოსაფენად. სინამდვილეში პრინცს სურს, დაუთმოს ჩიგორინს გონივრულობის ფარგლებში“. ამ ინციდენტის შესახებ უფრო ვრცლად მოთხრობილია მონტე-კარლოს 1903 წლის ტურნირისადმი მიძღვნილ სპეციალურ სერიაში — ჟურნალ „ამერიკის საჭადრაკო ყოველკვირეულის“ პირველ ნომერში.

ჩიგორინს ტურნირში მონაწილეობაზე უარის თქმისათვის გადაუხადეს კომპენსაცია 1500 ფრანკის ოდენობით, რაც დაახლოებით უდრიდა პრიზს, რომელიც მას შეიძლება მოეპოვებინა...

ჩემი აზრით, ეს 1500 ფრანკი ჩიგორინისათვის ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტს უნდა გადაეხადა, მაგრამ როგორც ზემოთ მოყვანილი ემილ კემენის წერილიდან ჩანს, იგი ანდრია დადიანს გადაუხდია.

ანდრია დადიანი იყო პირველი გამოჩენილი ქართველი მოჭადრაკე, რომელსაც იცნობდა მსოფლიო საჭადრაკო სამყარო. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული წერილები, რომლებიც დადიანსა და სხვა ცნობილ მოჭადრაკეებს ეძღვნება, იმაზე მიუთითებენ, რომ მას დიდად აფასებდნენ ჭადრაკის მესვეურნი. ამიტომაც შემთხვევითი როდი იყო მისი მოწვევა 1903-1904 წლების მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირის საპატიო პრეზიდენტად. ჭადრაკის დიდი მცოდნე, მასზე ფანატიკურად შეყვარებული, საჭადრაკო საქმის გულუხვი მეცენატი, სამეგრელოს პრინცი ანდრია დადიანი ტერნირის საპატიო პრეზიდენტად მიწვეულია ცნობილი ფრანგი ოსტატის არნუ დე რივერის თხოვნით.

ანდრია მონტე-კარლოში გაჩერდა სასტუმრო „ოტელ დე პრინცში“, სადაც ტურნირის მონაწილეთა პატივსაცემად გაუმართავს ბანკეტი. ასევე ამ ტურნირის მონაწილე მოჭადრაკეების მიერ ნათამაშევი ყველაზე ლამაზი პარტიისათვის დაუწესებია ორი პრიზი, თითოეული 250 ფრანკის ოდენობით. ერთი ხვდა ფილსბერის, მეორე კი — მიზესს, პირველს ვოლფთან, ხოლო მეორეს რეგიოსთან მოგებულ პარტიაში. ფილსბერიმ ტურნირზე მესამე ადგილი დაიკავა, ვოლფმა — მეშვიდე, მიზესმ — მერვე და რეგიომ — მეცამეტე.

1975 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა პროფესორმა ეივემ სწორედ აქ მოხსენიებული ფილსბერი შეეყვანა მსოფლიოს ყველა დროის მოჭადრაკეთა ათეულში.

მონტე-კარლოს ტურნირისადმი მიძღვნილი ჟურნალის სპეციალური სერიის პირველი ნომრის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულია ანდრია დადიანის ფოტოსურათი წარწერით „სამეგრელოს პრინცი დადიანი“. სურათზე გამოსახულია ანდრია სამხედრო ფორმაში, უკვე ხანში შესული გენერალი (ამ დროისათვის 53 წლის იყო) დგას საწერ მაგიდასთან, ხელში ქაღალდით, რომელსაც დასაქერის თავდახრილი. მაგიდაზეა საწერი მოწყობილობანი და წიგნები, ოთახის კედლები მოფენილია დიდი და პატარა ზომის სურათებით. იკითხება ზოგიერთი სურათი, მაგალითად, დავით დადიანის, ნინო ჭავჭავაძისა და ეპისკოპოს ანტონ ჭყონდიდელის. მხატვარ ემილ ფრანსუა დესენის მიერ 1851 წლით დათარიღებული ეს სურათები ამჟამადაც დაცულია ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში.

სპეციალური სერიის მესამე ნომრის მეორე გვერდზეა ფოტოსურათი ამ ტურნირისა, სადაც მიმდინარეობდა ტურნირი 1903 წლის 14 თებერვალს. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ანდრია დადიანი თვალყურს ადევნებს მატჩის მიმდინარეობას ერთ-ერთ დაფასთან, სურათზე ჩანს აგრეთვე ამ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, არნუ დე რივიერა, რომელიც სხვა დაფაზე დასაქერის მატჩის მსვლელობას. ბოლო გვერდზეა მატჩის მიმდინარეობა 1903 წლის 17 თებერვალს.

სპეციალური სერიის ნომრების გვერდებზეა არნუ დე რივიერასა და პირველ-მესამე ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეების ზ. ტარაშის, გ. მაროცის და ჰ. ფილსბერის ფოტოსურათები. ყველა ნომრის სატიტულო ფურცლებზეა სურათები ქალაქ მონტე-კარლოსი, მონაკოს ულამაზესი ხედებისა და ბანქოს სათამაშო სასახლის მდიდრულად მორთული დარბაზის ინტერიერისა.

ჟურნალის ეს ნომრები დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და დიდად დაინტერესებს ჭადრაკის ისტორიის მკვლევართ.

მუზეუმის ფონდსაცავის ლიტარქივის ხელნაწერებში დაცული სხვა წერილები ანდრია დადიანისადმი, რომლებიც ეკუთვნის მსოფლიოში ცნობილ მოჭადრაკეებს, მოგვითხრობენ იმ უანგარო გულუხვ ქველმოქმედებაზე, ჭადრაკისადმი იმ დიდ სიყვარულსა და თავდადებაზე, რასაც იჩენდა უგანათლებულესი ქართველი თავადი ანდრია დადიანი.

როგორც ცნობილია, XIX ს. 90-იანი წლებიდან ანდრია დადიანი ცხოვრობდა ქალაქ კიევში. ჰქონდა შესანიშნავი სასახლე. მუზეუმში ანდრიას სხვა ნივთებთან ერთად დაცულია კიევის სასახლის სურათი და ფოტოალბომი სასახლის დარბაზების ინტერიერებისა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება რომ სასახლის ყველა დარბაზისა და ოთახის იატაკზე ჭადრაკის დაფის მსგავსად დაგებულია თეთრი და შავი ფერის მარმარილოს ფილები. ესეც კიდევ ერთი ნიუანსია ჭადრაკისადმი ანდრიას დიდი პატივისცემისა.

ინგლისელი მოჭადრაკე ჯეიმზ მეისონი, რომელიც მძიმე ავადმყოფობის გამო ფინანსურ სიძნელეებში ჩავარდნილა, დახმარებას სთხოვს ანდრია დადიანს:

„მონტე-კარლო, 22 თებერვალი, 1903 წ.

აქ უბედურება დამემართა, მჭირდება 200 ფრანკი დაუყოვნებლივ. ახლა გამიძნელდება თქვენი აღმატებულების შეწუხება დეტალებით და შესაძლოა, სწორიც არ იყოს. ერთად-ერთი, რაც ახლა შემიძლია, ეს არის — მივიღო თქვენი რჩევა და გთხოვოთ დახმარება.

როცა ხათაბალიდან გამოვალ და დავბრუნდები ინგლისში, მოგწერთ ზოგადად ჭადრაკის საკითხებზე. გასული წლების განმავლობაში ბევრჯერ ვფიქრობდი ამის გაკეთებას, მაგრამ მეშინოდა კადნიერებისა. ძნელია ჩემთვის მეგობრის შეწუხება, ასეთები არ არიან ბევრნი, მაგრამ არასოდეს დამიკარგავს მეგობარი, გარდა იმისა, როცა სიკვდილი გამომტაცებდა, თქვენი აღმატებულება კი ბრძანებდა ადამიანთა მსაჯული, რასაც ჩემი მეგობარი აკეთებს, სწორი უნდა იყოს.

გულწრფელად თქვენი ჯეიმს მეისონი“.

როგორც მომდევნო წერილიდან ირკვე-

უცხოური იუმორი

პროტექცია

— მაშ ასე, — უთხრა ექიმმა პაციენტს, რომელიც გასინჯვის შემდეგ ტანთ იცვამდა. — თქვენთვის არ შეიძლება მაგარი სასმელების დალევა, თამბაქოს მოწევა, ზედმეტი საჭმელისგანაც თავი უნდა შეიკავოთ, ათ საათზე გვიან არ უნდა დწვეთ დასაძინებლად...

— უკაცრავად, ექიმო, მე მგონია, აქ რაღაც გაუგებრობაა. მე ჭუჩიდან კი არ მოვსულვარ, მისტერ სმიტის რეკომენდაციით გეახელით.

გახუსით გაოგნება

მთვრალი მგზავრი ორჯერ შეცდომით ჩაჯდა სხვა ავტობუსში, მაგრამ მესამედ როგორც იქნა მიაგნო სათანადო ტრანსპორტს.

იმავე ავტობუსით მღვდელიც მგზავრობდა, რომელმაც ლოთს გამკიცხავად შეხედა და გააფრთხილა:

— შვილო ჩემო, ეს გზა პირდაპირ ჯოჯოხეთში მიგიყვანს!

— როგორ, — წამოიყვირა ბახუსით გაოგნებულმა, — ისევ სხვა ავტობუსში ჩავჯექი?!

არჩევნების წინ

დეპუტატი ქმარი ცოლს მომავალი არჩევნების გამო თავის ეკვს უზიარებდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პროვინციის ყველა პატიოსანი ადამიანი შენ მოგცემს ხმას, — ანუგეშა ცოლმა.

— კი, მაგრამ მე უმრავლესობისაგან მინდოდა ხმის მიღება.

ჩვეულება

— ბატონო მოსამართლე, — შესთავაზა დიასახლისმა თავის სტუმარს, — ქათმის ბულიონიც გასინჯეთ.

— გმადლობთ, — მიუგო მოსამართლემ, — მე უკვე გეახელით და მიმაჩნია, რომ ქათამმა უკვე დაამტკიცა თავისი სრული ალიბი.

მიზეზი

— ხომ არ იცი, პიტერი და მერი შერიგდნენ?

— უნდოდათ, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ შეძლეს!

— განა რატომ?

— დაავიწყდათ, რაზე წაიჩხუბნენ.

გაღლესავალი

— უკანასკნელად გეკითხები: ვალს როდის დამიბრუნებ?

— რა კარგია, რომ მაგ სულელურ კითხვას მეტად აღარ მომცემ.

ტურისტები

ჰანსი და ერიჰი ლონდონში დასეირნობდნენ.

— ჰანს, ხომ არ იცი ამ მდინარეს რა ჰქვია?

— წარმოდგენა არა მაქვს. ჩვენთან კელნში მაგას რაინს ეძახიან.

აღმოჩენა

— იცი, მაქს, დღემდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩვენს მეზობელს სამი ქალიშვილი ჰყავდა. სინამდვილეში კი ერთიდაიგივე ყოფილა — სხვადასხვა პარიკში.

უნდოგლობა

— გესმით, ძაღლი როგორ იყეფება!

— რა დაემართა?

— მეზობლები აგარაკზე მიდიან.

— მერე, ძაღლიც ხომ თან მიჰყავთ, რაღა აყეფებს?

— ეტყობა მიხვდა, რომ საჭესთან დიასახლისი აპირებს დაჯდომას.

გაძვირება

ფანი სასამართლოში გამოიძახეს და ორასი ფრანკით დააჯარიმეს, რადგან მეზობელს ღორი უწოდა.

— ჰო, მაგრამ, ბატონო მოსამართლე, — დაიჩივლა მეზობელმა, — ნათ ზუსტად იგივე დანაშაულისთვის მხოლოდ ასორმოცდაათი ფრანკი გადამახდევინეთ?!

— სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით. ღორის ხორცი გაძვირდა.

თხოვნა

გამოსაშვებ საღამოზე კურსდამთავრებულმა ყმაწვილმა გერმანული ენის მასწავლებელს მადლობა გადაუხადა და დასძინა:

— თუ რამეში გამოგადგებით, გთხოვთ, მიმსახუროთ.

— ჩემი თხოვნაა, — უთხრა მასწავლებელმა, — არავის არ უთხრათ, რომ გერმანულ ენას ჩემთან სწავლობდით.

უნეგლიე კრიტიკა

— რა ცოცხლად არის დახატული, პირზე ნერწყვი მომადგა, — უთხრა მხატვარს სტუმრად მისულმა მეგობარმა.

— განა მზის ჩასვლა ნერწყვს გგვრის? — ჰკითხა გაკვირვებულმა მახპინძელმა.

— მომიტევე, გეთაყვა, მე ერბოკვერცხი მეგონა.

ვა ა. დადიანს თხოვნა უყურადღებოდ არ დაუტოვებია, გასაჭირში მყოფი მეგობრისათვის აღნიშნული თანხა გაუგზავნია.

ჯეიმზ მეისონი ა. დადიანს გამორჩენილი გულუხვობისათვის უგზავნის მადლიერების გრძნობით აღსავსე უფრო ვრცელ წერილს. კონვერტზე არის თარიღი 13. IV. 1904 წ.

„... მხოლოდ ახლა შევძელი წერილის მოწერა მონტე-კარლოდან ჩემი დაბრუნების შემდეგ. ჩემი აზრით, უსარგებლოა მადლობის ან სინანულის გამოთქმა. ძალიან დიდი პატივი და თქვენგან გამოჩენილი სიკეთე, რომელმაც მიხსნა, არასოდეს დამავიწყდება. მაგრამ ძალიან არასახარბიელოდ გამოვჩნდი თქვენი აღმატებულების წინაშე და დიდი მონდომებით მოველი ჩვენს შეხვედრას.

ჩემი წიგნებიდან ორი უკვე გაიყიდა და ვიწყებ მუშაობას ახალ გამოცემაზე. ხომ არ ინდომებთ თქვენი ზოგიერთი პარტიის დაბეჭდვას ინგლისში. მე არა მაქვს რაიმე სახის ბიბლიოთეკა ან კოლექცია, და ჯერჯერობით ვმუშაობ წიგნზე...

შეიძლება შეცდომა იყოს ჩემი მხრივ ხსენება „ჩიგორინის ინციდენტისა“ მონტე-კარლოში. ამერიკის პრესაში იყო „ხმაური“, მაგრამ იმ ადამიანებისაგან, რომლებმაც არაფერი იცოდნენ ამ საქმის შესახებ და, ვფიქრობ, რომ ახლა ეს ამბავი საქმაოდ მიწყნარდა, შეწუხებული ვიყავი, მაგრამ როდესაც სქელკანიან ადამიანებს სჯიან სხვა უფრო მგრძნობიარე ადამიანებისადმი უხეშად მოპყრობისათვის, მათ თავისებურად უნდა იგრძნონ, რომ, თუ ამ კერძო შემთხვევაში „უსამართლოდ მოექცნენ“, ეს ხდება საერთოდ უფრო ფართო და დიდი სამართლიანობის დასაკმაყოფილებლად.

თქვენი აღმატებულების მარად მადლიერი და გულწრფელი მეგობარი ჯეიმზ მეისონი“.

ასევე ანდრია დადიანს დახმარების ხელი გაუწოდებია ემილ კემენისათვის.

„ჩიკაგოს ჭადრაკისა და შაშის კლუბი
შილერ ბილდინგი, მეთერთმეტე სართული,
ჩიკაგო, 16, აგვისტო, 1904 წ.
მის აღმატებულებას, სამეგრელოს
პრინც დადიანს
თქვენო აღმატებულებავ!

ნება მომეცით, გულითადი მადლობა გითხრათ სამასი ფრანკის გამოგზავნისათვის და მიზესის მშვენიერი გამბიტისათვის, რომელსაც აუცილებლად დავბეჭდავ, როგორც კი მივიღებთ „საჭადრაკო სვეტს“. დიდი ხანია, მოველოდი ასეთი სვეტის მიღებას, რის გამოც დავაყოვნე თქვენს კეთილ წერილზე პასუხის გაცემა. იმედი მქონდა, რომ გამომიგზავნიდით ერთ-ერთ ასეთ გამოცემას, მაგრამ ძალიან ძნელია ამერიკული გაზეთის დაინტერესება ჭადრაკით.

ვრჩები თქვენი ერთგული
ემილ კემენი“

ანდრიას გულუხვობისა და ქველმოქმედების ფაქტი გასცდა ევროპას, მას იცნობენ შორეულ ამერიკაში. შეერთებული შტატების ჭადრაკის მესვეურნი ამერიკაში იწვევენ ქალაქ კემბრიჯ-სპრინგსში დიდოსტატთა ტურნირზე დასასწრებად და ამ ტურნირის მეცენატების სიაში მის ჩართვას დიდ პატივად მიიჩნევენ.

„ნიუ-იორკის შტატის გაზეთი, 15 იანვარი, 1904 წ.
სამეგრელოს პრინც დადიანს
ძვირფასო სერ!

აქამდე თქვენ უეჭველად გაიგებდით, რომ მომავალ აპრილს კემბრიჯ-სპრინგში, ჰენსილვანიაში გაიმართება დიდოსტატთა ტურნირი და ამ თამაშის წამყვანმა — მსოფლიოში ცნობილმა სპეციალისტებმა გამოხატეს სურვილი მონაწილეობის მიღებისა. ჩანს, რომ ეს იქნება უაღრესად წარმატებების მქონე ტურნირი და გათამაშებული ჭადრაკი უაღრესად მაღალი კლასისა იქნება.

რადგანაც თქვენ ხართ გამოჩენილი ჭადრაკის სამყაროში, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ შეიძლება არ მიიჩნიოთ ურიგოდ ამ კონგრესთან დაკავშირება და მასთან თანამშრომლობა.

დიდ პატივად მივიჩნევდით თქვენს ჩართვას მეცენატების სიაში. თუ მოახერხებთ ამ დროისათვის ამერიკაში ჩამოსვლას, საჭიროც არ არის ამის თქმა, რომ თქვენ გულითად მიღებას გაგიმართავენ ყველანი, რომლებთანაც კონტაქტში მოხვდებით.

მოველით თქვენს კეთილ პასუხს.
ვრჩებით თქვენი პატივისმცემელი
ნიუ-იორკის შტატის
გაზეთის მმართველი დირექტორები:
(ორი ხელმოწერაა გაურკვეველი)“.

ანდრიასადმი გამოგზავნილი ეს წერილები მეტყველებენ იმ ფაქტზე, თუ როგორი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა იგი მსოფლიო საჭადრაკო სამყაროში.

უდავოდ აღნიშვნის ღირსია ცნობილი ქართველი მოჭადრაკის ანდრია დადიანის მიერ გამოჩენილი გულუხვობისა და ქველმოქმედების მრავალი აქტი, გაწეული ჭადრაკის საქმის სასიკეთოდ. აღნიშნული წერილები ცხადყოფენ და ადასტურებენ დადიანის იმ დიდ წვლილს, რომელიც საჭადრაკო საქმის ხელშეწყობისათვის გაუწია.

ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ა. დადიანის წერილების კოლექცია, საჭადრაკო წიგნები და ჟურნალები დიდი განძია XIX საუკუნის მეორე ნახევრის საჭადრაკო სამყაროს გასაცნობად და შესასწავლად.

იასონ იზორია,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

თამაშგარე მდგომარეობა

„პენალტი ჩემი პროფესიაა, — განაცხადა არგენტინელთა მეკარემ სერხიო გოიკოეჩეამ — თუმცა, ბედმაც არ უნდა გიმუხთლოს. იუგოსლაველებთან თამაშის დროს თანაგუნდელებს დავპირდი, ორ პენალტს ავიღებ-მეთქი და იმედიც არ გავუმტყუნე. იტალიასთან ორთაბრძოლისას მათივე თხოვნით ერთი პენალტი მაინც უნდა ამეღო, მაგრამ როგორც ხედავთ, მეტი შევძელი“.

მადლიერი ირლანდიელები

მას შემდეგ, რაც ქალაქ დუბლინში ახალი სტადიონი ააგეს და ფეხბურთის ადგილობრივმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალამდეც კი მიაღწია, მადლიერმა ირლანდიელებმა გუნდის თავდაუზოგავი მწვრთნელის ჯეკი ჩარლტონის პატივსაცემად სტადიონს „ჩარლტონპარკი“ დაარქვეს.

საუკეთესო ჰიმნი

სახელგანთქმული იტალიელი ტენორის ლუჩანო პავაროტის აზრით, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ოცდაათხი ქვეყნიდან ყველაზე მელოდიური ჰიმნი ინგლისელებსა და დასავლეთ გერმანელებს აქვთ.

რაც შეეხება იტალიის ჰიმნს, პავაროტის მიაჩნია, უმჯობესია იგი ჯუზეპე ვერდის ოპერა „ნაბუქოდონოსორის“ გუნდის სიმღერით შეიცვალოს.

*

იმ დღეს, როცა რომში დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელმა ჰოლანდიელებთან მატჩი მოიგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, ბეკენბაუერს მანქანის სადგომიდან „მერსედესი“ მოპარეს. სენსაციებით დაინტერესებული ჟურნალისტების შეკითხვაზე გერმანელთა გუნდის მწვრთნელმა შესაშური სიმშვიდით განაცხადა: „ეს ჩემი პრობლემა არ გახლავთ, სადაზღვევო კომპანიის საქმეა“.

ფეხბურთით დაღლილნი

დასავლეთგერმანელი პატარა ქალაქის პასაუს მცხოვრებლებს, რომელთაც უყვართ ლუდი, მაგრამ ვერ იტანენ ფეხბურთს, „ვაისეს ვროიცში“ მყუდრო კუთხე შეუძლიათ იპოვნონ. ბარის მეპატრონემ აქ შემოსულთ ტელევიზორით მსოფლიო ჩემპიონატის ყურება აუკრძალა. მეტიც, ნებისმიერი პირი, ვინც ფეხბურთზე დაიწყებს საუბარს, „წითელ ბარათს“ უჩვენებდნენ და ჩემპიონატის დამთავრებამდე ლუდის ბარში არ დაიშვებოდა.

*

ამერიკული ესტრადის ვარსკვლავმა მადონამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბილეთი შეიძინა: მაგრამ თამაშს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დასწრებოდა, თუ იტალიის ნაკრები ფინალში გავიდოდა. იტალიური წარმოშობის სუპერვარსკვლავმა 10 ივლისს რომში გამართულ კონცერტზე „სკუადრი აძურას“ მთელი შემადგენლობა მიიწვია.

რომაელმა ექიმმა ანდრეა ფრასკარელიმ იპოვნა საფულე, რომელშიც ორი ათასი დოლარი იდო. ფრასკარელიმ მოიძია საფულის პატრონი, ირლანდიელი ჟურნალისტი. დაუფასებელ ღირსეულ ბატონიელი პატიოსან ექიმს და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბილეთით დაასაჩუქრეს.

ცრუმორწმუნენი

ოთხი წლის წინათ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ გერმანია და არგენტინის ნაკრები გუნდები. მატჩს ესწრებოდა კანცლერი ჰერმუტ კოლი და... გერმანელები დამარცხდნენ.

როცა ბეკენბაუერმა შეიტყო, წლევანდელ ჩემპიონატს კოლი კვლავ დაესწრებოდა, ქარაგმულად თქვა: „არამცდაარამც არ ვართ ცრუმორწმუნენი, მაგრამ იქნებ კანცლერმა შინ გვითანაგრძნოსო“...

თავგამოდებული გულშემატკივარი

არგენტინელთა პრეზიდენტი კარლოს მენემი მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე დასწრების შემდეგ შინ დაბრუნდა და ყველა მატჩს მთავრობის რეზიდენციაში დადგმული უზარმაზარი ტელეეკრანით ადევნებდა თვალყურს. „მთავარია, არ შეიცვალო ჰალსტუხი და შენი გუნდი წარმატებას მიაღწევს!“ — განაცხადა პრეზიდენტმა და ასე — ჩემპიონატის დამთავრებამდე ზოგი გულშემატკივარი წვერს არ იპარსავდა, ზოგი ცხვირსახოცში ნიორგახვეული დადიოდა, ზოგი ეკსტრასენსის სურათით იჯდა ეკრანთან და ვინ მოსთვლის, რამდენ ახირებას ჰქონდა ადგილი.

უცხოური იუმორი

ირლანდიელი და ამერიკელი აეროპორტის ბარში სხედან.

— ძმის დასახვედრად მოვედი. ერთ საათში ამერიკიდან უნდა ჩამოფრინდეს. ეს მისი პირველი მოგზაურობაა სამშობლოში 40 წლის მანძილზე, — თქვა ირლანდიელმა.

— მერედა, შეგიძლია იცნო? — გაოცდა ამერიკელი.

— დარწმუნებული ვარ, რომ არა, ამდენი წელი გავიდა, — თქვა ირლანდიელმა.

— ის თუ გიცნობს? — ჰკითხა ამერიკელმა.

— რა თქმა უნდა, მიცნობს, — თქვა ირლანდიელმა, მე ხომ არასოდეს ვყოფილვარ მოგზაურობაში!

●

ტომი ბებიას ესტუმრა. ბებიამ გადაწყვიტა მისთვის შვრიის ფაფა მოემზადებინა. ქვაბში შვრია ჩაყარა და შვილიშვილს შეეკითხა:

— შაქარი ხომ გიყვარს?

— დიახ, — უპასუხა ტომმა.

ბებიამ ქვაბში შაქარიც ჩაყარა.

— რძე გიყვარს?

— რძეც მიყვარს.

ბებიამ ქვაბში რძეც ჩაასხა.

— კარაქი?

— მიყვარს, — თქვა ტომმა.

ბებიამ კარაქიც ჩააგდო. შემდეგ აიღო ქვაბი და ტომს წინ დაუდო.

— ფუუ, — წამოიძახა ტომმა.

— რა მოხდა, ტომ? ხომ თქვი, შაქარი, რძე და კარაქი მიყვარსო? — თქვა ბრაზმორეულმა ბებიამ.

— ჰო, მაგრამ შენ არ გიკითხავს, მიყვარდა თუ არა შვრია, — მიუგო ტომმა.

●

პატარა გრეტა სამზარეულოში შევიდა, სადაც დედა მერძევეს ესაუბრებოდა.

— გრეტა, შვილო, რა უნდა უთხრა ამ ჯენტლმენს, რომელსაც შენთვის ყოველ დილით ასეთი ქაფქაფა რძე მოაქვს? — მიმართა გოგონას დედამ.

— მოხარული ვარ თქვენი ნახვისა. როგორ გრძნობს თავს თქვენი ძროხა?

●

ჰაიდ-პარკში, შეკრებაზე, ერთმა ორატორმა განაცხადა:

— ამ მხარის ხალხმა რაც შეიძლება მეტი ხორბალი უნდა მოიყვანოს.

— თივაზე რას იტყვით? — მოულოდნელად აყვირდა ერთი გაბრაზებული მსმენელი.

— მე ჯერ ადამიანთა საკვებზე ვლაპარაკობ, — შეეკამათა ორატორი, ხალხო პირადად თქვენს შემთხვევაში როგორ უნდა მოვიქცეთ, ამას ახლავე მოგახსენებთ.

●

მოსამართლე მის წინ მდგომ ჩიატანის კაცს ეკითხება:

— რას აკეთებდით იმ ყალთაბანდთა ბუნაგში, როდესაც მას პოლიციამ ალყა შემოარტყა?

— კარებს ურდულს ვუყრიდი, ბატონო!

●

როდესაც ქალთა ერთი ჯგუფი ავტობუსში ავიდა, ყველა ადგილი უკვე დაკავებული იყო.

კონდუქტორმა შეამჩნია, რომ წინა რიგში კაცს ეძინა და იმ მიზნით რომ მას თავისი გაჩერება არ გამორჩენოდა, მუჭლუგუნი ჰკრა და მიმართა:

— გაიღვიძე!

— მე არ მძინებია, — შეეკამათა კაცი.

— ეს როგორ, თვალები ხომ დახუჭული გქონდა.

— ხო მაგრამ, მე ხაშინლად არ მიყვარს, როცა ვუყურებ ფეხზე მდგომ ქალებს გაჭედილ ავტობუსში.

●

ჯილი. ძვირფასო, მე შენ თმების გასამაგრებელი სითხე გიყიდე.

ჯეკი. შენ მეტად ყურადღებიანი ხარ, ჩემო სიცოცხლე!

ჯილი. მხოლოდ შენთვის კი არა, შენი მდივნისთვის. თორემ ხშირად ვნახულობ მის თმებს შენს პალტოზე.

●

ჯეკმა გადაწყვიტა ოჯახში ცოტა მეტი ეკონომია გაეწია და ამის შესახებ ცოლს მოლაპარაკებოდა. მან ეს გეგმა თავის მეგობარს გააცნო.

მეორე დღეს ჯეკი საოცრად ნაღვლიანი ჩანდა.

— როგორ ჩაიარა შენმა ლექციამ? — ჰკითხა მეგობარმა.

— შენ წარმოიდგინე, რომ სიგარეტის წევასა და სმას თავი უნდა დავანებო.

●

ანი. დედა, შეიძლება ხუთცენტიანი მონეტა მივცე აგერ იმ კაცს, გარეთ, რომ ჰყვირის?

დედა. და რას ჰყვირის, ჩემო ძვირფასო იგი?

ანი. ნაყინი, ნაყინი 5 ცენტიო.

●

— ხშირად მსმენია შემთხვევები, როცა ექიმი სვამს არასწორ დიაგნოზს და პაციენტი პნევმონიის ნაცვლად მუცლის ტიფით კვდება, — შესჩივლა შეწუხებულმა ავადმყოფმა ექიმს.

— ნუ სწუხარ, მეგობარო, როცა მე პნევმონიის დიაგნოზს ვუსვამ ავადმყოფს, ის აუცილებლად პნევმონიით კვდება, — მშვიდად მიუგო ექიმმა.

●

— მამა, შენ სად დაიბადე? — შეეკითხა დიკი მამას.

— ნიუ-იორკში.

— დედა?

— ლოს-ანჟელოში.,

— მე?

— ვაშინგტონში.

— რა საოცარია, როგორ მოვიყარეთ ამ სამმა ადამიანმა ერთად თავი?

●

— ყოველ დილით, სამსახურში წასვლის წინ, მისტერ ჯონსი ჰკაცნის მისის ჯონსს. შენ რატომ არ აკეთებ ამას? — ჰკითხა ახალგაზრდა ქალმა მეუღლეს.

— ეს როგორ, მე მისის ჯონსს ხომ საერთოდ არ ვიცნობ, — გაიკვირვა მეუღლემ.

●

პოლიციელი, ეს-ესაა კაცი გაქურდეს და ერთი მათგანი დავიჭირე.

უფროსი. რომელი?

პოლიციელი. კაცი, რომელიც გაქურდეს.

●

— რა შესანიშნავად დაუკარით დღეს, რა ნაწარმოები იყო?

— ო, მადამ, მე მხოლოდ სიმი გამოვუცვალე ჩემს ვიოლინოს.

ინგლისურიდან თარგმნა
ნინო ლორთქიფანიძემ.

ჯვარედინი



თარაზულად: 5. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ძალმომრეობით მიერთება; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია; 9. ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში დანაშაულის სახეობა, რომელიც გამოიხატება ამა თუ იმ პირის ან დაწესებულების სახელის გამტეხი ცნობების გავრცელებით; 12. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 13. საგანგებოდ შემუშავებული კვების რეჟიმი; 14. ფულის ერთეული ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში; 17. მდინარე, ნიამუნასის (ნემანის) მარჯვენა შენაკადი, ლიტვის სხრ; 18. კუნძული ხმელთაშუაზღვაში; 19. სახელმწიფოთა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირი ან შეთანხმება ერთობლივი მოქმედების ან დასახული მიზნების მისაღწევად; 20. ქალაქი რსფსრ როსტოვის ოლქში; 25. ნახაზის პირგადასაღები ტუშით; 26. ქალაქი იტალიაში; 27. ყველაზე დაბალი დიპლომატიური რანგი; 30. ყველაფრის ხელადებით უარყოფა, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობა; 31. ქართული თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. 32. მზის სისტემაში შემავალი პლანეტა.

შვეულად: 1. ინგლისის მიერ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება; 2. აფრიკის სახელმწიფო; 3. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ამომრჩეველთა თანრიგი, გამოყოფილი ქონებრივი, ეროვნული, რასობრივი ან სხვა ნიშნის მიხედვით; 4. ქვეყნიდან საქონლის ან ვალუტის გატანის ან შემოტანის აკრძალვა; 7. კუნძულ სიცილიაზე ნახევრადლეგალური ტერორისტული ორგანიზაცია; 8. საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს; 10. რომის პაპის მიმართვა კათოლიკური სამღვდელოებისადმი ან ყველა მორწმუნისადმი რელიგიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მორალურ და სხვა საკითხებზე; 11. წერილობითი ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს; 15. უღელტეხილი ბულგარეთში, სტარა-პლანინის მთებში; 16. გასანათებელი მოწყობილობა; 21. ერთწლოვანი მცენარე — გავრცელებული ტროპიკებსა და სუბტროპიკებში; 22. სახელმწიფო აფრიკაში; 23. საფრანგეთში და ზოგიერთ ქვეყნებში მამაკაცის მოხსენიება ან მისდამი მიმართვა; 24. ქალაქი გროდნოს ოლქში, ბელორუსიის სსრ; 28. პოეტიკურ-მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ადიდებს სამშობლოს, სახელმწიფოს, ისტორიულ მოვლენებს და მათ გმირებს; 29. მრავალწლოვანი ბოლქვიანი მცენარეთა გვარი ზამბახისებრთა ოჯახისა.

შეადგინა ვაჟა მაბრაძველიძემ

მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. პირამიდა. 6. პოლიგონი. 8. რეპერტუარი. 9. კუინი. 11. აკინი. 13. სკარლატი. 15. სიეტლი. 16. ლიახვი. 17. მაშარაბი. 21. ნეიტრონი. 23. აკორდი. 24. სტუდია. 25. ასპარეზი. 28. გოგია. 30. ტაქტი. 31. დემარკაცია. 32. ფლაგმანი. 33. აპელაცია.

შვეულად: 1. დისკუსია. 2. გმირი. 3. ლიბია. 4. ანტონოვი. 6. ამება. 7. პაუზა. 10. ნატურმორტი. 12. კლავიატურა. 13. სიმფონია. 14. ილინოისი. 18. შელი. 19. „არტო“. 20. აკროპოლი. 22. სიმფონია. 26. პლაცი. 27. ელარა. 29. ადამი. 30. ტაბლა.

ჰილგერ ნილსენი-ხელბურთის გამომგონებელი

ეს ამბავი თითქმის ასი წლის წინ მოხდა. გასული საუკუნის დამლევს დანიის პატარა ქალაქ ორდრუპში მცხოვრებ ვინმე ქალბატონ ნილსონს სიცოცხლეს უმწარებდნენ მისი ფანჯრების წინ მობურთალი ბიჭები, რომლებიც ხშირად მოწინააღმდეგის კარის ნაცვლად ბურთს მის ფანჯარაში ახვედრებდნენ. ერთხელაც, მორიგი ჩამსხვრეული მინის შემდეგ ქალბატონმა ნილსენმა თავის ქმარს, გიმნაზიის მასწავლებელს, ჰოლგერ ნილსენს შესჩივლა, ბიჭებისაგან მოსვენება აღარ მაქვს და იქნებ მათთვის ფეხბურთზე უფრო ადვილი რამე თამაში მოიგონოო.

თავისთავად თხოვნა არაჩვეულებრივია. არა აუკრძალე, არა დასაჯე, არამედ ახალი თამაში მოიგონეო. ამ შემთხვევაში, როგორც ეს ხშირად ხდება, ქალს ინტუიციამ არ უღალატა. მასწავლებელი ჰოლგერ ნილსენიც არ დაბნეულა, ეტყობა ის მდიდარი ფანტაზიის კაცი იყო და მან მართლაც ახალი თამაში მოიგონა. ჰოლგერ ნილსენი ცოტა რამეს ფეხბურთს დაესესხა (კარები), რაღაცას კალათბურთს (ბურთის ხელით ტარება და გადაწოდება) და ფეხბურთისა და კალათბურთის ერთგვარი ჰიბრიდი ბიჭებს შესთავაზა.

რას წარმოიდგენდა დანიელი მასწავლებელი იმ შორეულ 1898 წელს, რომ ამ უცნაური შენაერთიდან სპორტის ახალი სახეობა ჰანდბოლი წარმოიშვება (ინგლისური „ჰენდ“ — ხელი, „ბოლ“ — ბურთი), და რომელიც მალე თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდება.

საბჭოთა კავშირში ჰანდბოლის ანუ ჩვენებურად ხელბურთის პირველი ტურნირი 1923 წელს ჩატარდა ხარკოვში. ხუთი წლის შემდეგ, პირველ სპარტაკიადაზე უკვე სხვადასხვა ქალაქის 350 გუნდი მონაწილეობდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ე. წ. „დიდ“ ხელბურთს თამაშობდნენ — მოთამაშეთა რაოდენობა როგორც ფეხბურთში თერთმეტი თერთმეტზე იყო და საფეხბურთო მოედნებზე ტარდებოდა. „დიდი“ ჰანდბოლი 1917 წელს გერმანიაში გაჩნდა. 1936 წლის ოლიმპიადაზე გერმანიაშივე „დიდი“ ხელბურთი თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი, თუმცა ეს პირველი ტურნირი უკანასკნელიც აღმოჩნდა.

თანდათან დაეცა ინტერესი „დიდის“ მიმართ და იგი დღეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი „პატარა“ (შვიდი შვიდზე) ჰანდბოლით შეიცვალა. მსოფლიოს ჩემპიონატები თანამედროვე ხელბურთში მამაკაცთა შორის 1938 წლიდან ტარდება, ხოლო ქალთა გუნდებს შორის 1957 წლიდან. 1972 წელს ხელბურთმა ოლიმპიურ თამაშებში დაიმკვიდრა ადგილი. დღეს ხელბურთის მსოფლიო ფედერაციაში თითქმის 5 მილიონი ადამიანია გაერთიანებული 110 ქვეყნიდან.

ჩვენში, საქართველოში, ხელბურთი დიდი სიყვარულით სარგებლობს. თუმცა ბოლო წლებში ხალხში მისი პოპულარობა დაეცა. ხელბურთით გატაცების „პიკი“ კი სამოციან წლებზე მოდის, როცა მსოფლიო დონის მოთამაშეებით (ჯ. ცერცვაძე, ი. ფხაკაძე, ჯ. აბაიშვილი) დაკომპლექტებულმა თბილისის „ქარიშხალამ“ დიდ წარმატებებს მიაღწია, რამდენჯერმე გახდა სსრკ ჩემპიონი და რაც მთავარია ცეცხლოვან, აზარტულ, მაღალი კლასის თამაშს აჩვენებდა. იმ წლებში (დაახლოებით 60-იანი წლების პირველი ნახევარი) ხალხი აწყდებოდა სპორტის სასახლეს და ჯემალ ცერცვაძის ვირტუოზული თამაშის შემყურე ტრიბუნებს ბევრჯერ აღტაცებისა და ბედნიერების ისეთივე ყიჟინა მოსდებია, როგორიც უდიდესი ხელოვანის, გენიალური მიხეილ მესხის მიერ მწვანე მინდორზე დატრიალებული სასწაულების დროს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ქართული ხელბურთი „გამოიღვიძებს“ და მისი პოპულარობა ისევ აღსდგება ჩვენში.

გარეკანის პირველ გვერდზე: ისრაელის ქართულენოვანი ჟურნალი „დროშა“.

გადაეცა წარმოებას 6. 07. 90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 09. 90. ქაღალდის ზომა 70×108 1/8, გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით, ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 54.000. შეკვეთა 1538. ფასი 35 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებათა გამგეების—93-28-42, 99-01-89, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

692/117

ინდექსი 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჯვრის“ მონასტერს გარშემო ავლია ოთხკუთხიანი მკვიდრი ქვითკირის გალავანი დასაცავად და უშიშარსაყოფლად მონაზონთა თავს დასხმისაგან მტერთა და ავაზაკთასა. მონასტრის ეკლესია მშვენიერის გუმბათით არის განათებული ზევიდამ; იატაკი მოფენილია მოზაიკითა ანუ ფერადის მარმარილოთი რომელზედაც შესავალთან სტოვაში ეკლესიის კარებ წინ მოსჩანან ცხადად შავი ნიშნები — ვითარცა კვალნი სისხლისა აქ მოწყვეტილთა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მონაზონთა სარკინოზთაგან.. ტრაპეზის ქვეშ არის ადგილი, რომელზედაც მოუკრიათ სამგზის სანატრელი ხე ქრისტეს ჯვარცმისათვის“, — ასე წერს პეტრე კონკოშვილი, რომელმაც 1899 წელს იმოგზაურა პალესტინაში და ჯვრის მონასტერი მოიხილა.

ეს რელიგიური და კულტურული [illegible] ლო ცენტრი XI საუკუნის 80-50-იან წლებში საქართველოს სამეფო კარის დახმარებით დააარსა ქართველმა მოღვაწემ გიორგი შავშელმა. ალბათ ამ მონასტრის დიდი მნიშვნელობის გამოც იყო, რომ ქართველები, ერთადერთნი უცხოთაგან, ცხენზე ამხედრებულნი, გაშლილი დროშებით შედიოდნენ იერუსალიმში.

ზეთისხილის ბაღებში აგებული ქართველთა მონასტერი დღეს იერუსალიმის ფარგლებშია მოქცეული. ცხრა საუკუნის მანძილზე მან ბევრი რბევა, ნგრევა და საერთოდ გაქრობის საშიშროება გადაიტანა. მაგრამ მისი ბედი საოცრად ჰგავდა თვით ქართველი ერის ბედს — მას გადაშენება არ ეწერა. ის, რაც დღემდე გადარჩა, რაც ქართულად ღაღადებს,

ძვირფასია არა მარტო ქართველთათვის, არამედ მთელი მსოფლიოს კულტურული საზოგადოებისათვის.

მთავარი ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთით დგას ხელაპყრობილი, სპეტაკი წვერით მოსილი მოხუცი: „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან ამინ. რუ-ხთველი“. — გვაუწყებს ფრესკის წარწერა ქართული ასომთავრულით. ტაძრის შუაგულში იატაკში ჩაკედილ ლითონის დისკოს კი ასეთივე ასოებით აწერია: „ქართველებო, დექით მტკიცედ და შეურყევლად“...

ზუსტად ამ ფრესკის წინაა დაჩოქილი სანთლებით ხელში პატარა ქართველი — ბექა სიხარულიძე. რა გრძნობას, რა განცდასა და ფიქრს შეუპყრია მისი ჯერაც უწვრთნელი ბავშვური გონება და გული?! რა ლოცვას ღაღადებენ მისი უმანკო ტუჩები?!

„...ღმერთო ძლიერო! შენ დაიფარე ჩემი სამშობლო, გამიძლიერე ჩემი საქართველო! მალე მომასწარი ჩემი ერის თავისუფლებას! გვაკმარე 9 აპრილი, ნუღარ დამანახებ ცრემლით ამოღამებულ დედაჩემის თვალებს! მოაწყვე ისე, რომ სისხლში გაფერებული შავლეგოს ჩობა მარტო ზეიმზე და ცეკვის დროს ჩაეცვას ქართველს! უფალო, მადლობელი ვარ, რომ მაღირსე იერუსალიმის წმინდა მიწისა და შოთა რუსთაველის სახის ნახვა ჯვრის მონასტერში! მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი!“...

ლოცულობს, ლოცულობს „ჩუმის ნატვრითა ქართველი!“